ვაჟიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ივნისი **ორშაბათი** 2014

№ 119 (14 340) ფასი 80 თეთრი

ბადასარევი მუნდიალი

4-8

მერვედფინალში გავიდნენ

ბელგია, არგენტინა, ჰოლანდია, ჩილე, კოლუმბია, კოსტა რიკა

შენიშვნა: აშშ-პორტუგალიის შედეგი არ არის გათვალისწინებული

კაცია ადამი!

ბუდაპეშტიდან ოქრო მხოლოდ ოქრუაშვილმა ჩამოიტანა

10

დღეს ქართული კლუბების მეჯოქეებს გავიგებთ

ნიონში დინამოს, ჩიხურას, ზესტაფონის და სიონის ბედი წყდება

2

13

ზაზა მანუსთან?

ლიტვურ პრესას ფაჩულია გალაში მიჰყავს

7

კლოზე რონალდოს სწორია!

15 გოლი მსოფლიოს ჩემპიონატებზე

1 განათავსე ცოცხალი ფსონი

2 თუ ფიქრობ, რომ მოგება ხელიდან გეცლება, დააჭირე CESH-IN

3 გაინაღდე მოგება თამაშის დასრულებამდე

iveriabet.com

ამბები

სერია A? დიდი ალბათობით...

ოქრიაშვილს ბელგიური ვარიანტიც აქვს

თორნიკე ოქრიაშვილი

22 წლის **თორნიკე ოქრიაშვილი** უკრაინულმა „სპორტ-ექსპრესმა“ სეზონის საუკეთესო „ჯოკრად“ რომ დაასახელა, საქართველოს ნაკრებისა და ოდესის „ჩერნომორეცის“ ნახევარმცველმა ხსენებულ გამოცემასთან ინტერვიუში თქვა - იტალიური კლუბი მიწვევსო. ოქრიაშვილის სატრანსფერო საკითხებზე საგენტო „პროსპორტ მენეჯმენტი“ მუშაობს, რომლის დამფუძნებელიც „გაგრის“ პრეზიდენტი **ბესიკ ჩიხრაძეა**. ოქრიაშვილის შესაძლო ტრანსფერზე სწორედ ჩიხრაძეს ვთხოვეთ კომენტარი:

„როცა 18 წლის ოქრიაშვილი „გაგრიდან“ დონეცკის „შახტარში“ გადავიდა, იმ დროს ეს იყო ბოლო წლების ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი უდიდესი ტრანსფერი. მაგრამ დრო შეიცვალა და ახლა გვინდა, თორნიკემ უფრო ძლიერ ლიგაში ითამაშოს. ამავე დროს, მას „შახტართან“ კონტრაქტი აკავშირებს და დაინტერესებულ კლუბს უკრაინელებთან მოლაპარაკება მოუწევს. ამაზე ილუზია არ უნდა გვქონდეს - დონბასელები მას იოლად არ დათმობენ. დიდია ალბათობა, რომ უკრაინიდან წავიდეს, ოღონდ, არა რუსეთში, არამედ ევროპაში“, - ამბობს ჩიხრაძე.

მას ვარიანტების დაკონკრეტება ვთხოვეთ: *„ახლა თორნიკეს გადაყვანა ორ, საკმაოდ ძლიერ ევროპულ გუნდს სურს და დონეცკელები, პარალელურად, მოლაპარაკებას მათთანაც აწარმოებენ. ერთი ბელგიური კლუბია, მეორე - იტალიის სერია A-დან. ეს უკანასკნელი „მილანი“ არ არის, მაგრამ საკმაოდ მიმზიდველი ვარიანტია. „შახტარის“ გენერალურ დირექტორ სერგეი პალკინს სატრანსფერო საკითხებზე მოველაპარაკე და შემიძლია გითხრათ, რომ სოლიდური კლუბისთვის საკმაოდ ზომიერ თანხას ითხოვს. თუმცა ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს და ევროპაში ტრანსფერები მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდება. ალბათობა, რომ სერია A-ში კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდეს, საკმაოდ დიდია. ოქრიაშვილი იტალიური კლუბის სატრანსფერო სიის პირველ სამეულშია. მაგრამ არც დაინტერესებულ ბელგიურ კლუბს უჭირს. პირადად მე, ამ უკანასკნელ ვარიანტს უფრო ვემხრობი, რადგან ბელგიელები ნიჭიერ ახალგაზრდებს ყიდულობენ და შემდეგ, კარგად მომზადებულებს, ტოპ-ლიგებში ყიდიან. იტალიაში კი ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი ბრძოლა დასჭირდება. ასეთ პირობებში, არის საშიშროება, მოთამაშე დაიკარგოს და სწორედ ამის გამორიცხვა მინდა. ავწონ-დავწონით სიტუაციას და მალე ყველაფერს გაიგებთ“.*

მერაბ მამულაშვილი

თარგამაძე: მაინც ილიჩივეცი, თუ?

როგორც ჩანს, საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **დავით თარგამაძე** მომავალ სეზონსაც მარიუპოლის „ილიჩივეცში“ გაატარებს. ეს გუნდი დღეს კიევურ შეკრებაზე მიემგზავრება და კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე უკრაინის დედაქალაქში წამსვლელთა შორის თარგამაძეცაა მოხსენიებული.

სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენებურის ტრანსფერი რუსულ „ურალში“ გადაწყვეტილ ამბად მოჩანდა, თუმცა გარიგება სავიზო პრობლემების გამო ჩაიშალა. 24 წლის ქართველი დაუბრუნდა მარიუპოლურ კლუბს, სადაც ის დონეცკის „შახტარიდანაა“ განათხოვრებული.

თარგამაძე ბოლო დრომდე რამდენიმე საინტერესო შეთავაზებას განიხილავდა, თუმცა, დიდი ალბათობით, კვლავ „ილიჩივეცში“ დარჩება. უნდა ითქვას, რომ საპირისპირო მაგალითებიც გვაქვს - ფეხბურთელები შეკრებაზე გაჰყოლიან გუნდებს, მაგრამ მერე კლუბი მაინც გამოუცვლიათ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიის აღზრდილის პირველი პროფესიული კლუბი გერმანული „ფრაიბურგი“ იყო. შემდეგ თარგამაძემ უკრაინულ „ოლექსანდრიაში“ ითამაშა, რასაც დონეცკურ გრანდში გადაბარგება მოჰყვა. საქართველოს ნაკრებში თარგამაძის ანგარიშზე 14 მატჩი და 2 გოლია.

სხირტლაძემ ორჰუსს მოაგებინა

დანიურმა „ორჰუსმა“, გასულ სეზონში მოულოდნელად რომ გავარდაფშმაღლესი ლიგიდან, ახალი სეზონისთვის სამზადისი დაიწყო და პირველი საკონტროლო მატჩიც გამართა. სამი ქართველის გუნდმა უმაღლესლიგელ „ესბიერგს“ **დავით სხირტლაძის** გოლით 1:0 მოუგო. დათმომ თავი 82-ე წუთზე გამოიჩინა.

„ორჰუსის“ შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა **მათე ვანაძემ**. სხირტლაძე მინდორზე მეორე ტაიმის დასაწყისში შევიდა. **დავით დევდარიანს** ტრავმის გამო არ უთამაშია.

დავით სხირტლაძე

ალეკო კაკაურიძე

ლობჟანიძე ომონიაში

„დნიპროდან“ გაშვებული საქართველოს ნაკრების 27 წლის მარჯვენა მცველი **უჩა ლობჟანიძე** უკლებლად არ დარჩენილა - ის კვიპროსულ „ომონიაში“ გადავიდა. როგორც კვიპროსული „სიგმა ლაივი“ იუწყება, ფეხბურთელსა და დედაქალაქურ კლუბს შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. შესათანხმებელი მხოლოდ დეტალებია და კვიპროსული საიტის ცნობით, ყველაფერი კონტრაქტის გაფორმებამდე მივა.

შეგახსენებთ, რომ ამ კლუბში უკვე გადავიდნენ **ლევან კაკუბავა** და **შოთა გრიგალაშვილი**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

დინამო

მიხალ ბილეკი:

მეჭი აგრესია და სისწრაფე გვჭირდება

ევროთასების წილისყრა: ისეთი გუნდებია, მეტოქედ ვერავის ისურვებ

მიხალ ბილეკი

დღეს, 14 საათზე, შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში, ევროთასების წილისყრა გაიმართება. თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში II საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება. საქართველოს 15-გზის ტრიუმფატორი პირველ შეხვედრას 15/16 ივლისს გამართავს, ხოლო საპასუხოს - 22/23 ივლისს.

ცნობილია „დინამოს“ სავარაუდო მეტოქეთა სიაც, რომელიც შთამბეჭდავად გამოიყურება: „სტიაუა“, „სელტიკი“, ბატე, „სპარტა“ (პრაღა), „დინამო“ (ზაგრები), „ლუდოგორეცი“, „მაქაბი“ (თელ-ავივი), „შერიფი“, „მარიბორი“, „ლეგია“, „დებრეცენი“, „ცრვენა ზვეზდა“, „სლოვანი“, „აქტობე“, „ვენტსპილსი“, „ყარაბაღი“, ჰიკ. მოკლედ, ისეთი გუნდებია, მეტოქედ ვერავის ისურვებ...

ამასობაში, „დინამომ“ პირველი უცხოური შეკრება დაასრულა და გუნდი ერთი დღით სამშობლოში დაბრუნდა. **მიხალ ბილეკმა** შეკრება კლუბის პრესსამსახურთან ინტერვიუში შეაჯამა.

„უპირველესად, აღვნიშნავ, რომ ძალიან კარგ პირობებში ვემზადებოდით. სასიხარულოა, რომ ის ჩანაფიერი, ის მიზნები, რაც ამ ეტაპზე გვქონდა, შესრულებულია. ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ და მჯერა, ეს შეკრება მომავალში ძალიან წაგვადგება. რაც შეეხება სპარინგებს, ეს შეხვედრები ძალიან დიდი დატვირთვების ფონზე ჩავატარეთ. 7 ბურთის გატანა ყოველთვის სასიამოვნოა, რაც უნდა სუსტი მეტოქე გყავდეს, მით უმეტეს, გუნდთან, რომელიც საუდის არაბეთის პირველობაზე საკმაოდ ნორმალურად გამოდის. ამ მატჩში გამოჩნდა იმ თამაშის კონტურები საითაც ვისწრაფვით“, - ამბობს ბილეკი.

თბილისელთა ჩეხი დამრიგებელი გუნდის პრობლემებსაც შეეხო და ისევე, როგორც საქართველოში ნამუშევარმა ბევრმა უცხოელმა მწვრთნელმა, ყურადღება მენტალობის შეცვლის აუცილებლობაზე გაამახვილა:

„ბურთთან ურთიერთობის, ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით ფეხბურთელებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენი მიზანია, უფრო აგრესიული და სწრაფი ფეხბურთი ვითამაშოთ. ცხადია, გაძლიერება, გუნდში ევროპული მენტალობის უფრო ფართოდ შემოტანა და დიდი კონკურენცია ყველა რგოლში უკეთესი იქნება. ვნახოთ, რა გამოგვივა“.

ბილეკმა ახალწვეულების - ჩეხი საყრდენის, **მარიო ლიჩკასა** და უკრაინელი ცენტრალური მცველის, **ბოგდან შერშუნის** შესახებაც ილაპარაკა:

„ჯერ იმდენი დრო არ გასულა, რომ საბოლოო დასკვნები გავაკეთოთ, მაგრამ ამ ეტაპზე, ორივეთი კმაყოფილი ვარ. ყველაფერს მეორე ჰოლანდიური შეკრება გვიჩვენებს“.

ბილეკმა მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებზეც ილაპარაკა: *„გუნდს, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიგვაჩნდა, მხოლოდ ერთი თამაში დარჩა ჩასატარებელი. რამდენიმე წლის განმავლობაში დატვირთულმა გრაფიკმა თავი იჩინა. ესპანელები გამოფიტულები იყვნენ. ჩილეს და მექსიკის გუნდები კი ნამდვილი აღმოჩენაა. ისინი ტაქტიკურად გამართულად, აგრესიულად და ძალიან სწრაფად თამაშობენ, რაც თანამედროვე ფეხბურთში მთავარია“.*

დინამოელებს ხანმოკლე დასვენება ჰქონდათ. უკვე დღეს, გუნდი მეორე შეკრების მოსაწყობად ჰოლანდიაში გაემგზავრება. ამჯერად, ბილეკის ამოცანა გუნდის შეთამაშება და ახალი სქემების დამუშავებაა. საამისოდ, „დინამო“ ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავს საკმაოდ სოლიდურ მეტოქეებთან, მათ შორის - ბელგიურ „ბრიუგესთან“.

მერაბ მამულაშვილი

არჩევანი

გიორგი პაპუნაშვილი ანორთოსისში არ მიდის

ქართველი მოთამაშეებით ფამაგუსტას „ანორთოსისის“ დაინტერესება კვლავაც დიდია. გავრცელებული ინფორმაციით, **ირაკლი მაისურაძისა** და **გიორგი აბურჯანიას** შემდეგ, **თემურ ქეცბაიას** ყოფილმა კლუბმა თვალი ამჯერად თბილისის დინამოელ **გიორგი პაპუნაშვილს** დაადგა.

გიორგი პაპუნაშვილი დინამოში რჩება

კვიპროსული ინტერნეტ-გამოცემის მტკიცებით, კლუბი ახლა ამ ტრანსფერზე მუშაობს, მოლაპარაკება მიმდინარეობს და წარმატების საფუძველიც არსებობს. ჩვენი ინფორმაციით კი, პაპუნაშვილით არა მხოლოდ „ანორთოსისი“, არამედ გაცილებით ძლიერი კლუბი დაინტერესდა - 19 წლის ქართველს ამსტერდამის „აიაქსი“ აკვირდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, პირდაპირ კონტრაქტის გაფორმებაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

ერთია კვიპროსელთა სურვილი და მეორე - „დინამოს“ პოზიცია. როგორც შევიტყვეთ, „ანორთოსისი“ პაპუნაშვილს აბურჯანიასთან ერთად იწვევდა, მაგრამ გიორგის „დინამოსთან“ კონტრაქტი 2017 წლამდე აკავშირებს, ამ ეტაპზე კი, საქართველოს ჩემპიონი იმედის მომცემი შემტევი ნახევარმცველის გასხვისებას არ აპირებს.

ისიც საეჭვოა, კვიპროსელებს „დინამოსგან“ პაპუნაშვილის კონტრაქტის გამოსასყიდი სახსრები ჰქონდეთ. ჯერ კიდევ ორი წლის წინ, როცა ახალგაზრდა შუახაზელი **ვასილ მაისურაძის** 17-წლამდელთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა“ პირდაპირ კონტრაქტი შესთავაზა, „დინამომ“ კი საკმაოდ დიდი თანხა მოითხოვა, რამაც რუსებს ტრანსფერზე ხელი ააღებინა.

რაც მთავარია, „დინამოდან“ წასვლა თავად ფეხბურთელს არ სურს. დასრულებულ სეზონში მან საკმაოდ ბევრი ითამაშა, ძირითად შემადგენლობაში იმკვიდრებს ადგილს და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სურს ძალების მოსინჯვა. გიორგი მოტივირებულია, რომ მომავალი სეზონი „დინამოში“ გაატაროს, მეტი გამოცდილება და პრაქტიკა მიიღოს და გუნდთან მეტ წარმატებას მიაღწიოს.

ამის დასტურია ეს ინფორმაციაც - პაპუნაშვილი „დინამოსთან“ ერთად ჰოლანდიურ შეკრებაზე გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ თემურ ქეცბაიამ ის ეროვნულ ნაკრებში მიიწვია და 3 ივნისს არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებთან ათამაშა კიდეც.

მერაბ მამულაშვილი

ტრანსფერები

რევიშვილი და ნავალოვსკი ერთად ტოსნოში

ნუკრი რევიშვილი

რუსეთის პირველი ლიგის ბინადარი „ტოსნო“ ორი ქართველი ფეხბურთელით ძლიერდება. მომავალ სეზონში იქ საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილი** და მცველი **გიორგი ნავალოვსკი** ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში უკვე ირიცხება გორის „დილას“ ექსნახევარმცველი **მიხაილ გორელიშვილი**.

რევიშვილი რომ „ტოსნოში“ ითამაშებს, ეს გუშინ რუსულ მედიას კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **ვლადიმირ ბასმანოვმა** აცნობა, ნავალოვსკიზე ინფორმაცია კი ცოტა ადრე გავრცელდა.

27 წლის რევიშვილი „ტოსნოში“ მალტის ჩემპიონის ტიტულით მიდის, რომელიც მან „ვალეტაში“ მოიგო. ამას გარდა, საქართველოს ნაკრების კიპერს სხვადასხვა დროს უთამაშია ქუთაისის „ტორპედოში“, „რუბინში“, „კრასნოდარსა“ და „დილაში“. მის ანგარიშზე 21 სანაკრებო მატჩია.

მისი თანატოლი ნავალოვსკი კი „დინამოში“, რუსთავის „მეტალურგში“, „ანჟიში“, ბაქოს „ინტერში“, „ვოლგაში“, „ხიმკიში“, „კუზბასსა“ და „სკა ენერგიაში“ თამაშობდა. პლუს ამას, 2 მატჩი მან საქართველოს ნაკრებშიც ჩაატარა.

რაც შეეხება „ტოსნოს“, ეს გუნდი გაძლიერებასა და პრემიერლიგის საგზურისთვის ბრძოლას აპირებს.

ალეკო კაკაურიძე

● გაურკვევლობა

ჯერ არ იციან, რისთვის ემზადებიან...

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი

პირველი ლიგის B ზონის გამარჯვებული „სამტრედია“ დღეს ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. ოღონდ, კლუბში ჯერ არ იციან, რატომ და რისთვის ემზადებიან. რა ბედი ელის გუნდს, რა შემადგენლობას დაეყრდნობა და ითამაშებს თუ არა უმაღლეს ლიგაში, ეს ჯერაც უცნობია. სამტრედიელებიც ფეხბურთის ფედერაციისა და აღმასკომის გადაწყვეტილებას ელიან - გასარკვევია, უმაღლესი ლიგა 16-გუნდიანი იქნება თუ ისევ 12 მონაწილე ეყოლება.

ცნობილია, რომ სპორტულმა არბიტრაჟმა „სამტრედიას“ ლიცენზიაზე უარი უთხრა, ეს გადაწყვეტილება კი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ეს ამბავი კლუბში ძალიან უკვირთ - თავდაპირველად, „სამტრედიას“ დაფინანსების შესახებ დოკუმენტაცია არ წარუდგენია. აღიარეს, რომ ფინანსურ საკითხებში მართლაც ბევრი ხარვეზი ჰქონდათ, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდა და 18-თვიანი ფინანსური გარანტიაც წარადგინეს: 2014 წლის ბოლომდე კლუბს „სამტრედიას“ საკრებულო დააფინანსებს, რაც ნორმატიული აქტით დაადასტურა. 2015 წელს კი ხარჯებს საკუთარ თავზე „პროგრესბანკი“ აიღებს.

ანალოგიური ამბავი მოხდა ბათუმის „დინამოს“ შემთხვევაშიც, სადაც ქალაქის მერია კლუბს სულაც 3-წლიან გარანტიას აძლევს. „დინამოში“ და „სამტრედიაშიც“ უკვირთ, რომ ისეთ კლუბებზე გასცეს ლიცენზია, სადაც გამკითხავი არავინაა, დაფინანსების გარანტიებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ასევე გაურკვევლობაა მარტვილის „მერანშიც“. ოფიციალურად, გუნდი პირველ ლიგაში გავარდა, მაგრამ იმედოვნებენ, რომ მაინც უმაღლესში ითამაშებენ. ამის მიუხედავად, მარტვილელები ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგნენ და ლიცენზირებისა და ინფრასტრუქტურის მონესრიგებაზე ზრუნავენ. კლუბის პრეზიდენტ **ფრიდონ ინჯიას** თქმით, „მერანის“ მთავარი პრობლემა გვარდება და სახელმწიფოს დახმარებით, მარტვილის სტადიონზე ხარისხიან საფარს დააგებენ (სავარაუდოდ, 15 აგვისტოსთვის იქნება მზად) და ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას გუნდი განახლებულ სტადიონზე შეხვდება.

მერაბ მამულაშვილი

● მერანი

პირველი უცხოელი

16-გუნდიანის მომლოდინე მერანს უკრაინელი გაწვრთნის

ამ დრომდე არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, თუ რამდენი გუნდი იასპარეზებს მომავალ სეზონში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. თუმცა, როგორც ამბობენ, უახლოეს დღეებში 16-გუნდიანი ჩემპიონატის რეგლამენტი დამტკიცდება და „მერანი“, შესაბამისად, კვლავ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

მარტვილელები უკვე შეუდგნენ მზადებას და პირველად კლუბის არსებობის ისტორიაში, უცხოელი მწვრთნელი მიიწვიეს. 44 წლის უკრაინელი **ვლადიმერ ლობასი** სამწვრთნელო კარიერაში დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, თუმცა, როგორც ფეხბურთელს, ზურგს საკმაო გამოცდილება უმაგრებს. მას სხვადასხვა დროს კიევის „დინამოში“ (1987-1992), ტერნოპოლის „ნივაში“ (1992-1995), ასევე რუსეთისა და იუგოსლავიის უმაღლეს ლიგებში უთამაშია, დიდი ხნის განმავლობაში გამოდიოდა საბერძნეთის ჩემპიონატშიც. ლობასი დღემდე უკრაინის ერთ-ერთ საფეხბურთო აკადემიაში მუშაობდა მწვრთნელად. კონტრაქტი ერთწლიანი იქნება, თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივით.

ლობასმა „მერანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ზურაბ იონანიძე** შეცვალა, რომლის გარდა, გუნდი დატოვეს მცველებმა - **ვალერი იობაშვილმა, გელა ხუბუამ, ჯემალ გაბუნიამ, რაფაელმა;** ნახევარმცველებმა - **ვლადიმერ ჯოჯუამ, ლაშა დეკანოსიძემ, შოთა ბაბუნაშვილმა**; თავდამსხმელებმა - **გაგა ჩხეტიანმა** და **ალექსი ბენაშვილმა**. მათ კონტრაქტები

მერანს უმაღლეს ლიგაში თამაშის იმედი აქვს

დაუმთავრდათ, ახალი ხელშეკრულების გაფორმებისგან კი „მერანის“ ხელმძღვანელობამ თავი შეიკავა. ცნობილია, რომ **ლაშა კუჭუხიძე** კარიერას საჩხერის „ჩიხურაში“ გააგრძელებს.

ჯერჯერობით გუნდში არც ერთი ახალწვეული არ არის. მერანელები ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას ელოდებიან.

ბესიკ გვაზავა

● ამხანაგური მატჩი



სიონი-ზესტაფონი ვაკეში ფოტო: fczestafoni.ge

სიონის დამაჯერებელი გამარჯვება

ევროპა ლიგაზე მონაწილე ორი ქართული გუნდი ამხანაგურ შეხვედრაში ვაკეში, „მიხეილ მესხის“ სათადარიგო სტადიონზე დაუპირისპირდა - ბოლნისის „სიონმა“ „ზესტაფონს“ 3:1 მოუგო.

შეხვედრა საინტერესო, გახსნილი და გოლებით დახუნძლული გამოდგა. 30-ე წუთზე „ზესტაფონი“ დაწინაურდა. გოლი „ყარაბაღიდან“ დაბრუნებულმა **ჯაბა დვალმა** მიითვალა. ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე „სიონმა“ პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა. იმერთა სერბმა მეკარე **ბოიან პავლოვიჩმა ალეკო გოგობერიშვილს** არ გაატანინა, თუმცა გამოცდილმა ნახევარმცველმა დამატებაზე იმარჯვა - 1:1.

მეორე ტაიმში „სიონმა“ მეტოქეს აშკარად აჯობა. **ლადო ბურდულის** შეგირდები 53-ე წუთზე **დავით იმედაშვილის** თავურით დაწინაურდნენ, 65-ე წუთზე კი **ჯაბა უგულავამ** ბოლნისელთა უპირატესობა კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადა.

მატჩის დასრულებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა. მარგველებმა ქარს გაატანეს კარის აღების დიდებული შანსი - ახალწვეულმა **ბექა ტუღუშმა** პენალტი ვერ გაიტანა.

ალეკო კაკაურიძე

● ზესტაფონი

ჩავესი მიდის, ხიზანეიშვილი მოდის

„ზესტაფონის“ ბანაკში სიახლეებია. „სიონთან“ წაგებული (1:3) საკონტროლო მატჩის შემდეგ მარგველთა მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძე** უარი თქვა 24 წლის კოლუმბიელი მცველის **ედუარ სეა ჩავესის** სამსახურზე. სამხრეთამერიკელ უკანახაზელს, ვინც საქართველოში დიდი იმედებით ჩამოვიდა, ახალი კლუბის ძებნა მოუწევს.

გეგუჩაძემ ჩავესი საქმეში ორჯერ ნახა - ჯერ, რეგიონული ლიგის „მარგვეთთან“, მერე კი ევროპა ლიგაზე გასულ ბოლნისურ კლუბთან. როგორც ჩანს, ამ შეხვედრებში კოლუმბიელმა მწვრთნელს თავი ვერაფრით მოანონა.

რაც შეეხება 32 წლის **ოთარ ხიზანეიშვილს**, მასთან ინტერვიუ ცოტა ხნის წინ შემოგთავაზეთ. „დინამოს“, „ჭროსტოვის“, „სპარტაკის“, „ფრაიბურგის“, „აუგსბურგისა“ და „ვოსტოკის“ (ყაზახეთი) ყოფილ მცველს სეზონის ბოლოს „დილასთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და „ზესტაფონს“ თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება.

გამოცდილმა ხიზანეიშვილმა საქართველოს ნაკრებში 20 მატჩი ჩაატარა. ბოლო პერიოდში ის ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. როგორც შევიტყვეთ, ხიზანეიშვილი „ზესტაფონთან“ ერთად ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრება.

ალეკო კაკაურიძე

ოთარ ხიზანეიშვილი

● ამბები

კაპიტანიც წავიდა

შონიას ჩიხურა და ბათუმი უხმობენ

ცხინვალის „სპარტაკში“ მნიშვნელოვანი ცვლილებებია. როგორც კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **დავით ცაბაძემ** გვაცნობა, „სპარტაკში“ აღარ ითამაშებს კაპიტანი **თემურ შონია**, ვისაც არა ერთი მატჩი ჩაუტარებია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში.

„სპარტაკმა“ ყველანაირად სცადა შონიას შენარჩუნება, თუმცა ფეხბურთელმა კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა, რადგან სხვა კლუბები უკეთეს პირობებს სთავაზობენ“, - გვითხრა ცაბაძემ.

როგორც შევიტყვეთ, შონიას გადაბირება ევროპა ლიგის მონაწილე „ჩიხურას“ და „ბათუმს“ სურთ.

ცაბაძისავე ინფორმაციით, „სპარტაკი“ ასევე დატოვეს ნახევარმცველებმა - **ვაკო ტყემალაძემ** და **უჩა ბურძენაძემ**. მანამდე, გუნდის დამრიგებელი **კახა კაჭარავა კონსტანტინე გაბაშვილს, ნიკა მგელაძეს, კონსტანტინე ხიზანეიშვილს, ზვიად მეტრეველსა** და **თორნიკე თუხარელს** შეელია.

„სპარტაკში“ ვარჯიშობს რუსეთის მოქალაქე, ამპლუით ნახევარმცველი **ბათრაზ თედეევი**, ასევე რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი. მათი საკითხი უახლოეს ათ დღეში გადაწყდება.

კილასონია: დავიწყებთ და ვნახოთ, რა იქნება

რუსთავის „მეტალურგში“ არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე უკვე არაერთხელ დავწერეთ. როგორც გუშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი კილასონიამ** გვითხრა, „მეტალურგი“ დღეს შეიკრიბება, თუმცა...

„გადავწყვიტეთ, ბიჭები შევკრიბოთ. ყველას უნდა ვუთხრათ და ავუხსნათ, რა მდგომარეობაში ვართ. ცხადია, არც ერთ ფეხბურთელს არ დავაბრკოლებთ, თუ მათ კარგი შეთავაზება ექნებათ. როცა შენ ვერ აკეთებ რაღაცას, ადამიანი არ უნდა დაა ზარალო. მაინც გადავწყვიტეთ, ვარჯიში დავიწყოთ. ახალგაზრდა, ადგილობრივი მოთამაშეებით დავიწყებთ და ვნახოთ, მერე რა იქნება... შეიძლება, რამე გამოჩნდეს. ტყუილად ყოფნას ასე სჯობს“, - გვითხრა კილასონიამ.

რუსთაველთა გასაჭირი არახალია: მეტალურგიული ქარხანა კლუბის დაფინანსებაზე უარს ამბობს, ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან კი ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ ჩანს.

ამჯერად ფრე

საჩხერის „ჩიხურა“ თურქულ შეკრებაზე ბაქოს „ნეფთჩის“ მეორედაც შეხვდა. შეგახსენებთ, რომ პირველი სპარინგი **სოსო ფრუიძის** შეგირდების გამარჯვებით, 3:2 დასრულდა.

მეორე მატჩის დასაწყისს კოკისპირული წვიმა ახლდა თან. მერე გამოიდარა და შეხვედრა შედარებით ნორმალურ პირობებში წარიმართა. ბაქოელებმა ის სამი ლეგიონერი (**ფლავინიო, ჟულიუს ვობაი, ერნესტ ნფორი**) ათამაშეს, რომლებმაც „ჩიხურასთან“ პირველი სპარინგი გამოტოვეს. ეს თამაში პირველზე გაცილებით დაძაბული გამოდგა. „ჩიხურამ“ მეტოქეს ამჯერადაც არაფერი დაუთმო.

ანგარიში, ისევე, როგორც პირველ მატჩში, **დავით ოდიკაძემ** გახსნა. ვეტერანმა ფეხბურთელმა „ნეფთჩის“ კარი დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით აიღო. პირველ ტაიმში საჩხერელებმა მეორე გოლიც (**ბესიკ დეკანოიძე**) გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

მეორე ტაიმის დასაწყისში, აზერბაიჯანელებმა შეტევები გააძლიერეს და 48-ე წუთზე „ჩიხურას“ კარში პენალტი დაინიშნა. **გიორგი სომხიშვილმა ჯავიდ იმამვერდიევის** დარტყმა მოიგერია, დამატებაზე კი ბურთი ძელს მოხვდა.

მაგრამ ბაქოელებმა ანგარიში მაინც გაათანაბრეს. მსაჯმა მათ სასარგებლოდ კიდევ ერთი პენალტი დანიშნა და **ჯულიუს ვობაიმ** შანსი ხელიდან არ გაუშვა - 1:1.

ჩიხურა: **ქვილითაია (სომხიშვილი), კაშია, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ჩიკვაიძე (ტაბატაძე), ბეჭვაია, დათუნაიშვილი, ოდიკაძე, გაბედავა, დეკანოიძე (კორიფაძე), მუშლაძე (კუჭუხიძე).**

მერაბ მამულაშვილი

ტყებუჩავას ბიჭები პრეზიდენტის თასზე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ყაზახეთში გაემგზავრა, სადაც „პრეზიდენტის თასზე“ იასპარეზებს. **გორა ტყებუჩავას** გუნდი ამ ტურნირისთვის „ბასას“ სანვრთნელ ცენტრში მოემზადა.

ტურნირი ყოველწლიურია და უკვე მეშვიდედ ტარდება. საქართველოს ნაკრები „პრეზიდენტის თასის“ მუდმივი მონაწილეა. წლევანდელი გათამაშება 24 ივნისს დაიწყება და 30 ივნისს დასრულდება.

ამჯერად, „პრეზიდენტის თასი“ განსხვავებული ფორმატით ტარდება, რადგან სავიზო პრობლემების მოგვარება ვერ შეძლეს ჩინეთისა და ირანის ნაკრებებმა. ტყებუჩავას შეგირდები A ჯგუფში ითამაშებენ, სადაც მათი მეტოქეები ყირგიზეთისა და ყაზახეთის გუნდები იქნებიან. B ჯგუფში კი ესპანეთი, ტაჯიკეთი და აზერბაიჯანი ითამაშებენ. 26 ივნისს, თბილისის დროით 14 საათზე, ქართველი 17-წლამდელები ყირგიზეთს დაუპირისპირდებიან, მეორე დღეს კი, 17 საათზე, მასპინძელ ყაზახეთთან გაარკვევენ ურთიერთობას. ფინალში ჯგუფების გამარჯვებულები, ხოლო მეორეადგილოსნები - მესამე საპრიზო ადგილისთვის ითამაშებენ. პატრონი გამოუჩნდებათ მეხუთე-მეექვსე ადგილებსაც, რისთვისაც ჯგუფებში ბოლო ადგილებზე გასული გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს. პლეი-ოფის ყველა შეხვედრა 29 ივნისს იგეგმება. ტურნირს „ასტანა არენა“ უმასპინძლებს.

ტყებუჩავამ არჩევანი ამ ფეხბურთელებზე შეაჩერა:

მეკარეები - **ლუკა გუგეშაშვილი** (დინამო), **ლუკა სანიკიძე** (საბურთალო);

მცველები - **ომარ ბულუხაძე** (საბურთალო), **ნიკოლოზ ყურშავიშვილი, ლუკა ლოჩოშვილი, დავით კობოური** (ყველა - დინამო), **შალვა ბურჯანაძე, გიორგი ბერძენაძე** (ორივე - ტორპედო), **თორნიკე ჭურაძე** (ზესტაფონი);

ნახევარმცველები - **გიორგი არაბიძე, ლაშა ლეჟავა** (ორივე - ლოკომოტივი), **ნიკა კვანტალიანი** (ატლეტიკო, ესპანეთი), **გაბრიელ საგრიშვილი, ლუკა ფოჩხუა, აკაკი ყურაშვილი** (ყველა - დინამო), **ლუკა ვარძელაშვილი** (საბურთალო);

თავდამსხმელები - **ირაკლი ბულრიძე** (დინამო), **ბექა ქავთარაძე** (35-ე სკოლა).

ალეკო კაკაურიძე

დინამო რურის თასზე

24-27 ივლისს, გერმანიაში 19-წლამდელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „რურ ქაფ 2014“ გაიმართება. მთავარი პრიზისთვის 10 გუნდი იბრძოლებს. მონაწილეთა შორისაა თბილისის „დინამოს“ შესაბამისი ასაკის გუნდიც, რომელსაც **კახი გოგიჩაიშვილი** ავარჯიშებს.

A ჯგუფში, დინამოელებს დაუპირისპირდებიან დორტმუნდის „ბორუსიას“, პირეოსის „ოლიმპიაკოსის“, ლისაბონის „ბენფიკასა“ და „ვოლფსბურგის“ თანატოლთა გუნდები. საინტერესო უნდა იყოს B ჯგუფის მონაწილეთა გაცნობაც: აქ ითამაშებენ მიონხენგლადბახის „ბორუსია“, „შალკე“, „ვესტ ჰემი“, ჩინეთის 19-წლამდელთა ნაკრები და „პორტუ“.

ასე რომ, დინამოელებს მშვენიერი სპარინგები ელით და იმედია, წარმატებითაც დაგვიბრუნდებიან.

მერაბ მამულაშვილი

D ჯგუფი. II ტური

როგორ ჩარჩა ჯგუფში ორი ჩემპიონი

იტალია-კოსტა რიკა 0:1

გოლი: 0:1 რუისი (44)

იტალია (4-5-1): ბუფონი - დარმიანი, ბარძალი, კიელინი, აბატე - კანდრევა (57. ინსინნიე), პირლო, დე როსი, ტ. მოტა (45. კასანო), მარკიზიო (69. ჩერჩი) - ბალოტელი

კოსტა რიკა (5-4-1): ნავასი - გამბოა, დუარტე, გ. გონსალესი, უმანია, ხ. დიასი - რუისი (81. ბრენესი), ბორხესი, ტეხედა (68. კუბერო), ბოლანიოსი - კემპბელი (74. ურენია)

გაფრთხილება: ბალოტელი - კუბერო

კუთხური: 4-5; **კარში დარტყმა**: 8-10 (3-5); **ჯარიმა:** 10-23; **თამაშგარე**: 12-3; **ბურთის ფლობა**: 56%-44%

მაყურებელი: 40 285

კიდევ ერთი დიდი სენსაცია მუნდიალზე - კოსტა რიკის ნაკრებმა 24 წლის მერე პირველად გაინაღდა მუნდიალის პლეი ოფის საგზური და თანაც ეს 3-ტურიანი ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე შეძლო. ამ გამარჯვებით, რომელიც სავსებით დამსახურებული იყო, ცენტრალური ამერიკის ქვეყნის გუნდმა ჯგუფში მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჩატოვა: ინგლისი და იტალია-ურუგვაის წყვილიდან ერთ-ერთი. მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი უკეთეს მდგომარეობაშია, 2-გზის ჩემპიონის წინააღმდეგ იტალიას ფრეც ჰყოფნის.

რეაქციები

ჩეზარე პრანდელი (იტალიის ნაკრების მწვრთნელი): *„ეს მოედანი საკმაოდ ნელია, ჩვენ კი ვეთამაშეთ ბრწყინვალედ ორგანიზაებულ ნაკრებს, რომელმაც ყველაზე კარგად უწყის, როგორ გამოიყენოს სულ მცირე თავისუფალი სივრცეც კი. როცა ფიზიკურად შენზე უკეთ მომზადებულ მეტოქეს ეთამაშები, მაშინ შენ უნდა იყო მასზე უკეთ ორგანიზებული. ჩვენ კი ეს ვერ შევძელით.*

სამწუხაროდ, გოლი მივიღეთ და პასუხის გაცემის უნარი აღარ აღმოგვაჩნდა. შევეცადეთ ფლანგებზე უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ აქედან არაფერი გამოგვივიდა. თუმცა ახლა ნეგატიური განცდების დრო არ არის, უნდა გადავიტვირთოთ, იმიტომ, რომ 3 დღეში კიდევ ერთი შანსი მოგვეცემა, მერვედფინალის საგზური მოვიპოვოთ. სიმართლე ითქვას, კენჭისყრის დღიდან ვიცოდი, რომ რთული ბატალიები გველოდა. ახლა ურუგვაისთან თამაში აბსოლუტურად ყველაფერს წყვეტს“.

ხორხე ლუის პინტო (კოსტა რიკას ნაკრების მწვრთნელი): *„ბრწყინვალე თამაში იყო და ბრაიანმა ძალიან მნიშვნელოვან მომენტში გაიტანა გოლი, შესვენების წინ. დიდებული გუნდის წინააღმდეგ ვითამაშეთ და ამაყები ვართ. არ მინდა, რეალობის შეგრძნება დავკარგოთ, მაგრამ მართლა მჯერა, რომ დღეს კოსტა რიკის ნაკრების დაცვამ უშეცდომოდ ითამაშა. არ არის ადვილი იტალიის ნაკრების დონის გუნდთან ასე თამაში. მინდა ვთქვა, რომ ბევრი რამ, რაც ფეხბურთის შესახებ ვიცი, იტალიური ფეხბურთის დამსახურებაა. ყოველთვის მომწონდა იტალიური ფეხბურთი და მისი მხარდამჭერი ვიყავი. ახლა მთავარია, გავაგრძელოთ თამაში, როგორც დავიწყეთ“.*

მატჩის გმირი

ბრაიან რუისი (კოსტა რიკა)

მატჩის ერთადერთი გოლის გამტანი. მისმა თავურმა კოსტა რიკას ისტორიაში მეორედ მოუტანა მუნდიალის მერვედფინალის საგზური. მან კარისკენ 2-ჯერ დაარტყა. 81 წუთი ითამაშა და 36 პასი გააკეთა. *„მხოლოდ საფინალო სასტვენის შემდეგ მივხვდვით, რა სიხარული მოვუტანეთ ამ გამარჯვებით ქვეყანას“*, - განაცხადა რუისმა.

	თ	მ	ფ	ბ	წ	ქ
1. კოსტა რიკა	**2**	**2**	**0**	**0**	**4-1**	**6**
2. იტალია	2	1	0	1	2-2	3
3. ურუგვაი	2	1	0	1	3-4	3
4. ინგლისი	2	0	0	2	2-4	0

ბოლო ტური

24 ივნისი

კოსტა რიკა-ინგლისი	**20:00**
იტალია-ურუგვაი	**20:00**

ზეიმი კოსტა რიკის ბანაკში

E ჯგუფი. II ტური

ნამდვილი გუნდი

ქარიმ ბენზემამ დიეგო ბენალიო მთელი მატჩი გააწამა

შვეიცარია-საფრანგეთი 2:5

გოლები: 0:1 ჟირუ (17), 0:2 მატუიდი (18), 0:3 ვალბუენა (40), 0:4 ბენზემა (67), 0:5 მ. სისოკო (73), 1:5 ჯემაილი (81), 2:5ჯაკა (87)

შვეიცარია (4-3-2-1): ბენალიო - ლიხტშტაინერი, ჯურუ, ფონ ბერგენი (9. სენდეროსი), რ. როდრიგესი - ბეჰრამი (46. ჯემაილი), ჯაკა, ინლერი - შაჩირი, მეჰმედი - სეფეროვიჩი (69. დრმიჩი)

საფრანგეთი (4-5-1): ლორისი - დებიუში, ვარანი, სახო (66. კოშელნი), ევრა - ვალბუენა (82. გრიზმანი), მ. სისოკო, კაბაი, მატუიდი, ბენზემა - ჟირუ (63. პოგბა)

შენიშვნა: 32-ე წუთზე ბენზემამ ვერ გაიტანა პენალტი

გაფრთხილება: კაბაი

კუთხური: 5-3; **კარში დარტყმა** 14-14 (3-6); **ჯარიმა**: 11-15; **თამაშგარე**: 1-2; **ბურთის ფლობა**: 57%-43%

მაყურებელი: 51 003

ჯერჯერობით ყველაზე უხვგოლიანი მატჩი ამ მუნდიალზე - მეტოქეებმა ერთმანეთს 7 გოლი გაუტანეს. ფრანგებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და მუნდიალის ფავორიტობაზე სერიოზული განაცხადიც გააკეთეს. დიდიე დეშამის გუნდს 7 გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ქარიმ ბენზემამ პენალტი ვერ გამოიყენა და მისივე ბოლო წამს გატანილი ბურთი მსაჯმა არ ჩათვალა, აქაოდა, თამაში უკვე დავასრულეო...

რეაქციები

ოტმარ ჰიტცფელდი (შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი): *„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ჩვენთვის ძალზე მძიმე 90 წუთი გამოდგა. გუნდმა ვერ აჩვენა ის პოტენციალი, რაც მას გააჩნია. არადა, თამაში კარგად დავიწყეთ, ბოლო მეორე გოლმა მოგვიღო, რომელიც პირველის მერე, ეგრეევე გაგვიტანეს. შემდეგ წინ გავიჭერით და რამდენჯერმე გამოგვიჭირეს კონტრშეტევებზე. ბოლოს ბიჭებმა ორი გოლი კი გაიტანეს, მაგრამ დაგვიანებული იყო. მიუხედავად ამ მარცხისა, იმედი გვაქვს, რომ პლეი ოფში გავალთ“.*

დიდიე დეშამი (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი): *„ეს იყო თითქმის უნაკლო თამაში. ჩვენ გავიტანეთ 5 გოლი რეალურად კარგი ნაკრების კარში. ახლა მხოლოდ მომავალ მატჩზე ვფიქრობთ, რომელიც გადაწყვეტს კიდევაც პირველადგილოსნის ვინაობას. პირველი ორი თამაშისთვის კარგად მოვემზადეთ და ეს მინდორზეც გამოჩნდა. ახლა საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ“.*

მატჩის გმირი

ქარიმ ბენზემა (საფრანგეთი)

ქარიმმა კარისკენ 8-ჯერ დაარტყა (!), მუდამ მოვლენათა ცენტრში იყო და გოლის გარდა ორი საგოლე პასიც მიითვალა. *„ჩვენ ნამდვილი გუნდი ვართ. საკუთარ წარმატებაზე მეტად ეს მახარებს“*, - აღნიშნა „რეალის“ ფორვარდმა.

E ჯგუფი. II ტური

კოლუმბიელთა დუელი

ჰონდურასი-ეკვადორი 1:2

გოლები: 1:0 კოსტლი (31), 1:1 ე. ვალენსია (34), 1:2 ე. ვალენსია (65)

ჰონდურასი (4-4-2): ვალიადარესი - ბეკელესი, ბერნარდესი, ფიგეროა, ისაგირე (46. ხ. გარსია) - ბ. გარსია (82. ჩავესი), გარიდო (71. მარტინესი), კლაროსი, ესპინოსა - ბენგტსონი, კოსტლი

ეკვადორი (4-4-2): დომინგესი - პარედესი, გუაგუა, ერასო, აიოვი - ა. ვალენსია, მინდა (83. გრუესო), ნობოა, მონტერო (92. აჩილიერი) - კაისედო (82. მენდესი), ე. ვალენსია

გაფრთხილება: ბერნარდესი, ბენგტსონი - ა. ვალენსია, ე. ვალენსია, მონტერო

კუთხური: 4-12; **კარში დარტყმა**: 8-7 (3-2); **ჯარიმა**: 12-11; **თამაშგარე**: 1-1; **ბურთის ფლობა**: 41%-59%

მაყურებელი: 39 224

ბევრი ვარაუდობდა მოსაწყენ შეხვედრას, თუმცა ასე არ მოხდა - ენერ ვალენსიას დუბლით ეკვადორმა თამაში შემოატრიალა, ჰონდურასს კი საქმე შავად აქვს. ორი კოლუმბიელი თავკაცის დაპირისპირება რეინალდო რუედამ მოიგო.

რეაქციები

ლუის სუარესი (ჰონდურასის მწვრთნელი): *„ძალიან დაძაბული მატჩი იყო, ბიჭებს ნერვების მოთოკვა უჭირდათ, თუმცა მე მაინც კმაყოფილი ვარ მათი თამაშით. ვიცით, რომ ჯგუფიდან გასვლა გაგვიჭირდება, მაგრამ აქამდე, რომ შანსი შემოგვრჩა, ესეც კარგია“.*

რეინალდო რუედა (ეკვადორის მწვრთნელი): *„შემადგენლობა იმიტომ შევცვალე, რომ მეტოქე სულ სხვა ყაიდის ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე პირველი ოპონენტი. ორივე გუნდს ძალიან ესაჭიროებოდა 3 ქულა, ამიტომ ორივემ ბრწყინვალედ ითამაშა“.*

მატჩის გმირი

ენერ ვალენსია (ეკვადორი)

4-ჯერ დაარტყა კარისკენ და 2 გოლი გაიტანა. 90 წუთში 30 პასი გააკეთა. *„მინდა საკუთარი ძალები ისეთი გუნდის წინააღმდეგ გამოვცადო, როგორიც საფრანგეთია“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ვალენსიამ.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	2	2	0	0	8-2	6
2. ეკვადორი	2	1	0	1	3-3	3
3. შვეიცარია	2	1	0	1	4-6	3
4. ჰონდურასი	2	0	0	2	1-5	0

ბოლო ტური

25 ივნისი

ჰონდურასი-შვეიცარია	**23:59**
ეკვადორი-საფრანგეთი	**23:59**

ენერ ვალენსიამ ეკვადორს 3 ქულა მოუტანა

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

F ჯგუფი. II ტური

მესის სამჭულიანი

არგენტინა-ირანი 1:0

გოლი: 1:0 მესი (90+1)
არგენტინა (4-3-3): რომერო - საბალეტა, ფერნანდესი, გარაი, როხო - მასკერანო, გაგო, დი მარია (90+4. ბილია) - აგუერო (77. ლავეცი), მესი, იგუაინი (77. პალასიო)
ირანი (4-5-1): ა. ჰაგიგი - ჰოსეინი, სადეგი, მონტარეზი, პოლადი - ნეკუნამი, თეიმურიანი, დეჟაგა (85. ალირეზა), აისაფი (88. რ. ჰაგიგი), შოჯაიე (77. ჰეიდარი) - რეზა
გაფრთხილება: - ნეკუნამი, შოჯაიე
კუთხური: 10-6; **ჯარიმა:** 7-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17-7 (5-3); **ბურთის ფლობა:** 72%-28%
მაყურებელი: 57698

მთელი 90 წუთის განმავლობაში „მინეირაოზე“ ძალიან უცნაური რამ ხდებოდა, სანაქებო თავდასხმის და რაც მთვარია, ბევრის აზრით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის პატრონი არგენტინა, რომელიც სულ ბურთით იყო, ვერაფერს უხერხებდა ირანის ნაკრებს. მეტიც, **კარლოს კეირუშის** გუნდი იშვიათად, მაგრამ მაინც ძალიან მტკივნეულად იჩხვლიტებოდა. თუნდაც, „ჩარლტონის“ 26 წლის თავდამსხმელი **რეზა გუჩანეიჯადი**, ვისაც თითო ტაიმში თითო მომენტი ჰქონდა. პირველ ნახევარში არგენტინელებს დაახლოებით სამი კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერც **გონსალო იგუაინმა**, ვერც **სერხიო აგუერომ**, ვერც **მარკოს როხომ** გაიტანეს. თითქოს მეორე ტაიმში „ალბისელესტეს“ უნდა მოემატებინა, ამის დიდი მოლოდინი გვქონდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მოხდა. ერთადერთი, რაშიც არგენტინელთა უპირატესობა საგრძნობი გახლდათ, ბურთის ფლობა იყო, პროცენტულ მაჩვენებელს თავადაც შეგიძლიათ დახედოთ. გოლი არ ჩანდა და ყველაფერი სენსაციური შედეგისაკენ მიდიოდა, სანამ „ის“ მარჯვენა ფლანგზე ბურთს არ მიიღებდა, ცენტრისკენ არ შეიწევდა და...

ლიონელ მესიმ არგენტინას ბოლო წამს მოაგებინა

ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

ოფიციალურად კეირუშის ტაქტიკა 4-5-1 გახლდათ, მაგრამ სინამდვილეში ფორმულირება ასეც შეგვიძლია - 10-0-0. ირანელები მხოლოდ იშვიათად თუ აწუხებდნენ მეტოქეს, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, საკმაოდ მწვავედ. ძნელია პორტუგალიელი და მისი შეგირდები დაძრახო, რადგან სხვა შანსი ირანს არგენტინელთა წინააღმდეგ არ ჰქონდა და სულ ცოტაც რომ გამართლებოდა, ქულასაც აიღებდა - გინდა თუ არა დაუმსახურებელსო, ვერ ვიტყოდით.

მიხვდა რა **ალეხანდრო საბელია**, რომ 5-3-2 მისი ამჟამინდელი ფორმაციის ნაკრებისთვის იდეალური ტაქტიკა არ არის, პირდაპირ 4-3-3-ით დაიწყო. თანაც აგუერო-იგუაინი-მესის სამეული ძირითადში გააწესა. მათ **ანხელ დი მარია** ეხმარებოდა, ხოლო სასტარტოში მოხვედრილი **ფერნანდო გაგოსა** და **ხავიერ მასკერანოს** იდეაში მეტოქის შეტევების ჩაშლაზე უნდა ეზრუნათ.

ყველაზე აქტიური დი მარია გახლდათ, მაგრამ შედეგი ამას არ მოუტანია. იგუაინი მოწოდების სიმაღლეზე ვერ იყო, „პიპიტამ“ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. მთლიანობაში „ალბისელესტეს“ ტექნიკური წუნი მოულოდნელად მაღალი ჰქონდა. არ ჩანდა არც მესი. საბელიამ ცოტა გვიან, მაგრამ მაინც შეუშვა **ესეკიელ ლავეცი** და **როდრიგო პალასიო**. მცველები ნაკრებს შეტევაში აქტიურად ეხმარებოდნენ, როგორც პოზიციური შეტევებისას, ასევე სტანდარტული მდგომარეობების დროს, მაგრამ ასევე ამაოდ. საბოლოოდ, ყველაფერი მაინც მესიმ გადაწყვიტა.

გოლი

ლიონელ მესი (90+1) - უკვე დამატებული წუთი იყო დაწყებული, როდესაც „ის“ არგენტინას მხსნელად მოევლინა. საჯარიმოს მისადგომებთან აღმოჩენილმა მესიმ ცენტრისკენ შეინია, სივრცე გაითავისუფლა და დარტყმა მოასწრო, თანაც როგორი დარტყმა... ლეომ მორიგი ულამაზესი გოლი გაიტანა და ამ ურთულეს შეხვედრაში თავის ნაკრებს 3 ქულა მოუტანა. ბურთი მან ლავეცისგან მიიღო, მაგრამ ამ ეპიზოდში პასზე საუბარი ცოტა უხერხულიცაა.

საუკეთესო ფეხბურთელი

ლიონელ მესი (არგენტინა)

ბევრი იყო საუბარი იმაზე, რომ ეს მუნდიალი შესაძლოა ლიონელ მესის ჩემპიონატი გამოდგეს. იმაზე, რომ მესიმ თავისი შესაძლებლობები სანაკრებო დონეზეც უნდა დაამტკიცოს და თანაც ბრაზილიაში წინ წარუძღვეს „ალბისელესტეს“. მესი სასწაულებს თითქოს ვერც ბოსნიასთან შეხვედრაში ახდენდა და საკმაოდ პასიური ეთქმოდა ირანთან მატჩშიც, მაგრამ საუკეთესოდ მაინც ულაპარაკოდ ის უნდა დავასახელოთ. ფაქტი ჯიუტია, არც ისე ფეერული თამაშის ფონზე, მესიმ ორივე შეხვედრაში გაიტანა, ორივე გოლი ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ და ორივე ლამაზი, ტექნიკურად უმაღლეს დონეზე შესრულებული. ახლა წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოხდეს, როდესაც მესის, რასაც ჰქვია, თამაში წაუვა?

მსაჯი

სერბმა **მილორად მაჟიჩმა** მიმდინარე მუნდიალზე უკვე მეორე მატჩი განსაჯა. გერმანია-პორტუგალიის შეხვედრაში მან **პეპე** გააძევა, რისი საფუძველიც პრინციპში ჰქონდა, მაგრამ ეპიზოდს მაინც დიდი გარჩევა მოჰყვა. ხოლო ამ მატჩში რაიმე კატასტროფული შეცდომა არ დაუშვია, მაგრამ პატარ-პატარა ხარვეზები ჰქონდა.

ანალიზი

არგენტინელები ჯერჯერობით ისე ვერ გამოიყურებიან, როგორც მათგან ამას უმეტესობა ელოდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ საბელიამ ოპტიმალურ შემადგენლობას, სქემასა და ფსიქოლოგიურ განწყობას ჯერ კიდევ ვერ მიაგნო ბოლომდე და „ალბისელესტეს“ გუნდურობის ელემენტშიც სერიოზულად მოსამატებელი აქვს. თუმცა წესითა და რიგით, არგენტინას პროგრესი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. მთავარია, რეალურად ძლიერ მეტოქესთან შეხვედრამდე მოესწროს ხარვეზების გამოსწორება. ასეთი მძლავრი თავდასხმის ხაზის ფონზე, შეტევაში პრობლემები, გარკვეული ერთფეროვნება და მწირგოლიანობა ცოტა უცნაურია, მაგრამ ალბათ ესეც დალაგდება. სამხრეთამერიკელთა მოიერიშეებს დასკვნით ეტაპზე მეტი ცივსისხლიანობა მართებთ და საკუთარ მომენტებს მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ.

დასკვნა

ასე თუ ისე, არგენტინამ ორივე თამაში მოიგო და პრინციპში ორივე დამსახურებულად. საბელიას გუნდი უპრობლემოდ გავა ჯგუფიდან და გავა პირველი ადგილით, როგორც ველოდით. ირანმა ორივე შეხვედრაში გვიჩვენა, რომ შეიძლება სანახაობრივად არც ისე მიმზიდველი, მაგრამ ძალიან კარგად ორგანიზებული გუნდია და რაც მთავარია, შემდეგ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი შეინარჩუნა - თუ კეირუშის გუნდი ბოლო ტურში უკვე უმოტივაციო ბოსნიას მოუგებს დიდი ალბათობიით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მერვედფინალში გავა, რადგან არგენტინა ალბათ არაფერს დაუთმობს ნიგერიას. არის ერთი საინტერესო დეტალიც, არგენტინამ ნიგერიას 1:0 რომ მოუგოს და ირანმაც ზუსტად 1:0 იმარჯვოს ბოსნიასთან, ირანსა და ნიგერიას ყველა კრიტერიუმი თანაბარი ექნებათ და მათ შორის გამსვლელის ვინაობას კენჭისყრა გადაწყვეტს...

ნიგერია-ბოსნია 1:0

გოლი: 1:0 ოდემვინგი (29)
ნიგერია (4-4-1-1): ენიეამა - ემბროუზი, იობო, ოშანივა, ომერუო - ონაზი, ობი მიკელი, მუსა (65. შოლა ამეობი), ბაბატუნდე (75. უზოენი) - ოდემვინგი - ემენიკე
ბოსნია (4-3-3): ბეგოვიჩი - მუჯა, შუნიჩი, სპაჰიჩი, მედუნიანინი (64. სუშიჩი) - ბეშიჩი, პიანიჩი, მისიმოვიჩი - ჰაიროვიჩი (57. იბიშევიჩი), ლულიჩი (58. სალიჰოვიჩი), ჯეკო
გაფრთხილება: ობი მიკელი - მედუნიანინი
კუთხური: 4-4 **ჯარიმა:** 9-7 **თამაშგარე:** 3-3 **კარში დარტყმა:** 17(10)-15(6) **ბურთის ფლობა:** 45%-55%
მაყურებელი: 40499

მატჩის ბოლო, მესამე დამატებულ წუთზე ნიგერიელთა საჯარიმოში ედინ ჯეკომ ბრძოლაში ბურთის მიღებაც შეძლო, შემობრუნებაც და დარტყმაც. ეს უკანასკნელი „სიტის“ ფორვარდს იდეალურად არ გამოუვიდა, ოღონდ ბურთი კარში მაინც წავიდა, მაგრამ აფრიკელთა მეკარე ვენსან ენიეამამ ფეხი დატოვა, მისგან აჭრილი ბურთი კი ძელს მოხვდა და... გასრულდა ესე ამბავი ბოსნიისა და ჰერცეგოვინასი.

ნიგერიას ენი-ეამა

ბოსნიის ბედი მსაჯმა განსაჯა

ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრები დიდი ხანი მიისწრაფოდა რომელიმე დიდი საფეხბურთო ფორუმის ფინალური ეტაპისკენ და იმსახურებდა კიდეც იქ მოხვედრას. და აი, ეს ბოლოს ბოლო მოხდა კიდეც და **საფეტ სუშიჩის** გუნდმა არგენტინასთან პირველ შეხვედრაშიც მშვენივრად იბურთავა, რამაც იმის მოლოდინი გაგვიჩინა, რომ ბოსნია „ალბისელესტეს“ მერე ჯგუფის ფავორიტი გახლდათ. შესაბამისად, ნიგერიასთან სუშიჩის ბიჭების დომინაციას ველოდით, მაგრამ მსგავსი არაფერი მოხდა, ნიგერიელებმა ფიზიკურად აშკარად დაჩაგრეს მეტოქე და ცალი ფეხი მერვედფინალისკენ გადადგეს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მიუხედავად აფრიკის ეროვნებათა თასის მოქმედი ჩემპიონების კარგი თამაშისა, მათ გამარჯვებას ხელი გვარიანად შეუწყო შეხვედრის მთავარმა არბიტრმა ვინმე, **პიტერ ო'ლირიმ** ახალი ზელანდიიდან და შესანიშნავმა მეკარემ **ენიეამამ**.

ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

ნიგერიელთა შემადგენლობაში სიურპრიზები არ ყოფილა. აი, ტაქტიკური მონახაზი კი საინტერესო გახლდათ - 4-4-1-1. სტივენ კეში ფრთხილობდა და საბოლოოდ, მისი ჩანაფიქრი წარმატებული გამოდგა. ნიგერიელები ცდილობდნენ პრესინგი ეთამაშათ, არც ერთი წამით არ ჩერდებოდნენ და ფიზიკურად მოწინააღმდეგე აშკარად დაჯაბნეს, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდეც ის, რომ ბოსნიელებმა თავისი ფეხბურთი ვერ ითამაშეს. აფრიკელები განსაკუთრებულ პრობლემებს ბოსნიელთა კაპიტან **ემირ სპაჰიჩს** უქმნიდნენ, რომელიც **ემანუელ ემენიკემ** რამდენჯერმე დაჩაგრა ფიზიკური ორთაბრძოლისას, მათ შორის გოლის ძალიან საკამათო ეპიზოდშიც.

სუშიჩი კვლავაც 4-3-3-ით თამაშობდა, თუმცა ასეთი შემტევი ტაქტიკისა და შემადგენლობის მიუხედავად, ბოსნიელთა იერიშები არც ისე მწვავე გახლდათ. ნიგერიელებისგან განსხვავებით, ისინი შორეულ დარტყმებს არ და ვერ მიმართავდნენ ხშირად. თუმცა ალგალაგ ხიფათი მაინც იქმნებოდა და უპირველეს ყოვლისა, შანსები **ედინ ჯეკოს** ექმნებოდა. ერთხელ ჯეკომ გაიტანა კიდეც, 0:1-ზე, მაგრამ გოლი უსამართლოდ გააუქმეს. მოგვიანებით სუშიჩმა მას **ვედად იბიშევიჩიც** შეუწყვილა, პასიური **სენად ლულიჩის** მაგივრად **სეად სალიჰოვიჩიც** გაიყვანა და ბოლოს თავისი ძმისშვილი **ტინო-სვენ სუშიჩიც**, მაგრამ ეს ყველაფერი უშედეგო გამოდგა.

ახალზელანდიელმა არბიტრმა თამაში გააფუჭა

გოლი

პიტერ ოდემვინგი (29) - ემენიკემ ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო, საჯარიმოსკენ შეაგორა და თავადაც შეჰყვა, გზად კი სპაჰიჩი ჩამოიშორა, ოღონდ ცოტათი ხელებიც დაიხმარა. ჯარიმის დანიშვნა თავისუფლად შეიძლებოდა, მაგრამ ო'ლირიმ სხვაგვარად განსაჯა. ემენიკემაც ოდემვინგი დაინახა და დასარტყმელად მიუგორა, ოდემვინგიმ კი ახლო მანძილიდან **ასმირ ბეგოვიჩს** ფეხებშუა გაუტარა ბურთი.

მატჩის გმირი

ემანუელ ემენიკე (ნიგერია)

ოფიციალურად საუკეთესოდ ოდემვინგი დასახელდა, მან შეხვედრის ერთადერთო გოლი გაიტანა, თუმცა იმ ეპიზოდშიც მინიმუმ 50%-ით გოლი ემენიკესი იყო. „ფენერბაჰჩეს“ 27 წლის თავდამსხმელმა ბოსნიელებს თავისი გაუთავებელი აქტიურობით ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა.

მსაჯი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიტერ ო'ლირიმ საშინლად იმსაჯა. ნიგერიის გოლის დროს ემენიკე სპაჰიჩს მთლად სუფთად არ ეთამაშა. აი, ჯეკოს გოლი კი ნამდვილად სუფთა იყო, მაგრამ ცრუოფსაიდის საბაბით გაუქმდა. წვირლმან შეცდომებზე საუბარი აღარც ღირს. ისე კი ბოლო წამებზე, როდესაც ჯეკოს შანსი ჰქონდა, მან თითქოს ხელით გაისწორა ბურთი, მაგრამ არბიტრებმა თამაში არც ამ ეპიზოდში შეაჩერებას, უბრალოდ ედინს არ გაუმართლა, ეს მისი და ბოსნიის დღე არ იყო.

ანალიზი

გამოჩნდა, რომ გამოცდილება რაც არ უნდა იყოს, ძალიან ბევრს ნიშნავს. ბოსნიელებმა საკუთარი პოტენციალის გამოვლენა და გამოყენება ვერ შეძლეს და მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებული დებიუტი არ გამოუვიდათ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემდეგ დიდ საფეხბურთო ფორუმზე, ისინი უკეთ ითამაშებენ, უფრო პრაგმატულად და თავდაჯერებულად, თორემ ტექნიკა და მონდომება არც ახლა აკლდათ. ფიზმომზადებაზე და დაცვაში ხარვეზების გამოსწორებაზე კი აშკარად სამუშაოა.

ირანთან თამაში რომ ადვილი არ არის ეს არგენტინამაც გამოსცადა თავის თავზე. ასე რომ, ნიგერიელების კრიტიკა სკეპტიკოსებს ნაადრევი მოსვლიათ. აფრიკელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ, რომელსაც კიდევ ბევრის გამწარება შეუძლია.

დასკვნა

ბოლო ტურში ბოსნიელები პრესტიჟისთვის და გულის მოსაფხანად შეეცდებიან ირანის დამარცხებას. ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ ვინ იცის ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე სუშიჩის გუნდს თამაში უკეთ გამოუვიდეს და კარიც გაიჯახუნოს.

ნიგერიას არგენტინასთან ძალიან მძიმე თამაში ექნება და ბედის ირონიით, გარკვეულწილად, სწორედ ბოსნიელთა იმედზე უნდა იყოს, რადგან თუ თავად დამარცხდა, პარალელურად ბოსნიელებმა ირანთან არ უნდა წააგონ. აქ დიდი მნიშვნელობა ანგარიშებს, ბურთების სხვაობებსაც ექნება, შეიძლება ნიგერია წაგების და ირანის მოგების შემთხვევაშიც გავიდეს შემდეგ ეტაპზე, ოღონდ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით უნდა დამარცხდეს და ირანელებმაც ოდენ ერთბურთიანი სხვაობით უნდა იმარჯვონ. თანაც მათი წაგება ირანელმთა გამარჯვებაზე უფრო „შედეგიანი“ უნდა იყოს - ანუ თუ ირანი 2:1-ს მოიგებს, ნიგერიამ 3:2 უნდა წააგოს და ასე შემდეგ.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. არგენტინა	2	2	0	0	3-1	6
2. ნიგერია	2	1	1	0	1-0	4
3. ირანი	2	0	1	1	0-1	1
4. ბოსნია	2	0	0	2	1-3	0

მომდევნო ტური

25 ივნისი

ნიგერია-არგენტინა	20:00
ბოსნია-ირანი	20:00

გვერდი მოამზადა
გიორგი კაკაბაძემ

A ჯგუფი. III ტური. კამერუნი-ბრაზილიას წინ

ბრაზილიელთა ორი მთავარი იმედი: ლუიშ ფელიპე სკოლარი და ნეიმარი

ოლონდაც ჰოლანდია არა

ბრაზილიას მარტო ის კი არა აქვს საინერვიულო, რომ მექსიკასთან 10-მატჩიანი მოგებათა სერიის დასრულების გამო მისი ავტორიტეტი შეილახა, დღეს მას პლეი ოფში სავარაუდო მეტოქეზეც მოუწევს ფიქრი. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ნამდვილად ვერ მოხიბლავს ჰოლანდიასთან დაპირისპირების პერსპექტივა, ვისაც ჯგუფში პირველობისთვის ბოლო მატჩში ქულაც ჰყოფნის. 1/8-ფინალში ერთ-ერთი ყველაზე არასასიამოვნო მეტოქის თავიდან ასაცილებლად მასპინძელმა კამერუნთან აუცილებლად უნდა აიღოს სამი ქულა და თანაც, რაც შეიძლება, მეტი გოლი უნდა გაიტანოს. გულშემატკივარი ამას „სელესაოსგან“ პირველ ორ ტურში ტყუილად ელოდა.

ფოლკერ ფინკეს შეგირდებს უთვალავი პრობლემა ჰქონდათ ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე. სასტარტო მატჩების შემდეგ ისინი არსად გამქრალან. „ლელო“ ამაზე უკვე წერდა და ამიტომ თავს აღარ შეგაწყენთ. გერმანელის შეგირდებს პირველივე მატჩის შემდეგ გამოაკლდათ **სამუელ ეტოო**, ვინც, შესაძლოა, ფორმაში არც იყოს, თუმცა თანაგუნდელებისთვის ლიდერისა და კაპიტნის მოედანზე ყოფნა მაინც მნიშვნელოვანია.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბრაზილია	2	1	1	0	3-1	4
2. მექსიკა	2	1	1	0	1-0	4
3. ხორვატია	2	1	0	1	5-3	3
4. კამერუნი	2	0	0	2	0-5	0

ლევან ბიბილაშვილი

23.06. ბრაზილია ნასიონალ დე ბრაზილია 23:59

კამერუნი

ურთიერთშეხვედრები
4 თამაში: +1=0-3 (1:7)

არბიტრი
იონას ერიქსონი (შვედეთი)

ბრაზილია

სავარაუდო შემადგენლობები

დისკვალიფიკაცია: სონგი - ტრავმა: ეტოო - ჰალკი

A ჯგუფი. III ტური. ხორვატია-მექსიკის წინ

ვისი იქნება ნაადრევი ცრემლი?

ამ მატჩისადმი მოლოდინი ძალიან დიდია, რადგან გუნდების მიერ წინა შეხვედრებში ნაჩვენები ფეხბურთი იმის გაფიქრების სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ დაპირისპირება ძალიან დაძაბული, დრამატული და დიდი შანსია, ამავდრიულად სანახაობრივი გამოვიდეს.

ვინ იცის, „არენა პერნამბუკანუზე“ გასამართი შეხვედრა მიმდინარე მუნდიალის ერთ-ერთ მშვენებად იქცეს, სულ მცირე ჯგუფური ეტაპის. ძალიან დასანანია, რომ წილისყრამ ასე ინება - ამ ორი მშვენიერი გუნდიდან ერთ-ერთმა ცრემლი უნდა ღვაროს და მუნდიალს ადრე დაემშვიდობოს.

აქამდე ჩატარებულ შეხვედრებში ორივე ნაკრებმა სიმპათიური შთაბეჭდილება დატოვა. უბრალოდ, სხვაობა ის არის, რომ მექსიკელებს ბრაზილიასთან უფრო გაუმართლათ და ქულა აიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხორვატებს ამ თამაშში მხოლოდ მოგება დაეკმაყოფილებთ. მექსიკელები კი ფრესაც სიამოვნებით მოაწერენ ხელს. მართალია, **მიგელ ერერას** გუნდს პირველ ადგილზე გასვლის შანსიც აქვს, მაგრამ მექსიკელებს კარგად ესმით, რომ ჯერ ბრაზილიელებზე მეტი ქულის დაგროვება ან უკეთესი ბურთების სხვაობის მიღება არარეალურია. ამიტომაც, მათთვის მთავარი არწაგებაა.

მექსიკას შეტევა უყვარს და გამოსდის, ამიტომაც, ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, იმის მტკიცების დაწყება, რომ „აცტეკები“ დაცვაში ჩაიკეტებიან, არ იქნება მართებული, მაგრამ ერერა შედარებით უფრო ფრთხილად ითამაშებს. თანაც, ეს ფორმატი მექსიკელებს ხელს აძლევთ, რადგან ხორვატიას დასაკარგი არაფერი აქვს, გარისკვა მოუწევს და ამ დროს, კონტრშეტევაზე მშვენივრად მოთამაშე „აცტეკებს“ მეტი სივრცე და საშუალებები ექნებათ. წინა ხაზზე მათი მთავარი იმედი, ისევ **ჯოვანი დოს სანტოსისა** და **ორიბე პერალტას** წყვილი იქნება.

ხორვატებმა კამერუნთან შეხვედრაში იფრინეს და ახლა გადამწყვეტი დუელისთვის ემზადებიან. **მარიო მანჯუკიჩი** დუბლით დაბრუნდა, **ივიცა ოლიჩი** და **ივან პერიშიჩი** ფლანგებზე დიდებულად გამოიყურებიან, ცენტრში **ივან რაკიტიჩი** და **ლუკა მოდრიჩი** ყველაფერს აკონტროლებენ, პასებს ანაწილებენ... **სტიპე პლეტიკოსა გილერმო ოჩოასავით** ყურადღების ცენტრში არ არის, მაგრამ ისიც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მოკლედ, თეორიულად **ნიკო კოვაჩს** ყველაფერი რიგზე აქვს. თუმცა ახალგაზრა სპეციალისტი ალბათ მაინც ფიქრობს ორ დეტალზე - ვინ დააყენოს მესამე კაცად ნახევარდაცვის ცენტრში და ვინ ათამაშოს დაცვის მარცხენა ფლანგზე. თუ მას მეტი სიმძიმე, ბალანსი და სტაბილურობა სჭირდება კვლავ ბრაზილიური ფესვების მქონე **სამირს** უნდა ენდოს. თუ კოვაჩი გარისკავს, აქცენტს თავიდანვე შეტევაზე გააკეთებს და ერთგვარ ავანტიურაზე წავა, ძირითადში **კოვაჩიჩს** ვიხილავთ. ამ ორ კანდიდატურას შორის, შუალედურ ვარიანტად კი **ბროზოვიჩიც** უნდა განვიხილოთ. **ივან სტრინიჩის** ტრავმის გამო, პრობლემად ქცეულ დაცვის მარცხენა ფლანგს რაც შეეხება, იქ ალბათ ისევ **დანიელ პრანიჩი** დადგება, რომელმაც კამერუნთან მშვენივრად იბურთავა და როგორც ჩანს, მიკროტრავმაც აღარ აწუხებს.

ერერა სავარაუდოდ, ისეც საყვარელი 5-3-2-ით ითამაშებს. ქარიზმატული ოჩოას გარდა, რომელიც შეეცდება ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩშიც მშრალად შეინახოს კარი. მექსიკელთა მთავარ მწვრთნელს იმისი იმედი ექნება, რომ თუნდაც ძალიან ტექნიკურ და სწრაფ ხორვატებს, მისი ხუთმცველიანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდებათ.

ვთქვათ ურთიერთშეხვედრებზეც - ამ ნაკრებებს შორის მხოლოდ ერთი ოფიციალური მატჩია ჩატარებული, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მექსიკამ **კვატემოკ ბლანკოს** პენალტით 1:0 მოუგო ხორვატიას. 1999 წელს კი ეს ნაკრებები ამხანაგურად გაეჯიბრნენ ერთმანეთს და იმ შეხვედრაში ევროპელებმა 2:1 იმარჯვეს.

გიორგი კაკაბაძე

23.06. რესიფე არენა პერნამბუკუ 23:59

ხორვატია

ურთიერთშეხვედრები
2 თამაში: +1=0-1 (2:2)

არბიტრი
რავშან ირმატოვი (უზბეკეთი)

მექსიკა

სავარაუდო შემადგენლობები

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: არავინ

ხორვატთა მთავარი იმედი მარიო მანჯუკიჩია

მუნდიალი 2014. ინგლისის ნაკრები

ხმები ჰოჯსონის მემკვიდრეებზე

ინგლისის ნაკრებმა მორიგი დიდი ტურნირი ჩააგდო. 1958 წლის შემდეგ მან პირველად ვერ მოახერხა ჯგუფური ეტაპის ბარიერის დაძლევა. თუკი 1974 და 1978-ის გამონაკლისებს არ ჩავთვლით, როცა „სამმა ლომმა“ საკვალიფიკაციო ეტაპებიც კი ვერ გადალახა, დანარჩენ შემთხვევებში ის პლეი ოფში ულაპარაკოდ გადიოდა: 1962, 1970, 1986, 2002 და 2006-ში მან 1/4-ფინალს უწია; 1966-ში ჩემპიონი გახდა; 1982-ში მეორე ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა; 1990-ში 1/2-ში პენალტებში მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა; 1998 და 2010-ის მუნდიალებზე კი 1/8-ში გამოვარდა.

ინგლისს უმაღლესი მიზნებისთვის საბრძოლველად მწვრთნელებისა და კაპიტნების ცვლა კი არა ახლებური მიდგომა სჭირდება. შეუძლებელია, სიტუაციას ობიექტურად აფასებდე და ბრაზილიაში გამგზავრებულ გუნდზე თქვა, რომ ის ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესოა. არადა, ინგლისში სწორედ ასეთი განწყობა იყო. კრიზისის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ ჩემპიონატის წინა ამხანაგური მატჩებისას გამოჩნდა, მაგრამ კუნძულზე არჩიეს, ისეთ „უმნიშვნელო ფეხის დაცდენაზე“, როგორიც იყო 10-კაციან ეკვადორთან უგოლო ფრე, ყურადღება აღარ გაემახვილებინათ. საწყის ორი მატჩში მარცხს არც გუნდის თავკაცის თავმოყვარეობა შეულახია ზომაზე მეტად. **როი ჰოჯსონი** საკუთარი ინიციატივით პოსტის დატოვებას არ გეგმავს, რადგან მისი თქმით, „მომავლის გუნდს“ აშენებს. *„მიუხედავად შედეგებისა, სულაც არ ვფიქრობ თანამდებობიდან წასვლაზე. იმედგაცრუებული ვარ, თუმცა ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობას ვერ ვხედავ. მეორე მხრივ, თუკი ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ ჩემთან თანამშრომლობა აღარ სურთ, ეს მათი გადაწყვეტილება იქნება,“* - განაცხადა ურუგვაისთან მატჩის შემდეგ მან.

წარუმატებლობის მიუხედავად, როი ჰოჯსონი გადადგომის საფუძველს ვერ ხედავს

„ქუინზ პარკის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** ასოციაციას ჰოჯსონის გათავისუფლებისკენ პირდაპირ არ მოუწოდებს, თუმცა ის „სამი ლომისთვის“ მწვრთნელობის საუკეთესო კანდიდატურებს ასახელებს. მისი აზრით, ინგლისელთა მოტივირებას ორადორი მწვრთნელი თუ მოახეხებს - **რობერტო მარტინესი** (ევერტონი) ან **ბრენდან როჯერსი** (ლივერპული). *„ვფიქრობ, რომ მერსისაიდულ კლუბებს ძალიან კარგი მწვრთნელები ჰყავთ. როცა რიი ნაკრებიდან წასვლის თარიღს გამოაცხადებს, ვისურვებდი, რომ ინგლისის ნაკრებს სათავეში მათგან ერთ-ერთი ჩასგომოდა. ოდნავადაც არ მიკვირს, რომ ნაკრებს ტალანტები აკლია, რადგან დიდი ხანია, ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა თაობის პრიორიტეტი ეროვნული გუნდი აღარ არის. ის, რომ ბრაზილიაში გუნდს თან ახლდნენ შოუ, ბერკლი და სტერლინგი, შეიძლებოდა ნამდვილი გარღვევა ყოფილიყო, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთელებზე განსაკუთრებულ კვალს ტოვებს. ხშირად ის თავბრუსხვევასაც უწყობს ხელს. პატარა ბიჭები ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ, კლუბებში წარმოუდგენლად დიდ ფულს შოულობენ. შესაბამისად, ვეღარც ნახულობენ მოტივაციას, თუ რატომ უნდა იბრძოლონ ნაკრებში მოსახვედრად, რომელიც, მათი აზრით, უკვე ისტორიის სანაგვეზეა მოსასროლი,“* - აცხადებს რედნაპი, ვინც ჰოჯსონამდე თავად განიხილებოდა **ფაბიო კაპელოს** ყველაზე რეალურ მემკვიდრედ.

ლევან ბიბილაშვილი

B ჯგუფი. III ტური. ავსტრალია-ესპანეთის წინ

23.06. ურიტიბა
არენა და ბაიშადა
20:00

ავსტრალია

ურთიერთშეხვედრები
არ შეხვედრიან

არბიტრი
ნავაფ შუკრალა (ბაჰრეინი)

ესპანეთი

სავარაუდო შემადგენლობები

დისკვალიფიკაცია: კეჰილი - **ტრავმა:** - დე ხეა, პიკე

ფურია როხას ბანაკში არეულობაა

უცნაური დებიუტანტები, რომლებიც ნაკრებს ემშვიდობებიან

საოცარია, მაგრამ ფაქტია - კურიტიბაში ფრე მსოფლიოს ჯერაც მოქმედ ჩემპიონს (სანამ ახლის ვინაობა გაირკვევა) ჯგუფში უკანასკნელ ადგილზე გაიყვანს. ეს თამაში ძალიან ბევრი ესპანელისთვის და მათ შორის ალბათ თავად ვისენტე დელ ბოსკესთვის, უკანასკნელი სანაკრებო იქნება. ზემოთ ჩამოთვლილი ორი მიზეზის გამო ავსტრალიელი დამცველები ყურადღებით უნდა იყვნენ...

ზემოთ კი ვახსენეთ **დელ ბოსკეც** წამსვლელთა შორის, მაგრამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ჯერჯერობით სხვაგვარად ფიქრობს. ფედერაციის გენერალურ მდივან **ხორხე პერესსა** და დელ ბოსკეს შორის ჩილესთან მატჩის შემდეგ მცირე მოლაპარაკება შემდგარა, რომელიც 5 წუთზე მეტი არ გაგრძელებულა. პერესმა დელ ბოსკე ამ მცირე დროშიც დაარწმუნა, რომ მის გადადგომას არ მიიღებენ, 2016 წლამდე ის ესპანეთის ნაკრების თავკაცია.

დელ ბოსკეს პასუხი კი ასეთია - *„გავკეთებ იმას, რასაც მართებულად ჩავთვლი. თუ მე ვიქნები ნაკრების ხელის შემშლელი ფაქტორი, აუცილებლად წავალ გუნდიდან“.*

ახალი სახეები ავსტრალიასთან

ავსტრალიასთან შეხვედრა შინ გაბრუნებამდე ბოლო შანსია, მაყურებელს რაღაც ღირებული აჩვენოს „ფურია როხამ“. ძალიან დიდია ალბათობა, რომ დელ ბოსკე კარდინალურად შეცვლის შემადგენლობას.

ჩაბი ალონსოს განცხადებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია

კარში ალბათ **პეპე რეინა** ჩადგება, რომლისთვისაც ეს იქნება პირველი მატჩი მუნდიალებზე, იმის მიუხედავად, რომ მისთვის ბრაზილია 2014 მესამე მსოფლიო პირველობაა. **დავიდ ვილიას** ექნება შანსი თავისი 58-გოლიანი რეკორდი გააუმჯობესოს ესპანეთის ნაკრებში და ეს ალბათ ბოლო შანსი იქნება. სავარაუდოდ, ვიხილავთ **ხუანფრანს, ალბიოლსა** და **მატას**. ზემოთ ჩამოთვლილი 5 ფეხბურთელი მუნდიალის დებიუტანტი იქნება. მეექვსეს, **დავიდ დე ხეას** კი შანსი არა აქვს - ის ტრავმირებულია.

ესპანეთის ნაკრების ბანაკიდან გუნდის გამოსვლა ყველაზე მეტად **ჩაბი ალონსომ** გააკრიტიკა: *„ჩვენ არ აღმოვჩნდით მზად არც მენტალურად და არც ფიზიკურად ამ მუნდიალისთვის. ვერ შევძელით ის ამბიცია და ტიტულების მოპოვების შიმშილი შეგვენარჩუნებინა, რაც ასე გვახასიათებდა“.* ბასკის ამ განცხადებამ ესპანეთის ნაკრების ბანაკში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც **სანტი კასორლამ** გამოხატა კიდევაც მედიასთან საუბარში.

ესპანეთის ბანაკში აშკარად არ არის იდეალური სიტუაცია - შაბათს ვარჯიშზე ინციდენტიც კი მოხდა დელ ბოსკესა და **სესკ ფაბრეგასს** შორის. მწვრთნელი ფაბრეგასს მონდომებას უწუნებდა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ სესკმა ვარჯიში დაუყოვნებლივ დატოვა ველოსიპედით.

ლიდერის გარეშე

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიის ნაკრებმა ორი მარცხი განიცადა და ესპანეთის დარად, მუნდიალს ნაადრევად დაემშვიდობა, „სოკერუსის“ ბანაკში შედარებით სიმშვიდეა. ერთი, რომ ამ ჯგუფიდან ავსტრალიის ნაკრების გასვლას ისედაც არ ელოდნენ და მეორეც, მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს ურიგოდ არ უთამაშიათ. ესპანელებთან მატჩში არ იქნება ვეტერანი ლიდერი **ტიმ კეჰილი**, რომლის ანგარიშზეც ამ მუნდიალზე ორი გოლია, ის დისკვალიფიცირებულია. მას **მეტიუ ლეკი** შეცვლის, ვინც ჰოლანდიასთან მარჯვენა გარემარბად ითამაშა, ლეკის ადგილს კი **ბენ ჰალორენი** დაიკავებს.

„ესპანელთა შედეგები გასაკვირია. არის კი ესპანეთის ნაკრები ასეთი ცუდი? რა თქმა უნდა, არა“, - ეს **მაილ ჟედინაკის** სიტყვებია.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰოლანდია	2	2	0	0	8-3	6
2. ჩილე	2	2	0	0	5-1	6
3. ავსტრალია	2	0	0	2	3-6	0
4. ესპანეთი	2	0	0	2	1-7	0

ნიკოლოზ ნეფარიძე

B ჯგუფი. III ტური. ჰოლანდია-ჩილეს წინ

ინტრიგა: ვინ შეხვდება ბრაზილიას?

23.06. სან პაულო
არენა ჯორინთიანსი
20:00

ჰოლანდია

ურთიერთშეხვედრები
1 თამაში: +0=1-0 (2:2)

არბიტრი
ბაკარი გასამა (გამბია)

ჩილე

სავარაუდო შემადგენლობები

დისკვალიფიკაცია: ვან პერსი - **ტრავმა:** არავინ

ბოლო ტურის წინ B ჯგუფიდან გამსვლელი ორი გუნდის ვინაობა ცნობილია და რაოდენ გასაკვირია, რომ მათ რიცხვში ვერ მოხვდა ესპანეთის ეროვნული გუნდი. ვისენტე დელ ბოსკეს შეგირდებმა ჩააგდეს პირველობა და შედეგად, პლეი ოფში ჰოლანდია და ჩილე იასპარეზებენ. თუმცა არ იფიქროთ, მესამე ტურში დაგეგმილი ლიდერთა ჯახი უინტერესო იყოს - გუნდები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეასკდებიან ერთმანეთს, რადგან უდიდესი ალბათობით, ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი მერვედფინალში ბრაზილიას შეხვდება, ეს კი არავის სურს.

ტაქტიკა და შემადგენლობა

ჰოლანდიის ნაკრებმა პირველი ორი მატჩი 3-5-2 სქემით ითამაშა, ბოლო პაექრობას კი დიდი ალბათობით, 4-3-3 ტაქტიკით ჩაატარებს. **იანმაატი** და **ბლინდი** უკან დაიწევენ და კლასიკური ფლანგის მცველები იქნებიან, შუა ხაზს კი შემდეგი სამეული გაამაგრებს: **დე გუზმანი, სნეიდერი** და **დე იონგი**. რაც შეეხება შეტევას, ფლანგებზე **რობენი** და **დეპაი** გაირჯებიან, გამოკვეთილი ცენტრფორვარდი კი **კლას-იან ჰუნტელაარი** იქნება. საქმე იმაშია, რომ რობინ ვან პერსიმ ორი ყვითელი ბარათი მიიღო და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერა. შესაბამისად, **ჰუნტელაარს** შანსი გაუჩნდა საკუთარი შესაძლებლობები დაამტკიცოს.

რაც შეეხება ჩილეს ნაკრებს, გუნდი კვლავ 3-5-2 სქემით გაირჯება, შეტევის წინა ხაზზე კი ისევ **სანჩესი** და **ვარგასი** იმოქმედებენ. ჩილელთა მთავარი იარაღი მობილური ნახევარდაცვა და სწრაფი შეტევაა - სამხრეთამერიკელთა მთავარი მწვრთნელი **ხორხე სამპაოლი** არც ტაქტიკას შეცვლის და მით უმეტეს, არც სტრატეგიას.

მთავარი მისია

კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ იმ ფაქტს, რომ გუნდები ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად იბრძვიან, ეს კი დიდი ალბათობით, ბრაზილიისგან თავის არიდების ტოლფასია. დიახ, B ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი A ჯგუფში პირველ ადგილოსანს ხვდება, იქ კი ლიდერი სწორედ ბრაზილიაა. რაც არ უნდა კარგი გუნდი იყო და საკუთარი ძალებისა გჯეროდეს, როგორია მერვედფინალურ ეტაპზე „სელესაო“ ჩემპიონატს გამოთიშო? - ასეთ რთულ მისიასთან შეჭიდება წესით არავის უნდა სურდეს, მაგრამ როგორც მოსასლოდნელი იყო, მწვრთნელები ამ ფაქტორზე დიდ ყურადღებას არ ამახვილებენ.

ლაშა წიკლაური

C ჯგუფი. II ტური

გერმანია-განა 2:2

გოლები: 1:0 გიოტცე (51), 1:1 ა. აიუ (54), 1:2 გიანი (63), 2:2 კლოზე (71)

გერმანია (4-2-3-1): ნოიერი - ბოატენგი (46. მუსტაფი), ჰუმელსი, მერტეზაკერი, ჰიოვედესი - ლამი, ხედირა (70. შვაინშტაიგერი) - კროოსი, იოზილი, გიოტცე (69. კლოზე) - მიულერი

განა (4-2-3-1): დაუდა - აფული, ბოი, მენსა, კ. ასამოა - მუნტარი, რაბიუ (72. Aგიემანბადუ) - ბოატენგი (52. ჯ. აიუ), ატსუ (72. მუბარაკი), ა. აიუ - გიანი

გაფრთხილება: - მუნტარი

კარში დარტყმა: 11-20 (6-10) **კუთხური**: 7-3 **თამაშგარე**: 1-5 **ჯარიმა**: 11-17 **ბურთის ფლობა**: 59%-41%

მაყურებელი: 59 621

მანშაფტმა უკანასკნელი სამი დიდი ტურნირიდან ორში ჯგუფური ეტაპების მეორე ტურში ვერ მოიგო: 2008 წელს მან ხორვატიასთან დათმო (1:2), 2010-ში სერბეთთან (0:1). გამონაკლისი იყო მხოლოდ ევრო 2012, როცა გერმანიამ სამივე მატჩში იმარჯვა.

ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

იოახიმ ლიოვი ტრადიციულ განლაგებას რომ არ უღალატებდა, ყველასთვის ნათელი იყო. გერმანია კიდევ ერთხელ დაეყრდნო პორტუგალიის მომგებ შემადგენლობას. გაუგებარი დარჩა, რა გახდა მეორე ტაიმში **შკოდრან მუსტაფის** თამაშში ჩართვის მიზეზი. მან პორტუგალიასთანაც ითამაშა, თუმცა ტრავმირებული **მატს ჰუმელსის** ნაცვლად. აშკარა იყო, რომ 22 წლის ფეხბურთელს თანაგუნდელებიც კი არ ენდობოდნენ. სწორედ სამპდორიელმა წააგო ბრძოლა მეორე სართულზე, როცა განამ ანგარიში გაათანაბრა.

კვასი აპიამ კი ძირითადში 3 ახალი ფეხბურთელი დააყენა - მეკარე, მარჯვენა მცველი და ცენტრალური ნახევარმცველი. ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ძმები **ჟერომ** და **კევინ-პრინს ბოატენგები**.

გოლები

1:0 - ანგარიში გერმანელთა შეტევაში დამკვიდრებული ორგანიზებული ქაოსის წყალობით გავიდა. **თომას მიულერმა**, ვისაც განელები ყველაზე მეტად ელოდნენ შეტევის წინა ხაზზე, მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში **მარიო გიოტცე** მონახა, ვინც ბურთს თავი რატომღაც თვალდახუჭულმა დაახვედრა, თუმცა მუხლში მოირტყა და ანგარიში გახსნა.

1:1 - სულ რაღაც 3 წუთი იყო გასული, როცა განელთა გაჭიანურებული შეტევა **ანდრე აიუმ** დააგვირგვინა. იქამდე მატს ჰუმელსმა ბურთი 2-ჯერ ცუდად გამოიტანა, მუსტაფის კი საჰაერო ორთაბრძოლისთვის ახტომა აზრადაც არ მოსვლია.

კლოზე, კაცი ისტორია

1:2 - 63-ე წუთზე **ფილიპ ლამის** გადაცემა **სალი მუნტარიმ** ჩაჭრა და **ასამოა გიანი** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. უკანასკნელმა **მანუელ ნოერს** აუღებელი დაურტყა.

2:2 – **ტონი კროოსის** კუთხურის შემდეგ **ბენი ჰიოვედესმა** თავზე ბრძოლა იოლად მოიგო და შორეულ ძელთან ჩასაფრებულ **მიროსლავ კლოზეს** გადააწოდა, ვინც ერთი მეტრიდან ბურთი ცარიელ კარში გადაგზავნა.

მატჩის გმირი

მიროსლავ კლოზე (გერმანია)

მიროსლავ კლოზემ უკვე მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოახერხა გატანა. გერმანელის ნებისმიერი მომდევნო შედეგიანი დარტყმა ამიერიდან სარეკორდო იქნება. იმისთვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი გახდეს, კლოზეს დრო ჯერ კიდევ აქვს. იქამდე კი ის ამ პატივს ბრაზილიელ **რონალდოსთან** ერთად იყოფს. *„მუნდიალებზე 20 შეხვედრაში 15 გოლი კარგი შედეგია. უბედნიერესი ვარ, რომ რონალდოს მიღწევა გავიმეორე. ის უდიდესი თავდამსხმელი და ძალიან კარგი პიროვნებაა. იმედი მაქვს, რომ თამაშისა და გოლების გატანის შანსი ბრაზილიაში კიდევ მომეცემა. ამ ეტაპზე უმთავრესია, რომ ამერიკასთან სასურველ შედეგს მივაღწიოთ,“* - განაცხადა მატჩის დასრულების შემდეგ კლოზემ.

მსაჯი

სანდრო რიჩის იოლი მატჩი ნამდვილად არ შეხვედრია. მსაჯთა ბრაზილიურმა ბრიგადამ შესანიშნავად იმუშავა. მას ამის საშუალება გუნდებმაც მისცეს, რომლებიც ხისტად კი თამაშობდნენ, თუმცა განსაკუთრებული უხეშობა არ ყოფილა. არ ყოფილა არც საეჭვო თამაშგარე და პენალტზე გათვლილი ვარდნა საჯარიმოში. პლუს, ოთხივე გოლი წესების დაცვით გავიდა.

დასკვნა

გერმანია და განა ისტორიაში მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. შორეული 1993 წლის შემდეგ, როცა ალემანებმა 6:1 იმარჯვეს, გუნდები, ისევე როგორც შაბათ საღამოს, ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე გადაეყარნენ. ოთხი წლის წინ გერმანიამ მესუთ იოზილის გოლით იმარჯვა. ფორტალეზაშიც უპირობო ფავორიტად იოახიმ ლიოვის გუნდი მიიჩნეოდა, ძირითადად პორტუგალიასთან 4:0-ის გავლენით. როგორც აღმოჩნდა, მანშაფტი არც ისე უცოდველია, როგორც აქამდე გვეგონა.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	2	1	1	0	6-2	4
2. აშშ	1	1	0	0	2-1	3
3. განა	2	0	1	1	3-4	1
4. პორტუგალია	1	0	0	1	0-4	0

მომდევნო ტური

26 ივნისი

პორტუგალია-განა	**20:00**
აშშ-გერმანია	**20:00**

ლევან ბიბილაშვილი

მიროსლავ კლოზე მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა დროის თანაბომბარდირი გახდა

Nemiroff

რუბრიკის სპონსორი

H ჯგუფი. II ტური. ბელგია-რუსეთი

ვილმოტსს ჯოკრები არ ეღირა

ბელგიის ნაკრები მერვედფინალშია, რუსეთს ალჟირთან „ფინალი“ ელის

ბელგია–რუსეთი 1:0

გოლი: 1:0 ორიჯი (88)

ბელგია (4-2-3-1): კურტუა - ალდერვეირელდი, ვან ბუიტენი, კომპანი, ვერმალენი (31. ვერტონგენი) - ვიტსელი, ფელაინი - მერტენსი (72. მირალიაში), დე ბრუინი, აზარი - ლუკაკუ (57. ორიჯი)

რუსეთი (4-2-3-1): აკინფეევი - კოზლოვი (62. იუშჩენკო), ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, დ. კომბაროვი - გლუშაკოვი, ფაიზულინი - სამედოვი (90. კერჟაკოვი), შატოვი (83. ძაგოევი), კანუნიკოვი - კოკორინი

გაფრთხილება: ვიტსელი, ალდერვეირელდი - გლუშაკოვი

კუთხური: 5-8; **ჯარიმა**: 14-9; **თამაშგარე**: 7-0; **კარში დარტყმა**: 12-12 (2-3); **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

მაყურებელი: 73 819

ბელგიელებმა მერვედფინალში თამაში გაინაღდეს

ბელგიამ ალჟირს 2:1 რომ მოუგო, დავწერეთ, რომ მიუხედავად გამარჯვებისა, მარკ ვილმოტსის გუნდის თამაშით იმედგაცრუებულები ვიყავით, თუმცა იქვე დავამატეთ, რომ პირველი მატჩის შემდეგ დასკვნების გაკეთება ნაადრევი იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის იდუმალ ფავორიტად შერაცხულმა ბელგიის ნაკრებმა ვერც რუსეთთან იფრინა, მაგრამ ფაბიო კაპელოს გუნდი ბოლოს მაინც გატეხა, მინიმალური ანგარიშით დაამარცხა და ფაქტია, რომ მერვედფინალში თამაში გაინაღდა. ვილმოტსის გუნდს გამარჯვება ამჯერადაც შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა მოუტანა, რაც ამ სპეციალისტის იღბლიანობასა და კარგ სამწვრთნელო „ყნოსვაზე“ მეტყველებს - ეს პატივი ახლა წილად დივოკ ორიჯის ხვდა.

რეაქციები

მარკ ვილმოტსი (ბელგიის ნაკრების მწვრთნელი): „*ახლა შეგვიძლია თამამად ვიზეიმოთ, ოღონდ ზომიერად და ამ გამარჯვებით უნდა დავტკბეთ. ამავდროულად, ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ.*“

ფაბიო კაპელო (რუსეთის ნაკრების მწვრთნელი): „*მინიმუმ ერთი გოლი უნდა გაგვეტანა. საამისოდ, რამდენიმე შანსი გვქონდა. ორთაბრძოლებით დატვირთული თამაში გამოვიდა. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია და არ უნდა წაგვეგო.*“

ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

ვილმოტსმა თავისი გუნდის ძირითადი შემადგენლობა სამ პოზიციაზე შეცვალა. **ფელაინი** და **მერტენსი**, რომლებმაც წინა შეხვედრა მოაგებინეს, ამჯერად სასტარტოში გაამწესა (**შადლის** და **დემბელეს** ნაცვლად), **ვერტონგენი ვერმალენით** შეცვალა, **ლუკაკუს** კი კიდევ ერთი შანსი მისცა.

კაპელომ მხოლოდ ორი ცვლილება შეიტანა: **ჟირკოვი** სკამზე დატოვა და მის ნაცვლად ძირითადში **კანუნიკოვი** ვიხილეთ. დაცვის მარჯვენა ფლანგზე **იუშჩენკო კოზლოვმა** შეცვალა. **ალან ძაგოევი** ისევ სათადარიგო გახლდათ და მოედანზე მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოჩნდა.

მატჩის გმირი

დივოკ ორიჯი (ბელგია)

დივოკ ორიჯი თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო - შეცვალა ლუკაკუ, რომელმაც კიდევ ერთხელ გაგვიცრუა იმედები. გამარჯვების გოლი სწორედ 19 წლის ფორვარდის ანგარიშზეა და ამ გოლით მან ბელგიის ნაკრები მერვედფინალში გაიყვანა.

მსაჯი

ფელიქს ბრიხს 26-ე წუთზე ბელგიის ნაკრების კარში პენალტის დანიშვნა მართებდა - **ალდერვეირელდმა კანუნიკოვს** ნამდვილად ფეხში მოარტყა. სხვა მხრივ, გერმანელმა არბიტრმა საკმაოდ კარგად და სოლიდურად იმსაჯა.

ანალიზი

რუსეთის ნაკრები, როგორც კაპელოს ხელში სჩვევია, ძალიან კომპაქტურად იდგა. დონ ფაბიოს შეგირდები აკინფეევის კარისკენ მისასვლელ დერეფნებს აკონტროლებდნენ.

ბელგიელთა იერიშები ძირითადად ვიტსელზე იყო აგებული - შეტევებს უმეტესად ეს უკანასკნელი იწყებდა. თუმცა ფელაინი, ვიტსელი და დე ბრუინი ცენტრში უმეტესად მოქნილად მოქმედებდნენ და პოზიციებს ცვლიდნენ. მაგალითად, პირველ ტაიმში **დე ბრუინს** თითქმის ყველგან ნახავდით. ბელგია პირველ წუთებში გაცილებით უკეთ თამაშობდა, მერე კი უკლო - თითქოს რისკზე წასვლას ერიდებოდნენ. რუსების მთავარი მიზანი კი საკუთარი კარის უსაფრთხოება გახლდათ და ამ ამოცანას ძალიან დიდხანს კარგადაც ართმევდნენ თავს. რუსები მხოლოდ კონტრშეტევით უტევდნენ და პირველი ტაიმის მიწურულს ძალიან კარგი მომენტიც შეექმნათ, რომელიც ვერ გამოიყენეს (**კოკორინი**).

მატჩის მიწურულს ბელგიელებმა მნიშვნელოვნად მოუმატეს და სანადელს მიაღწიეს კიდეც, რაც შესვლაზე შესული ფეხბურთელების დამსახურებაა: ჯერ იყო და, **მირალიაშმა აკინფეევის** კარის ძელი მოიკითხა, მერე კი რუსები ორიჯიმ დასაჯა.

დასკვნა

ბელგიელებს ცოტათი გაუმართლათ, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ გამარჯვება არ დაიმსახურეს. მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ ვილმოტსის გუნდი გაცილებით მაღალი კლასისაა.

გოტფრიდ ლენცი

H ჯგუფი. II ტური

გოლების წვიმა არ წყდება

აისა მანდი გამარჯვებას ზეიმობს

სამხ. კორეა–ალჟირი 2:4

გოლები: 0:1 სლიმანი (26), 0:2 ჰალიჩე (28), 0:3 ჯაბუ (38), 1:3 სონი (50), 1:4 ბრაჰიმი (62), 2:4 ჩოელ კო (72).

სამხ. კორეა (4-4-1-1): იუნგი - იუნგ ლი (64. ჰო ლი), ჰონგი, კიმი, იუნი - იუნგ კი, იუნგ ჰანი (78. ვონ ჯი), ჩუნგ ლი, ჩოელ კო - იუნგ პარკი (57. კიმი) - მინ სონი.

ალჟირი (5-4-1): მბოლი - მანდი, მედანი, ბუგერა (89. ბელკალემი), ჰალიჩე, მესბა - ფეგული, ბრაჰიმი (77. ლასენი), ჯაბუ (73. გილასი), ბენტალები - სლიმანი.

გაფრთხილება: იუნგ ლი, იუნგ ჰანი - ბუგერა.

კუთხური: 7-5; **ჯარიმა**: 14-16; **თამაშგარე**: 1-1; **კარში დარტყმა**: 8-13(4-5); **ბურთის ფლობა**: 54%-46%.

მაყურებელი: 55 300

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კორეისა და ალჟირის დაპირისპირება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამასთან, აღნიშნულმა მატჩმა კიდევ უფრო გაამყარა ბრაზილიური მუნდიალის იმიჯი, რომელიც სანახაობასთან და ბევრ გოლთან ასოცირდება. აფრიკულ-აზიულ დაპირისპირებაში 6 გატანილი ბურთი ვიხილეთ, გამარჯვება კი ალჟირის ეროვნულმა გუნდმა მოიპოვა.

ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

ერთი შეხედვით, ორივე გუნდი დაცვითი ტაქტიკით გავიდა მოედანზე, მაგრამ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ თამაშის ხასიათს სტრატეგია განსაზღვრავს და არა ტაქტიკა. ალჟირელები ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობდნენ, მაგრამ ძალიან აქტიურობდნენ ფლანგებზე **ფეგული** და **ბენტალები**. შეტევაში ხშირად ერთვებოდნენ უკანახაზელებიც და შედეგად, გოლების ნაწილი მათზე მოდის. რაც შეეხება სამხრეთ კორეას, პირველ ტაიმში გუნდი ძალიან არეული და დაბნეული იყო, ამიტომ, არც ტაქტიკა ჩანდა და არც სტრატეგია - მეორე ნახევარში კი სამი თავდამსხმელით შეუტიეს და ამან გამოიღო კიდეც შედეგი.

გოლები

გულშემატკივარმა ყველა გემოვნების გოლი იხილა. ალჟირელმა ფორვარდმა **სლიმანმა** ისე დიდოსტატურად შეიგდო ბურთი საჯარიმოში და ბრძოლაში გადაგზავნა მეტოქის კარში, რომ ნებისმიერ ვარსკვლავს შეშურდებოდა. მეორე და მესამე გოლი აფრიკელებმა კომბინაციებით გაიტანეს, აი კორეელთა პირველი საპასუხო ბურთი კი **სონის** ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი იყო - ერთბაშად რამდენიმე მცველს დაახვია თავბრუ და ბურთი ბადეში შეაგორა. შემდეგ იყო ალჟირელებთა ორსვლიანი კომბინაცია - **ჩოელ კომ** მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ბურთი კარში გადაგზავნა.

მატჩის გმირი

ისლამ სლიმანი (ალჟირი)

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ისლამ სლიმანი უნდა დავასახელოთ, რომელმაც ბრწყინვალე გოლი გაიტანა და ერთადერთი ფორვარდის როლი იდეალურად შეასრულა.

ანალიზი და დასკვნა

ორი სრულიად განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. პირველ ნახევარში, ალჟირმა პირნმინდად დაჯაბნა მეტოქე და სამი უპასუხო გოლი გაიტანა, მეორეში კი აზიელები გაისარჯნენ უკეთესად და თავიდანვე რომ ასე ეთამაშათ, მინიმუმ ფრეს გამოჰკრავდნენ ხელს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბელგია	2	2	0	0	3-1	6
2. ალჟირი	2	1	0	1	5-4	3
3. რუსეთი	2	0	1	1	1-2	1
4. ს. კორეა	2	0	1	1	3-5	1

მომდევნო ტური

26 ივნისი

ალჟირი-რუსეთი	23:59
კორეა-ბელგია	23:59

ლაშა ნიკლაური

● თბილისის თასი

არგენტინელი იაგუარების ბასრი ბრჭყალები

22.06. თბილისი. აჭარა

საქართველო 34

მზ. იტალია 10

საქართველო (15-9) **წიკლაური, გიორგაძე, შარიქაძე, გიგაური (მჭედლიძრ 61), თოდუა, მალაღურაძე, ბეგაძე (როხვაძე 61). (1-8) ჟვანია, მამუკაშვილი (კავთიძე 68), ქუბრიაშვილი (ყუფარაძე 75), ნემსაძე, მიქაუტაძე (ლომიძე 61), სუთიაშვილი, თხილაიშვილი (ბერიშვილი 59), ბიწაძე (ბასილაია 50).**

4ლ: ჟვანია, საჯარიმო (2), გიორგაძე. 4გ,1ს: მალაღურაძე. ა:წიკლაური.

მზ.იტალია: (15-9) **ოდიეტე, რაგუსი (ჩიკინელი 55), ბონი, კასტელო, ვისნტინი (ბაკინი 69), ამბროზინი, ვიოლი. (1-8) ლოვოტი (სკარსინი 55), გეგა, რომანო, ჯეროსა, ანდრეოტი, მბანდა, კაფინი, ფერო.**

ლ: ბაკინი. გ: ამბროზინი.

მსაჯი: **დადლი ფილიპსი (ირლანდია)**

თბილისის თასი არგენტინაში წაიღეს

საქართველოს ნაკრებმა თბილისის თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო ტურის მატჩში მზარდ იტალიას 34:10 მოუგო და ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა.

„ბორჯღალოსნებმა“ მესამე მატჩში, წინა შეხვედრისგან განსხვავებით უკეთ ითამაშეს. საგულისხმოა, რომ გუნდის შემადგენლობა ისევ საგრძნობლად იყო შეცვლილი. ძირითადში დაბრუნდნენ პირველხაზელები **დავით ქუბრიაშვილი** და **შალვა მამუკაშვილი**. მესამე ხაზს წინ ისევ გუნდის კაპიტანი **შალვა სუთიაშვილი** მუძღოდა.

უკანა ხაზში ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილის** ნაცვლად **ბექა წიკლაური** დააყენეს. ფრთაზე კი, ახალგაზრდა გარემარბმა **მურაზ გიორგაძემ** დაიკავა **თამაზ მჭედლიძის** ადგილი. პირველად ითამაშეს დუეტში შუამარბებმა **მერაბ შარიქაძემ** და **რეზო გიგაურმა.** ცხადია, მეორე ტურში ჩვენი მძლეველი არგენტინა იტალიაზე უკეთესი გუნდია და ამიტომ, აპენინელებთან მარცხი არაფრით შეიძლებოდა.

ამასთან ერთად, „ბორჯღალოსნებს“ მატჩის წინ დამატებითი მოტივაცია გაუჩნდათ. შერკინების კვაჭი **სიმონ მაისურაძე** თამაშის წინა დღეს მენინგიტის დიაგნოზით ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჰიმნის დროს ჩვენს მორაგბეებს ხელში ეჭირათ აბრა წარწერით - „სიმონ, შენ შეძლებ, ჩვენ ერთი გუნდი ვართ“.

ცხადია, გასაკვირი არ იყო, რომ ბიჭებმა გამარჯვება თანაგუნდელს მიუძღვნეს. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნაკრები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას. იმდენად, რომ პირველ ნახევარში ჩვენს 22-მეტრიან ზონაში იტალიელებმა პირველად 31-ე წუთზე შეაღწიეს.

საგულისხმოა, რომ იტალიური რაგბის ხვალინდელ დღეს ჩვენმა მორაგბეებმა ყველაფერში აჯობეს. შერკინებაში, დერეფანში, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებაში ქართველი მორაგბეების უპირატესობა თვალნათელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქე თავიდანვე საკუთარი 22-მეტრიანი ზონის ხაზს მიაჯაჭვეს, ანგარიშის გახსნა მხოლოდ მე-13 წუთზე შეძლეს. საჯარიმო მგეზავმა **ლაშა მალაღურაძემ** გაიტანა, თუმცა მანამდე ჯარიმა კარში ორჯერ არ დავარტყით, ორჯერვე ჩვენმა გუნდმა შერკინება მოითხოვა. მე-11 წუთზე კი, მალაღურაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

ექვს წუთში „ბორჯღალოსნებს“ კიდევ ერთხელ უნდა დაერტყათ საჯარიმო, მაგრამ სანამ არბიტრი თამაშს გააჩერებდა, ფულბეკმა **ბექა წიკლაურმა** არეკნით დალაშქრა იტალიელთა კარი - 6:0. „ბორჯღალოსნები“ ზეწოლას სულ უფრო აძლიერებდნენ. ჯერ მეორეხაზელმა **გიორგი ნემსაძემ** მოიგო იტალიელთა დერეფანი, მერე მესამეხაზელმა **ბექა ბიწაძემ** იყოჩაღა. ნელ-ნელა შერკინებაც შევავიწროეთ, რაც მატჩის პირველი ლელოს საწინდარი გახდა.

23-ე წუთზე ჩვენმა გუნდმა მეტოქის შერკინება მისსავე 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან მოიგო. ბურთი ბიწაძემ აიტაცა და შეუტია. მერე მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე იერიში წიკლაურმა განაგრძო. იტალიელებმა მისი შეჩერება შეძლეს, მაგრამ მორკინალები რამდენიმე მოკლე დარტყმით ჩათვლის მოედანს ორ მეტრში მიუახლოვდნენ. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი შერკინების ბურჯმა **ზურაბ ჟვანიამ** აიტაცა და ლელოში გადადო. მალაღურაძემ ზუსტად გარდასახა - 13:0. აღსანიშნავია, რომ ჟვანია მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო სხვა ორ მატჩშიც, რომელიც თბილისის თასზე საქართველოს ნაკრებმა გამართა.

ტაიმის დასრულებამდე „ბორჯღალოსნებს“ კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ ლელოს გატანა, მაგრამ ტექნიკური წუნის გამო ვერ ახერხებდა. მეორე ნახევარში ჩვენი გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. შერკინებაში განზრახ წესის დარღვევისთვის მატჩის არბიტრმა მეტოქის პირველხაზელი გაასინბინა. ეს შესანიშნავად გამოიყენეს ჩვენმა მორაგბეებმა და ორჯერ 49-ე და 55-ე წუთებზე საჯარიმო ლელო მიითვალეს. ორჯერვე, თითქმის ერთსა და იმავე ადგილზე დანიშნულ შერკინებაში, ჩვენმა მორაგბეება მეტოქის მორკინალების ლელოში შეთრევა სცადეს, იტალიელებს უკან დაახევინეს და მეტოქე ორჯერვე წესის დარღვევით შეეცადა ლელოსგან თავის დახსნას. ორივე ლელო მალაღურაძემ გარდასახა - 27:0.

უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ საბოლოო გამარჯვებულის ვინაობის გარკვევა ძნელი გამოსაცნობი არ იყო. მიუხედავად ამისა, სქართველოს ნაკრების შერკინების მწვრთნელი **დიდიე ბესი** გადამცემში თანაშემწეებს ეუბნებოდა, თამაში ჯერ არ დამთავრებულა, არ დამთავრებულა, არ მოდუნდნენო.

გამიმართლა და თბილისის თასის გათამაშების სამივე მატჩს თვალი იმ კაბინიდან ვადევნე, რომელშიც საქართველოს ნაკრების მწვრთნელები **მილტონ ჰეიგი** და დიდიე ბესი ისხდნენ და თამაშის მსვლელობას ხელმძღვანელობდნენ. ცხადია, დეტალებზე აქ არ ვისაუბრებ. ერთს კი აღვნიშნავ, ჩვენი გუნდის სამწვრთნელო შტაბს ზედმინევნით ზუსტად აქვთ ორგანიზებული და გათვლილი ყველა დეტალი. მშვენივრად ერკვევიან მატჩის მიმდინარეობაში და ცდილობენ დროულად შეიტანონ კორექტივები.

მატჩის საუკეთესო მორაგბე ზურაბ ჟვანია

22.06. თბილისი. აჭარა

არგენტინა A 41

ესპანეთი 7

არგენტინა A (15-9) **მოიანო (ტაბოადა 60), ბარეა (კაპიელო 72), ბრექსი, როხასი, ისაკი, პოე, ბოლინი. (1-8) ბოთა, ბარავალე, კორტესი (არიასი 45), ბალდონი, პონსე (ისა 55), მაგირე, კასადო (პრატო 48), აჰაული.**

ნლ: ბერა, ბოლინი, ისააკი, აუალი. პოე. 5გ,2ს: პოე.

ესპანეთი (15-9) **კერიონი, დიასი (გუტიერესი 56), ფონტესი, სნი, ფერნანდესი, გარსია, ფეიხოო (მულინა 67). (1-8) სანსი (ასენსი 33), ანაია, მორენო (ორტიზი 63), ბლანკო (მოლინა 58), მორა, დე ხუანი, დელ ვალე, ნუტონი.**

ლ: მორა. გ: გარსია.

მსაჯი: **ლუკ პირსი (ინგლისი)**

ტუფანელი ბიჭები ბოლო ტურში ბულგარეთის ნაკრებს ეთამაშებიან. ეს ორი გუნდი ერთმანეთს ბოლოს 2010 წლის ივნისში ბულგარეთში ჰქონდა ნაბრძოლი. ბულგარეთის ნაკრებმა ეს ორი მატჩი ერთ ანგარიშად 41:0 მოიგო. ეს ანგარიში ბულგარელებმა ბოლოს 1996 წელს ბულგარეთში ჩატარებულ ტურნირზე ბელგიის ნაკრებისგან ერეკეს.

ბულგარელებმა ბოლო ტურში ბელგიის ნაკრებს ერეკეს. ეს ორი ნაკრები ბოლოს 2013 წლის ივნისში ბელგიაში ჰქონდა ნაბრძოლი. ბელგიელებმა ეს ორი მატჩი ერთ ანგარიშად 41:0 მოიგეს. ეს ანგარიში ბულგარელებმა ბოლოს 1996 წელს ბულგარეთში ჩატარებულ ტურნირზე ბელგიის ნაკრებისგან ერეკეს.

ბელგიელებმა ბოლო ტურში ბულგარეთ

ძიუდო. გრან პრი

ისევ პროგრესით და ხარვეზებით

ბუდაპეშტში ამ უქმეებზე ჩატარებულმა ძიუდოისტთა შეჯიბრებამ დაახლოებით იგივე სურათი დაგვანახა, რაც ორიოდე კვირის წინ ჰავანაში ვიხილეთ – იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნაკრების წევრები კარგად ითვისებენ ტაქტიკურ სიახლეებს (კვლავაც წარმატებით ჭიდაობენ შებოჭვაზე), თუმცა ნაკრების სათადარიგო წევრები ისევ გვარიანად ჩამორჩებიან ლიდერებს; მსოფლიოს პირველობაზე ისევ მთავარ ფავორიტთა იმედად თუ ვიქნებით, თორემ მეორე ნომრებმა ახლა იმედისმომცემზე მეტად პრობლემები დაგვანახეს; ისევ სერიოზული საკადრო ჩავარდნაა 66-სა და 100-ში; გრძელდება პროგრესი ფიზიკურ მომზადებაში და რაც უფრო ახლოვდება პლანეტის პირველობა – სეზონის მთავარი სტარტი, ბიჭები მით უკეთეს ფორმაში შედიან ანუ ნაკრები ლოგიკურად ემზადება... ამის შედეგია ბუდაპეშტში მოპოვებული 5 მედალი – 1 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო. ჩემპიონი მძიმეწონოსანი **ადამ ოქრუაშვილი** გახდა, **ამირან პაპინაშვილმა** (60) და **ლაშა შავდათუაშვილმა** (73) ფინალები წააგეს, ხოლო **ზებედა რეხვიაშვილი** (73) და **ლევან მატიაშვილი** (+100) მესამეზე გავიდნენ.

ვფიქრობთ, ამ ტურნირზე ჩვენთვის უმთავრეს ამბად ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილის წარმატებული, მაგრამ მაინც უიღბლო დაბრუნება იქცა და თავდაპირველად თქვენს ყურადღებას ამაზე შევაჩერებთ.

უიღბლო დაბრუნება

ვფიქრობთ, ამ ტურნირის შემდეგ მაინც აღარ დადგება კითხვა შავდათუაშვილის კარიერული მომავლის შესახებ, თორემ მისმა ბოლოდროინდელმა წარუმატებლობამ ნაკრების ყველაზე ტიტულოვან წევრზე ბევრს ხელიც ჩააქნევინა. ბუდაპეშტის „ლასლო პაპის“ მართლაც შთამბეჭდავი სპორტის სასახლის ტატამზე ყველა ნიშანი ვიხილეთ საიმისოდ, რომ ახალ წონაში მისი გაჭიანურებული ადაპტაცია დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ, შესაძლოა, ახალმა ტრავმამ ისევ შეუშალოს ხელი. მისთვის საბედისწერო მომენტი ფინალში დადგა მოლდოვიდან არაბულ საამიროებში გაქცეულ **ვიქტორ სკვორტოვთან** შეხვედრაში, როცა ფეხი უხერხულად დადგა და მუხლი იტკინა. ის იმავე საღამოს წაიყვანეს ადგილობრივ კლინიკაში, თუმცა მუხლის გამოკვლევა ვერ მოახერხეს – შაბათი დღე იყო და ისიც გვიანი საღამო, რის გამოც გაშუქება შეუძლებელი გახდა. მას ახლაც აწუხებს ფეხი და სიარულიც უჭირს, ხოლო რამდენად სერიოზულია ტრავმა, შეძლებს თუ ვერა მსოფლიოსთვის მომზადებას, ეს მხოლოდ თბილისში დაბრუნების და მუხლის სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გაირკვევა. არადა, შავდათუაშვილი ბევრად უფრო კარგ ფორმაში იყო და მომენტებში ის სხარტი ბიჭიც გაგვახსენა, რომლისაც ასე გვეიმედებოდა 66 კილოგრამში. თითქოს იყო პრობლემები „ფიზიკაში“ - იქნებ ახალი წონისთვის ცოტა დაბალიც ჩანს (მაგალითად, იგივე სკვორტოვი მთელი 10 სანტიმეტრით მაღალია მასზე), თითქოს ზოგჯერ ძალაც არ ჰყოფნიდა, მაგრამ ნახევარფინალში როგორ მოუგო მონღოლთა მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ **ცაგანბაატარ ხაშბაატარს**! ხელი არ გააქანებინა. არადა, ეს კუნძივით აღნაგობის, დაკუნთული ხაშბაატარი ფიზიკური, ჯაჯგურა და უხეში სტილით ცნობილ მონღოლთა გუნდშიც კი გამოირჩევა კარგი ფიზიკური მონაცემებით, მაგრამ შავდათუაშვილმა ამ მხრივაც პირწმინდად დაჩაგრა და – ტექნიკურადაც. ორჯერ ლამის იდენტური ვაზარი გაუკეთა – ჩავლებით მყარად დაჭერილი შიგნიდან გამოცერა. მანამ აზერბაიჯანელი **რუსტამ ორუჯოვიც** დააიპონა, მასპინძელ **გიულა პალთან** იუკოთი მოიგო, ფრანგ ევროპის პრიზიორ **პიერ დუპრატს** კი ვაზარით აჯობა. ანუ მან მოიგო არა ტაქტიკურად, გაფრთხილებებზე და დაცვაზე აგებული ჩამშლელი ანტიჭიდაობით, არამედ მუდამ უტევდა, ყველა პაექრობაში ილეთი გააკეთა. ამიტომ ვამბობთ, ყველა ნიშანი ჩანდა მისი სრულყოფილი დაბრუნებისა, თუმცა სპორტსმენს ნიჭთან ერთად იღბალიც თან რომ უნდა დაჰყვეს, ესეც საყოველთაოდ ცნობილია. იქნებ ოლიმპიური ჩემპიონის შემთხვევაში იღბალზე სამდურავი უადგილოა, მაგრამ ფაქტია - შავდათუაშვილს ტრავმებმა და ოპერაციებმა ბევრი დრო დააკარგინა. იმედია, ახლა მორიგ უიღბლობასთან არ გვექნება საქმე.

სტაბილურ-პროგრესული ოთხეული

პაპინაშვილმა ამჯერადაც გამოავლინა შებოჭვებისკენ მიდრეკილება და კვლავ იგრძნობოდა მისი მცდელობა, აქეთკენ წაეყვანა ჭიდაობა. ფიზიკურადაც კარგად გამოიყურებოდა, თუმცა ამ კომპონენტში რეხვიაშვილი და ოქრუაშვილიც უნდა შევაქოთ – პირველი აღარ იღლებოდა, მეორეს კი წონა უფრო დაუკლია და ოპტიმალურ მიჯნასთან მიახლოებულია. შედეგად, ბევრად სწრაფად, თავისუფლად მოძრაობდა და ამანაც თითქმის ყველა შეხვედრაში აკეთა გდებები - ებრაელი **ორ სასონი** კარგად აიყვანა ქამრიდან და ჯერ ვაზარზე დააგდო, მერე კი იქვე შებოჭა, მასპინძელთა ჯილა **ბარნა ბორი** ჯერ ჩაბღუჯა და ვაზარზე გამოცერა გარედან, მერე კი შეტევა დაუხურა და ისევ გარეფეხით წარმატებით გადაჩეხა ბეჭებზე, ფინალში ლიტველი **მარიუს პასკევიჩიუსიც** იოლად დაადო ტატამზე და ბოჭავდა, რაც ბოლომდე ვერ მიიყვანა, მაგრამ მომგებიან ვაზარს კი გამორჩა. ერთადერთი, ვინც უქულოდ დაამარცხა, ბრიტანელი **კრისტოფერ შერინგტონია**, მაგრამ გაფრთხილებებით მოახსნევინა და თავისუფლად აუღო რევანში კუბაში წაგებისთვის.

პაპინაშვილი ჭიდაობდა თავისუფლად, გახსნილად, არ იღლებოდა და კარგადაც მიჰყავდა შეტევები, ინიციატივას ფლობდა. ძირითადად ამის ხარჯზე ახსნა ჯადო ბოლო პერიოდში მისთვის უხერხულად ქცეულ ორ მეტოქეს – ყაზახ **იერკებულან კოსაევს** (ორი ვაზარით მოუგო) და მონღოლ მსოფლიოს პრიზიორ **ამარტუვშინ დაშდავაას** (გაფრთხილებებით მოახსნევინა), მანამ კი ასევე ორი ვაზარით პოლონელი **გრეგორჟ ვიცზორეკი**, ხოლო 4 გაფრთხილებით უკრაინელი **ჰევორხ ჰევორხიანიც** დაამარცხა. თუმცა მის საწინააღმდეგოდ ერთიც უნდა ვთქვათ – ჯერ კიდევ აკლია ტოპ-კლასის მოჭიდავისთვის აუცილებელი ისეთი თვისება, როგორიცაა ილეთის გრძნობა. ფინალიც სწორედ ამიტომ წააგო იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონ **ნაოჰისა ტაკატოსთან**. მას ძალზე თანაბრად ეჭიდავებოდა, მაგრამ ერთ მომენტში უპრობლემოდ შეუშვა წელში და იპონმაც არ დაახანა. ასეთ შეცდომას **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90) არაფრის დიდებით არ დაუშვებდნენ. კონცენტრაციის ასეთი დაკარგვა რეხვიაშვილმაც გამოავლინა ნახევარფინალში სკვორტოვთან და **ზვიად გოგოჭურმაც** (90) – უნგრელ **კრისტიან ტოტთან**, რომელიც ორჯერ ლამის უპრობლემოდ შეუშვა წელში. თუმცა რეხვიაშვილმაც გვაჩვენა ერთი მისთვის გაინშვიათებული სიახლე – ბრინჯაოსთვის პაექრობაში დუპრატი შებოჭა! მატიაშვილიც უფრო მოღონიერებული ჩანდა – ეტყობა, ფეხის ტრავმა მოორჩინა და თანდათან შედის ფორმაში. უფრო დახვეწილადაც ირჯებოდა, უფრო საშიშად და დაკვირვებითაც უტევდა, თან დამაჯერებლად დაამარცხა უხერხული მეტოქე – ავსტრიელი **დანიელ ალერსტოფერი**, ვისთანაც 2011 წელს ევროპის ახალგაზრდული პირველობის ფინალში წააგო.

წაგებულები

უმედლოდ დარჩენილთაგან პროგრესი გვაჩვენა **შალვა ქარდავამაც** (66), რომელიც ფიზიკურად ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ წონის ლიდერებთან საპაექროდ კლასი არ ჰყოფნის – ჯერ უკრაინელთა **გიორგი ზანთარაიასთან** დამარცხდა გაფრთხილებებით, თუმცა უფრო დასანანი აზერბაიჯანელ **ნიჯატ შიხალიზადესთან** ვაზარით წაგება იყო. **უშანგი მარგიანს** (81) ურიგოდ არ უჭიდავია, მაგრამ თითქოს ცოტა გადაღლილიც იყო და თან ჯერ კიდევ აკლია გამოცდილება. რუს **ხასან ხალმურზაევთან** ინიციატივაც დაკარგა, ვერც სტილი შეცვალა და იპონით წაგო. დაახლოებით იგივე ითქმის გოგოჭურზეც – მანაც თავისი შესაძლებლობების ფარგლებში იასპარეზა, მაგრამ ჯერ ტოტთან, მერე კი ზემოხსენებული ხალმურზაევის ძმასთან – **ხუსეინთან** ვერ გახდა ვერაფერს. **მინდია ლილუაშვილმა** (66) ერთი შეხვედრა მოიგო, **ლუხუმ ჩხვიმიანი** (60) და **ალექსანდრე მსხალაძე** (100) კი პირველი წრიდან გამოვარდნენ.

ადამ ოქრუაშვილი (თეთრ კიმონოში)

კვარცხლბეკი

ვაჟები

60 კგ

1. ნაოჰისა ტაკატო (იაპონია)**2. ამირან პაპინაშვილი (საქართველო)** 3. სოფიან მილუ (სდაფრანგეთი), ილგარ მუშკიევი (აზერბაიჯანი).

66 კგ

1. კენგო ტაკაიჩი (იაპონია)2. დმიტრი შერშანი (ბელარუსი) 3. ნიჯატ შიხალიზადა (აზერბაიჯანი), გიორგი ზანთარაია (უკრაინა).

73 კგ

1. ვიქტორ სკვორტოვი (არაბთა გაერთიანებული საემიროები)**2. ლაშა შავდათუაშვილი (საქართველო), 3. ზებედა რეხვიაშვილი (საქართველო)**, ცაგანბაატარ ხაშბაატარი (მონღოლეთი).

81 კგ

1. ხასან ხალმურზაევი (რუსეთი),2. სირაზუდინ მაგომედოვი (რუსეთი, 3. რომან მასტოპულოსი (საბერძნეთი), ალაინ შმიტი (საფრანგეთი).

90 კგ

1. დაიკი ნიშიამა (იაპონია), 2. კრისტიან ტოტი (უნგრეთი), 3. ხუსეინ ხალმურზაევი (რუსეთი), ნოელ ვან ტ ენდი (ჰოლანდია).

100 კგ

1. ჰენკ ხროლი (ჰოლანდია), 2. რიუნოსუკე ჰაგა (იაპონია), 3. ემარ გასიმოვი (აზერბაიჯანი), მარტინ პაცეკი (შვედეთი).

+100 კგ

ადამ ოქრუაშვილი (საქართველო), 2. მარიუს პასკევიჩიუსი (ლიტვა)**, 3. ლევან მატიაშვილი (საქართველო),** ანდრეი ვოლკოვი (რუსეთი).

მშვილდოსნობა

ქრისტინე ესებუა (მარჯვნივ) გამარჯვებას ულოცავს ლორედანა სპერას

ესებუა ვერცხლს დასჯერდა

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ქრისტინე ესებუამ** ვერცხლის მედლით დაასრულა გამოსვლა სოფიაში, ევროპის „დიდ პრიზზე“. მისი ფინალში გასვლის შესახებ უკვე გაცნობეთ, მედლებისთვის გადამწყვეტი პაექრობები კი შაბათს, ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა უკლებლივ ყველა დისტანციაზე. ოქროსთვის ბრძოლაში ესებუას მეტოქე იტალიელი **ლორედანა სპერა** იყო და გვეიმედებოდა, რომ ჩვენებური შეძლებდა მის დამარცხებას. ოპტიმიზმს ისიც აძლიერებდა, რომ სპერა შესარჩევში ჩვენებურზე უარესად გამოვიდა – ესებუა მე-11 იყო, ის კი 5 ადგილით ჩამორჩა. თანაც, ქართველმა ნახევარფინალიდან მეორე იტალიელი, საკვალიფიკაციაში მეორეზე გასული **სარა ვიოლი** გამოაგდო. სამწუხაროდ, ესებუამ ფინალში იმედები ვერ გაგვიმართლა, 0:6 დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაოს მედალი სწორედ ვიოლიმ მოიპოვა, ვინც გადამწყვეტ პაექრობაში რუს **ანა ბალსუკოვას** 7:3 აჯობა. **იულია ლობჟანიძემ** და **ხათუნა ნარიმანიძემ** მე-17 ადგილები გაიყვეს, **ასმათ დიასამიძე** კი 33-ე აღმოჩნდა.

ვაჟთა შორის ფინალში ბელარუსებმა იასპარეზეს – **პაველ დალიდოვიჩმა ალექსანდრ ლიანუშევს** 7:1 მოუგო და ოქროსაც დაეუფლა. მესამეზე იტალიელი **ალბერტო ფიოროლი** გავიდა. ჩვენებიდან საუკეთესოდ **ჯაბა მოსეშვილი** და **მამუკა შუშაძე** გამოვიდნენ – მშვილდოსანთა დიდ ჯგუფთან ერთად 33-ე ადგილები გაინაწილეს, **ტარიელ ქადიძე** და **ლაშა ფხაკაძე** კი 57-ზე გასულთა შორის მოხვდნენ. ქალთა შორის გუნდურ პირველობაში რუსებმა გაიმარჯვეს – ფინალში პოლონელებს (შეგახსენებთ, ჩვენები ამათთან დამარცხდნენ) 6:0 მოუგეს, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი ბელარუსებმა იტალიელებს 6:2 აჯობეს. ბელარუსი და იტალია ერთმანეთს ვაჟთა ფინალშიც შეხვდნენ და ბელარუსებმა ისევ იყოჩაღეს. ამჯერად – 6:0, თუმცა აღსანიშნავია, რომ იტალიელები ქალებშიც და ვაჟებშიც ფრიად გადახალისებული ნაკრებებით გამოდიოდნენ. ვაჟებში მესამეზე სლოვენია გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში რუსეთს 6:2 აჯობა. რუსებმა სლოვენიელებს რევანში შერეულ წყვილებში აუღეს, როცა ფინალში 5:3 მოუგეს, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი იტალიელებს დამატებითი გასროლა დასჭირდათ სლოვაკთა დასამარცხებლად - 5:4 მათ სასარგებლოდ.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ახალგაზრდული ტრიუმფის გაგრძელება

პოლონურ კატოვიცეში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა შორის, სადაც დიდი წარმატებით იჭიდავეს ჩვენმა ფალავნებმა – 8-კაციანი გუნდის მონაგარი 6 მედალია. ისინი ხარისხობრივად ასეა განაწილებული - 2 ოქრო და 4 ბრინჯაო. კონტინენტის ჩემპიონები **გელა ბოლქვაძე** (74) და **ილია კანდელაკი** (120) გახდნენ, მესამე ადგილზე კი **გიზო მელაძე** (55), **შმაგი ბოლქვაძე** (66), **ლაშა გობაძე** (84) და **კუკური კირცხალია** (96) გავიდნენ. ბრინჯაოსთვის **მურად მიქელაძემაც** (60) იჭიდავა, მაგრამ წააგო.

აქვე შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ კატოვიცეში ასევე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ახალგაზრდა „თავისუფლები“, რომლებმაც 5 მედალი მოიპოვეს – 3 ოქრო და 2 ვერცხლი. ეს ფაქტი გვაიმედებს, რაოდენ კარგი რეზერვი ეზრდებათ ეროვნულ გუნდებს. აქ უკვე თამამად შეიძლება საუბარი როგორც ფედერაციის, ასევე მწვრთნელების კარგ მუშაობაზე, თუმცა ამაზე ხვალინდელ ნომერში იხილავთ.

გვერდი მოამზადა
ირაკლი თავაძემ

სარჩელი

დავა სამართლიანობისათვის...

დავა, რომელიც შპს „ლირას“ სახელით არის წამოწყებული, იმდენად მასშტაბურია მნიშვნელობით და შედეგებით, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოპასუხე მხარისთვის, აგრეთვე საქართველოში ოლიმპიზმის და საერთოდ - ეროვნული სპორტის შემდგომი განვითარებისთვის.

სეოკ-ის (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის) იურიდიული ადგილსამყოფელი და საოფისე „ბინა“, გარკვეულ პირთა და ინტერესთა გამო, სეოკ-ის კოლეგიალური მართვის ორგანოს გვერდის ავლით ერთი წლის განმავლობაში ორჯერ ადგილმონაცვლეობისა და მათზე რემონტებისთვის დაინტერესებული კომპანიის, უფრო ზუსტად კომპანიის სახელით მოქმედი პირების მიერ რეალურად გაურკვეველი წარმომავლობისა და ოდენობის ფულით გაწეული ხარჯების შესახებ მიზეზები, ისტორიის სანაგვის გზაზე დამდგარი „ცოცხების“ ხელისუფლებაში ნაციონალური კორუფციონერების ნოყიერი ნიადაგით საზრდოობს.

ამდენად, არის არსებითად მნიშვნელოვანი, აუცილებლად გასათვალისწინებელი ზოგიერთი გარემოება და საკითხი, რომლებიც თქვენს ყურადღებას მოითხოვს და რომლებსაც გვერდს ვერ აუვლით სამართლიანი გადაწყვეტილების დადგენისას.

ამ გარემოებათა რიგი ასეთია:

სახელმწიფომ, როგორც ძირითადმა მესაკუთრემ, გამოხატა თავისი ნება და საქართველოში ოლიმპიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით „გორკის სახელობის პარკი“ (დღევანდელი „ვარდების ბაღი“, შემდგომში „ბაღი“) საკუთრებაში (საკუთრების უფლებით) გადასცა ბაღის მიმდებარედ დ.აღმაშენებლის 65-ში განთავსებულ სეოკ-ს.

ცოტა მოგვიანებით კი, 1998 წლის 25 მარტის №1-302 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სეოკ-ი მესაკუთრე გახდა აგრეთვე დ. აღმაშენებლის 65-ში მდებარე ამავე შენობის გარკვეული ფართისა. ამავე დროს, სეოკ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ბ-ნი ჯანსუღ ბაგრატიონის მეოხებით, წარმოების შესაბამისი ყველა ნორმის დაცვით მომზადებული იყო ამავე ბაღში კავკასიური ოლიმპიური ცენტრის ფუნქციონირების მიზნით - შენობის პროექტი (პროექტი შეთანხმებულიც კი ყოფილა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან).

იმავე ბაღში იყო განთავსებული სეოკ-ის საქალაქო ორგანიზაცია. პროფკავშირების საკუთრებაში არსებული სპორტული ობიექტების სახელმწიფოსთვის "ჩუქების" ღონისძიების პარალელურ რეჟიმში, სახელმწიფო გადატრიალებით მოსულ „ვარდოსან“ ხელისუფლებას დაუბარებია ამ ბაღში განთავსებული სეოკ-ის საქალაქო ორგანიზაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და წინასწარ მიყვანილი ნოტარიუსის მეშვეობით დაშანტაჟებულმა ადმინისტრატორმა, სეოკ-იდან სათანადო ნებართვის, რწმუნებისა და ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, სეოკ-ის საკუთრებაში არსებული "ვარდების ბაღი" სახელმწიფოს „აჩუქა“.

საყურადღებოა, რომ „ჩუქების“ ღონისძიებას წინ უძღოდა მაშინდელი ქონების მართვის სამინისტროდან სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ახლადგადასული ბ-ნი დიდბარიძის მცდელობა: უსასყიდლოდ, თითქოს - კანონდარღვევით საკუთრებაში გადაცემის მოტივით „ვარდების ბაღის“ უკან გამოთხოვის შესახებ. წააწყდა რა მოდავე სამინისტრო ანალოგიური წესით სამომხმარებლო კოოპერაციისთვის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით საკოლმეურნეო ბაზრის აგრეთვე საკუთრების უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის გამო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პრეცენდენტს, სადაც სახელმწიფო ქონების საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემის ამგვარი ფორმა კანონიერად იქნა ჩათვლილი (აღიარებული) - ბ-ნმა მინისტრის მოადგილემ (სამინისტრომ) კი მიატოვა, შეწყვიტა ოლიმპიურ კომიტეტთან წარმოებული დავა, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ვარდოსანმა“ ხელისუფლებამ „ვარდების ბაღი“ ღონისძიების უფრო ეფექტური - ძალადობის (ე.წ. „ჩუქების“) მეთოდით მაინც დაიბრუნა.

საქვეყნოდ ცნობილია: ჯერ ბადრი პატარკაციშვილის, შემდეგ ლერი ხაბელოვის სეოკ-იდან ჩამოცილებისთვის და სპორტის აკადემიის ფულად „გადასახურდავებლად“ გატარებული კომპლექსური ღონისძიებების შესახებ.

სეოკ-ის საქმიანობაში უხეშად ჩარეულმა სახელისუფლებო ნომენკლატურამ არ გაიზიარა ქ. ლოზანადან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან (ეოკ-ებთან) ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის ბ-ნი პერე მიროს (ბ-ნ ჟაკ როგთან შეთანხმებული) 2008 წლის 19 სექტემბრის გზავნილით გაცხადებული რეკომენდაცია-თანხმობა: სეოკ-ის სესიის 2009 წლის გაზაფხულზე ჩატარების თაობაზე.

სეოკ-ის ხელმძღვანელ პირთა და აღმასკომის ნამდვილ წევრთა ნების სანინააღმდეგოდ, სეოკ-ის ე.წ. „სესია“ განსაზღვრულზე ორი თვით ადრე - 2008 წლის 31 ოქტომბერს (ბ. პატარკაციშვილის დაბადების დღეს) არაუფლებამოსილ პირთა ჯგუფის მიერ იქნა ჩატარებული. საქვეყნოდ გაცხადებული პროტესტით ე.ნ. „სესიაზე“ არ გამოცხადდნენ სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი (ბატონები გოგი თოფაძე და ლერი ხაბელოვი).

სეოკ-ის აგრეთვე პრეზიდენტობის კანდიდატმა ბ-ნმა კახა ბასილიამ მოხსნა თავისი კანდიდატურა, ხოლო ოთხგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა ბ-ნმა ლუკა კურტანიძემ ვრცელი საპროტესტო განცხადების შემდეგ, დემონსტრაციულად დატოვა სესია.

სპორტულმა ფედერაციებმა ვერ მოასწრეს საერთო კრების ჩატარება და, შესაბამისად, სესიაზე მათი კომპეტენციით განსაზღვრული უფლებამოსილი დელეგატების წარდგენა. ამავე დროს, მით უფრო - ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, სესიის ჩატარების არანაირი საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ ნაცმოძრაობის აქტივისტების ე.წ. „დელეგატებმა“ (არაუფლებამოსილ პირთა ჯგუფმა) სეოკ-ში „ჩაასახლა“ ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული კახეთის რეგიონში ბ-ნი გია ნაცვლიშვილი და პირველ ვიცე-პრეზიდენტად მისი (გ. ნაცვლიშვილის) ნათლია ბ-ნი რამაზ გოგლიძე.

სეოკ-ის ქონებას დაპატრონებულმა ნათლია-ნათლულმა სეოკ-ში მისვლისთანავე გაახმოვანა „გულისტკივილი“, რაც იყო სეოკ-ის ახალი საოფისე ფართის შოვნისთვის მზრუნველობა.

ბ-ნ გ.ნაცვლიშვილს პირადად განვუმარტე „ვარდების ბაღის“ „დაყაჩაღების“ შესახებ და ვთხოვე ჩემთან ერთად წამოსულიყო და ადგილზე დარწმუნებულიყო.

გია ნაცვლიშვილთან, დავით გობეჯიშვილთან და ან გარდაცვლილ დავით კინწურაშვილთან ერთად წავედით „ვარდების ბაღში“. მივედით ადმინისტრაციულ შენობასთან, ვაჩვენე შესასვლელთან ყოფილი კაფეს ტერიტორია, სადაც შეიძლებოდა ინვესტორს აეშენებინა კორპუსი და აშენებული ფართიდან გარკვეული ნაწილი სეოკ-ს დამატებით გამოეყენებინა.

გ.ნაცვლიშვილის სახით სეოკ-ში ჩასახლებულ ხელისუფლებას სხვა ინტერესები აღმოაჩნდა და სრულიად საწინააღმდეგო გზას დაადგა. აქედან იწყება სეოკ-ს დაპატრონებული ნათლია-ნათლულის ამჯერად უკვე სრულიად გასაიდუმლოებული, ფარული და თვითნებური ქმედებები: საკუთარი გემოვნებით და ინტერესებით, მართვის კოლეგიალური ორგანოს (სესიის) გვერდის ავლით შეცვალა სეოკ-ის სასაქონლო ნიშანი (ატრიბუტიკა - ბეჭედი და ბლანკი) და სამგლოვიაროდ დაშვებული დროშით „დამშვენებული“ მრგვალი ბეჭდისა და ბლანკის გამოყენებით დაიწყეს ელიტურ კორუფციონერებთან პარტნიორული საქმიანობა (გოგლიძე-ნაცვლიშვილის შემოქმედებას საკუთარი ჰიმნი აკლია და ეროვნული კომიტეტი კი არა, გოგლიძე-ნაცვლიშვილის ბრენდი კომიტეტი უფრო იქნებოდა. თუმცა, უამისოდაც - შავტარგაყრილი დაშვებული სამგლოვიარო დროშით „დამშვენებული“ ლოგოთი, მსოფლიოს ოლიმპიურ კომიტეტებში სეოკ-ი ერთადერთია!)

... და აქვე ერთსაც მოგახსენებთ. 2008 წლის 31 ოქტომბრის სესიისთვის მზადების სეოკ-ის სამდივნოში წარდგენილია საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის სახელით გ. ნაცვლიშვილის სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებისა და სესიაზე წარდგენის შესახებ ასოციაციის აღმასკომის 29.08.2008 წ. დათარიღებული საოქმო დადგენილება (იხ. დანართი №1). ამ ასოციაციაში გოგლიძეს არაფერი ესაქმება, არც აღნიშნული აღმასკომის სხდომაა ჩატარებული, მაგრამ მან ჩაიგდო რა ხელში ასოციაციის ტიტულიანი ბლანკის ქსეროასლი, თავადვე ჩაწერა თავისი ნათლულის სასარგებლო ტექსტი, შეთხზა პროფესორ დურმიშხან ჩიტაშვილის სხდომაში მონაწილეობა (სხვათა მონაწილეობა) და საკუთარი შემოქმედებითი ხელნაწერი სვანიშვილის „მდივნობით“ და სახელით, მათ მაგივრად თავისი ხელმოწერითაც „დაამშვენა“.

სეოკ-ის განკარგულებათა წიგნში არაერთი ჩანაწერია, სადაც ხან გ .ნაცვლიშვილი და ხანაც რ. გოგლიძე საკუთარი განკარგულებებით „სახელმწიფო სახსრებიდან“ დაფინანსების მოთხოვნას აყენებდნენ და უპრობლემოდ იკმაყოფილებდნენ კიდეც.

ამრიგად და ამგვარად, გოგლიძე-ნაცვლიშვილის ხელისუფლებასთან დოლ-გარმონივით აწყობილი უსამართლო საქმიანობის შემაკავებელი ძალა არ არსებობდა. დირექტივა, რომელიც ვარდოსან ხელისუფლებაში იგეგმებოდა - უპრობლემოდ აღესრულებოდა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სპორტის აკადემიასთან და ოლიმპიურ კომიტეტთან დაკავშირებული ღონისძიებები ერთ დროში, ერთი და იმავე მეთოდით დაიწყო ერთი და იმავე ელიტარებმა და პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა. აშკარა იყო დასაბუთებული ვარაუდი, რომ ელიტარების კორუფციული შემადგენლობა სპორტის აკადემიის (ასევე) შენობა-ნაგებობებით იყო დაინტერესებული. ფაქტია ისიც, რომ პარალიზებული, დასანგრევად თუ გამოსაცვლელად გამიზნული შენობების ძვირადღირებული რემონტები - კორუფციული გეგმების შემადგენელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილი იწყება იმპერატიული მოთხოვნით: „5. თუ დადასტურებულია წარდგენილი საბუთის სიყალბე...“ ვარდოსანი ხელისუფლების „ჯიბის“ სასამართლოც კი ვერ გაექცა ფაქტობრივ მტკიცებულებას და სპორტის აკადემიის საქმეზე ნიკა გილაურის მთავრობის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის მტკიცებულება - გაყალბებული საბუთი სს კოდექსის 137.5 მუხლით მაშინდელ გენერალურ პროკურატურას გადაეცა. მას შემდეგ მოყოლებული, კუბლაშვილის სასამართლო და ადეიშვილის აღვირახსნილი კორუფციული სტრუქტურა ამ საქმეზე სდუმს.

მართალია, სპორტის აკადემიასთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღო სარჩელი წარმოებაში, მაგრამ „გაყინა“ და ელიტარულ კორუფციონერებს მისცა საშუალება სპორტის აკადემია გაეძარცვათ და გაენადგურებინათ. სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებული, ანუ საბუთის გაყალბებაში გასვრილი მთავრობა - მაშინდელი სპორტის მინისტრი ბ-ნი გოკა გაბაშვილი მაშინაც სპორტზე მზრუნველობას იჩემებდა და ახლაც უცოდველი კრავივით ყელი აქვს მოღერებული.

მართალია, გაყალბებული ე.წ. „რეორგანიზაციის“ საბაბით შენობის ფუნქციონირების სრული პარალიზება მოახდინეს და შიგნით არავის უშვებდნენ, მაგრამ აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ირაკლი დოლაბერიძის კომპეტენციით აკადემიაში წარმოებული რემონტის, აკადემიასთან საპროტესტო აქციების და ჩემ მიერ სასამართლოში სარჩელის წარმოების პარალელურად - ი. დოლაბერიძე სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარედ ჩართულ ილიას უნივერსიტეტის რექტორ ბ-ნ გიგი თევზაძესთან მრჩევლის თანამდებობაზე თვეში 800 ლარის ანაზღაურებით იწყებს და განაგრძობს მუშაობას. ხოლო აკადემიის სრული პროფესორი ჯემალ (გურამ) ძაგანია კი - მაშინდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სერგო რატიანის მრჩევლად, ასეთივე ანაზღაურებით.

გოკა გაბაშვილის მსგავსად, სპორტზე და აკადემიაზე წარმატებული მზრუნველობა დღესაც არ განელებიათ. დოლაბერიძე ამჯერად უკვე იურისტისა და ეკონომისტის დიპლომებით „გამდიდრებული“, სპორტის სამინისტროში სპორტის სამმართველოს ჩაუდგა სათავეში, ხოლო ჯემალ (გურამ) ძაგანია - ჯვრისწერის გარდა ყველა უფლებით, ახლადდაფუძნებულ სპორტის უნივერსიტეტს ჩაუყენეს სათავეში. გაძარცვულ და გაპარტახებულ აკადემიის შენობას ჯ.ძაგანია იგივე თანამშრომლის „ბრიგადირობით“ არემონტებს, ი. დოლაბერიძე პარალიზებულ აკადემიას რომ არემონტებდა (ანუ, ფულად „გადახურდავების“, ჯიბის თუ სტომაქის ამოვსების მეთოდები და მიზნები ძირითადად იგივეა).

მიუხედავად იმისა, რომ იმავე მთავრობისა და მინისტრის მიერ მოწყობილი 2008 წლის 31 ოქტომბრის სეოკ-ის ე.წ. „სესია“ დემონსტრაციულად გაყალბების და სეოკ-ის ხელმძღვანელ პირთა დაუსწრებლად ჩატარდა, სეოკ-ის აგრეთვე პრეზიდენტობის კანდიდატის ბ-ნი ბეჟან ხურციძის „დადასტურებული წარდგენილი საბუთის“ (სსკ 137მ.) საფუძველზე შეტანილი სარჩელი კუბლაშვილის სასამართლომ მაშინაც არ მიიღო და თავის მხრივ, სასამართლომაც საშუალება მისცა სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებულ, საბუთის გამყალბებელი მთავრობის ფავორიტს - გია ნაცვლიშვილს ჯერ დაპატრონებოდა სეოკ-ს და შემდეგ - კეთილდღეობის საბაბით მის **ადგილმონაცვლეობასა მათ ძვირადღირებულ რემონტებზე ეზრუნა**.

სპორტის აკადემიაზე „მზრუნველობის“ მსგავსად (დანაშაული დადასტურებულია. სსკ 137.5 მუხლი), სეოკ-ის შემთხვევაშიც - ადგილმონაცვლეობისა და ძვირადღირებული რემონტების კეთების ხიბლიც მიზანმიმართულ ფარულ ინტერესებში მდგომარეობს. აღნიშნული გარემოება საფუძველია დასაბუთებული ვარაუდისა, რომ დანაშაულში მხილებულ მთავრობასთან კორუფციული გარიგებით, საბოლოოდ - შენობის ხელში ჩაგდების მიზნით თანმიმდევრულად მოხდა სეოკ-ის საკუთრებაში არსებული ფართის ჯერ „დაყაჩაღება“, შემდეგ - კორუფციული ინტერესების გამტარებელი ფავორიტისთვის სეოკ-ის გადაცემა და მისი მეშვეობით სეოკ-ის დარჩენილი ქონების ერთპიროვნულად - საკუთარი ინიციატივით სახელმწიფოსთვის ჩაბარება და ა.შ. და ამ გზით, შესაბამისი წესის უხეში დარღვევით ერთ წელიწადში ორჯერ სეოკ-ის ბინის ადგილმონაცვლეობა და მათ რემონტებზე დიდძალი ხარჯის გაწევა.

ფაქტია, რომ მოძალადე ვარდოსან ხელისუფლებამდე ვარდების ბაღისა და საოფისე ფართის მესაკუთრე სეოკ-ი, რომელსაც საკუთარ ფართში კავკასიის ოლიმპიური ცენტრის მშენებლობის პერსპექტივაც კი გააჩნდა, სისხლის სამართლის დანაშაულში მხილებული მთავრობის მიერ ბადრი პატარკაციშვილისა და ლერი ხაბელოვის სეოკ-იდან ჩამოცილების და მათ ჩანაცვლებული ნაცვლიშვილი-გოგლიძის მეშვეობით სეოკ-ში გაწეული „ღვაწლის“ შედეგად, დღეს სეოკ-ი სახელმწიფოსგან ნათხოვარ „ბინაში“ ითქვამს სულს.

დღეს - 70 წლის რუდუნებით ნაშენი, ქვეყანაში სპორტის ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო ტაძარი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია „ცოცხების“ ხელისუფლების შემდეგ დაასაფლავა ისევ იმ „ტყავგამოცვლილმა“ მოღვაწეებმა, რომლებიც იმ დროშიც სასათბურე პირობებში ღია თუ ფარული აქტიურობით ცდილობდნენ სპორტისთვის მზრუნველის სახელის დამკვიდრებას.

გავიმეორებ, რომ სპორტის აკადემიასთან და ოლიმპიურ კომიტეტთან დაკავშირებული ღონისძიებები ერთ დროში, ერთი და იმავე მეთოდით, ერთი და იმავე ელიტარებმა დაიწყეს და პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ განმარტებები იმიტომ დამჭირდა, რომ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს ჩამოუყალიბდეს საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სამართლიანი შინაგანი რწმენა.

სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად: **„სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ“.**

სეოკ-ს მიმდინარე 2014 წლის 1 მაისს ჩაბარდა მოსარჩელე შპს „ლირა-2009“ სასარჩელო განცხადება თანდართული მტკიცებულებებით. სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე პასუხისთვის (შესაგებელისთვის) მოპასუხე სეოკ-ს პასუხისთვის განესაზღვრა 10 დღის ვადა.

სეოკ-მა გარკვეულ მოსაზრებათა გამო შესაგებელი არ შეიტანა. შესაბამისად, სასამართლომ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით: **„დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებელის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება“**. დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230.2 მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს:“ **2. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე“.**

სასამართლომ (მოსარჩელემ) ჩათვალა, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას და შპს „ლირას“ სასარჩელო მოთხოვნა დაუკმაყოფილა.

სასამართლოს (მოსამართლეს) საქმე გაცნობილი აქვს ზერელედ, არა აქვს გაცნობიერებული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული მნიშვნელობა და გადაწყვეტილება მიღებულია იმდენად დაუსაბუთებლად, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.06.2014 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება 2/4360-14 საქმეზე გაუქმების ქვემდებარეა და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამორკვევით ნაწილში სასამართლო (მოსამართლე) ფაქტობრივ გარემოებაზე აპელირებს: „2011 წელს შპს „ლირა-2009“-სა და ააიპ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შორის შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს უნდა განეხორციელებინა მოპასუხის სასარგებლოდ თბილისში მაჩაბლის 11-ში მდებარე შენობის (კომიტეტის ოფისი) სარემონტო სამუშაოები. **სანაცვლოდ მოპასუხემ იკისრა ვალდებულება საზღაურის სახით გადაეხადა 2 025 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით. ... მას გადახდილი აქვს მხოლოდ 1 749 500 ლარი და გადასახდელი დარჩა დამატებით 275 000 ლარი. აღნიშნულს ადასტურებს მხარეთა შორის შედგენილი შედარების აქტი“.**

როგორც ჩანს, მოსამართლე ზედმეტადაა მოხიბლული მოსარჩელეს კეთილსინდისიერებით ან სხვა რამით, რომ სჯერა სარჩელში თხრობით ხსენებული ვირტუალური იმ ხელშეკრულებისა, სადაც **„მოპასუხემ იკისრა ვალდებულება საზღაურის სახით გადაეხადა 2 025 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით“**. მოსამართლემ არ მოითხოვა შესაბამისი იურიდიული მტკიცებულე-

გვ-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

ბა (ხელშეკრულება) და საქმეში ასეთი საბუთის არარსებობის მიუხედავად, ზემოაღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება დამტკიცებულად ჩათვალა.

წარმოგიდგენთ ა(ა)იპ სეოკ-სა და შპს „ლირა 2009“ შორის დადებული 2011 წლის 4 მაისის ხელშეკრულებას (იხ. დანართი №2). ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით: **„2.1. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება მოცემულია ხარჯთაღრიცხაში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. მთლიანად შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს 1 450 000 ლარს (ერთი მილლიონ ოთხასორმოცდაათი ათასი) დღგ-ს ჩათვლით“.**

„2.2. დამკვეთი შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში ავანსის სახით გადასცემს თანხას, რომელიც შეადგენს სახელშეკრულებო თანხის 75%-ს - 1 087 500 (ერთი მილიონ ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასი) ლარი“.

როგორც ფაქტი სახეზეა, სეოკ-ის ვალდებულების ოდენობასთან დაკავშირებით ტყუილი ინფორმაცია (თითქოს საზღაურის სახით 2 025 000 ლარი უნდა გადაეხადა) სასამართლომ იურიდიულად დამტკიცებულად ჩათვალა, რაზედაც მისგან გამომდინარე შედეგი - დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ჩამოაყალიბა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მოცემულ საქმეზე ამ ნაწილის გათვალისწინებით 2/4360-14 საქმეზე 03.06.2014 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმების ქვემდებარეა, იგი უნდა გაუქმდეს და მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

2. მოსარჩელეს მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები და ფორმა №2-ის არასრული მონაცემები. მიღება-ჩაბარების აქტი (აქტები) არ არის და აგრეთვე არ არსებობს ხელშეკრულების გარდა სხვა რაიმე დამატებით აღებული ვალდებულების ან სამუშაოს შესახებ მტკიცებულება.

ანგარიშ-ფაქტურებზე ხელს აწერს ბუღალტერი ტ. წერეთელი, ხოლო ფორმა №2-ის ყველა წარმოდგენილ პირზე გ. ნაცვლიშვილის ხელმოწერაა. კომპიუტერი, ნოუთბუქები, ტელევიზორები და ინვენტარი არ არის სამშენებლო მასალა. გ. ნაცვლიშვილს კი ფორმა №2-ის შევსება და ხელისმოწერა ნებისმიერ თანხაზე შეეძლო და შეუძლია კიდეც. მიღება-ჩაბარების აქტი სავალდებულო იყო და თუ რამე დავალიანება იქნებოდა, სამუშაოს დამთავრებიდან 10 დღის ვადაში ამ აქტით უნდა დაფიქსირებულიყო.

დოლიძის ქუჩაზე არსებული შენობის ანუ - სეოკ-ის ყოფილი ოფისის გაყიდვით მიღებული თანხა 1 501 000 ლარი მთლიანად მოხმარდა მაჩაბლის ქუჩაზე სეოკ-ის ოფისის რემონტს. აქედან 1 087 500 ლარი სეოკ-მა გადაიხადა შპს „ლირა 2009“-სთან 2011 წლის 4 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამ დღეში. დანარჩენი - ეტაპობრივად, ხარჯთაღრიცხვისა და ფორმა №2-ის შესაბამისად.

ხელშეკრულების 5.5. მუხლის მიხედვით:**„5.5. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს“**. ხოლო 6.1. მუხლით:**„6.1. ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის და ფორმა №2-ის გაფორმების შემდეგ, რომელიც სათანადოდ იქნება დადასტურებული ორივე მხარის მიერ“.**

სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი სეოკ-ის ახალ ხელმძღვანელობას მართალია არ ჩაბარებია, მაგრამ ფაქტია, რომ შენობა ფუნქციონირებდა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შენობის შესახებ კომუნიკაციები სეოკ-ს ჰქონდა და აქვს. იმის გათვალისწინებითაც, რომ ხელშეკრულების 2.4. მუხლით:**„2.4. საბოლოო ანგარიშსწორება იწარმოებს სამუშაოების დასრულებისას წარმოდგენილი ფორმა №2-ის, სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში“** - დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ორივე მხარეს სრულად აქვს შესრულებული. არ არსებობს დავალიანების არანაირი საბუთი, თუნდაც მოთხოვნის წერილი 10 თვის ვადაშიც კი.

2013 წლის 26 სექტემბერს სეოკ-ს ჩაბარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული წესით წარმოებული შპს „ლირა 2009“-ს საჩივარი დავალიანების გადახდევინების შესახებ. სეოკ-ის მიმართ წაყენებული მოთხოვნის საფუძვლად დასახელებული იყო 2012 წლის 20 ნოემბრის შედარების აქტი, რომელსაც წარმოგიდგენთ დანართის სახით და გთხოვთ დაკვირვებით გაეცნოთ (დანართი №3). გაირკვა, რომ **ტ.წერეთელს შედერაბის აქტზე სეოკ-ის სახელით ხელმოწერის უფლება (რწმუნება) არ ჰქონდა როგორც მხარეს და ამავე დროს შედარების აქტი სეოკ-ში არანაირი ფორმით არ არსებობდა, არ იყო კანცელარიაში რეგისტრირებული და, შესაბამისად, არც სეოკ-ის სათანადო მრგვალი ბეჭდით არ იყო დამოწმებული**.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, არარა იურიდიული ძალის მქონე საბუთის გამო სეოკ-მა 10.10.2013 წლის №707 წერილით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით. ბიურომ, რაღა თქმა უნდა, მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ორი წლის შემდეგ შპს „ლირა 2009“-ის მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში მტკიცებულებად გამოყენებული და დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ დადასტურებულად მიჩნეული 2012 წლის 20 ნოემბრის შედარების აქტში კი - ტ.წერეთლის ხელმოწერა უკვე სეოკ-ის მრგვალი ბეჭდით არის „დამშვენებული“. იმ ბეჭდით, რომელიც გოგლიძე-ნაცვლიშვილის მიერ უკანონოდ არის დამზადებული და რომელზეც დასაწყისში მქონდა საუბარი.

ამრიგად, შპს „ლირა 2009“-ამ იცის, რომ სამუშაოს დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ შედგენილი 2012 წლის 20 ნოემბრის „შედარების აქტი“ არარა იურიდიული ძალის მქონე ქაღალდია, მაგრამ მან სააღსრულებო ბიურიში საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ იგივე “შედარების აქტზე“ სეოკ-ის ბეჭედიც დაარტყა და შეეცადა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ის სეოკ-ში იურიდიულად რეგისტრირებული საბუთია.

როგორც ჩანს, მოსარჩელეს აქვს იმედი, რომ ამგვარად „გაკეთილშობილებული“ ქაღალდით მოსამართლე სეოკ-ის სახელით არაუფლებამოსილი პირის ტ.წერეთლის შესაბამის რწმუნებას აღარ მოითხოვს.

გარდა იმისა, რომ არარსებული ნაკისრი ვალდებულებებიდან დავალიანების დასასაბუთებლად აქვს მოსარჩელეს 20.11.2012 წ. შედარების აქტი და ამავე დროს იგი არაუფლებამოსილი პირის მიერაა ხელმოწერილი, წარმოდგენილი აქტი თავის თავშივე მოიცავს უტყუარი ფაქტობრივი გაყალბების მტკიცებულებას, რის გამოც სულ ცოტა, საქმიდან ამორიცხვის ქვემდებარეა.

მოკლედ, „ცოცხების“ ხელისუფლების კორუფციული კლანის მიერ სეოკ-ის ოფისის კერძო საკუთრებით ხელში ჩაგდების დასაბუთებული ვარაუდი ასეთია: სეოკ-ის კოლეგიალური ხელმძღვანელი ორგანოს გვერდის ავლით იყიდება დოლიძის ქუჩაზე მდებარე სეოკ-ის კერძო საკუთრების შენობა და მიღებული 1 501 000 ლარი მთლიანად ხმარდება მაჩაბლის 11-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოებს. 2011 წლის 4 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სარემონტო სამუშაოებს ასრულებს, რბილად რომ ვთქვათ, გია ნაცვლიშვილის ინტერესების გამტარებელი შპს „ლირა 2009“. ხელშეკრულებაში რაიმე ცვლილება ან დამატება არ მომხდარა.

ამ დროისთვის სეოკ-ის ფინანსური შემოსავალი 9 909 337 ლარია (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან - 4 180 813 ლარი, სოკ-ის და ოლიმპიური სოლიდარობა - 2 015 748, სეოკ-ის სპონსორები - 1 297 680, ევროპის ოლიმპიური კომიტეტები- 609 585, თბილისის მერია - 304 510). ყოველივე ამის ფონზე: გამსესხებელ ფიზიკურ პირს - გია ნაცვლიშვილსა და მსესხებელ ა(ა)იპ სეოკ-ს (წარმოდგენილი რამაზ გოგლიძის სახით) შორის 2011 წლის 13 ოქტომბერს იდება სესხის ხელშეკრულება, სადაც ხელშეკრულების საგანია: **„1.1. გამსესხებელი გასცემს, ხოლო მსესხებელი იღებს 2012 წლის 1 იანვრამდე სესხს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს, წლიური 20 (ოცი) პროცენტის სარგებლით“** (იხ. დანართი №4). ამავე დღეს, 13 ოქტომბრის სეოკ-ის №532 წერილით რამაზ გოგლიძე მიმართავს ბატონ გია ნაცვლიშვილს:**„სესხის სახით გათვალისწინებული სრული თანხა გადარიცხოთ შპს „ლირა 2009“-ის საბანკო ანგარიშზე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის „ლირა 2009“-სთან მიმართებაში არსებული დავალიანების დასაფარად“** (იხ. დანართი №5).

მთელ რიგ კითხვებთან ერთად საგულისხმოა, რომ ეს იმ დროს ხდება, როდესაც სეოკ-ს არც ფინანსური პრობლემა და არც დავალიანება არ აქვს.

გია ნაცვლიშვილის წილი, დასაბუთება და როლი შენობის საკუთრებად ხელში ჩაგდების გეგმასთან მიმართებაში დაუბრკოლებლად ვითარდებოდა და საბოლოოდ მიზნების ახდენა სეოკ-ის 2012 წლის 3 ოქტომბერს დანიშნული სესიის შემდეგ უნდა მომხდარიყო. მაგრამ ცნობილი მიზეზების გამო, სესიის ჩატარება გადაიდო 2012 წლის 20 დეკემბრისთვის. საპარლამენტო არჩევნების გამო შექმნილი ვნებათაღელვის გათვალისწინებით, გარკვეული თადარიგისთვის შპს „ლირა 2009“-ში მომზადდა შეთხზული 275 500 ლარის დავალიანებაზე 2012 წლის 20 ნოემბრის შედარების აქტი.

მას შემდეგ, რაც „ცოცხების“ ხელისუფლების კორუფციულმა შემადგენლობამ გადალახა მათ მიერ ჩადენილზე პასუხისმგებლობის შიშები, მათ ნაწილს დაწყებული გეგმების დამთავრების სურვილი გაუჩნდათ. ამას გარკვეული სტიმული და წახალისება კუბლაშვილის უვნებლად შემონახულმა სასამართლომ და ადეიშვილის პროკურატურის აღვირახსნილი კორუფციონერების დღესაც მოქმედი კადრებისგან მიიღო.

სწორედ ამგვარი ვითარების გამო ეყოთ გამბედაობა - გაყალბებული ბეჭდით „დამშვენებული“ ისედაც არარა ძალის მქონე საბუთი ორი წლის წინ დამთავრებულ საქმეზე დავალიანების დასასაბუთებლად სასამართლოში მტკიცებულებად გამოეყენებინათ. გაუმართლათ და ალბათ ჰქონდათ იმედი, რომ მოსამართლეს ყურადღებიდან გამორჩებოდა ის ჩარჩო ხელშეკრულება, საიდანაც მისგან გამომდინარე შედეგების აქტით განსაზღვრული დავალიანება უტყუარ იურიდიულ მტკიცებულებად იქნებოდა მიჩნეული.

გ. ნაცვლიშვილის სეოკ-ში პრეზიდენტობის დროინდელი შენობასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გარკვეულ მუხლზე აპელირებით: თითქოს მოთხოვნა ჩაბარდა სეოკ-ს და სეოკ-მა არ შეასრულა - პირსაგამტეხლოს სახით სეოკ-ისთვის დაუძლეველი ოდენობის თანხის მოთხოვნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სეოკ-ს შორის საქმის წარმოება ორი თვის უკან დამთავრდა. თუმცა, მოთხოვნა სეოკ-ში არ ფიქსირდებოდა და არარსებულ მოთხოვნაზე პირსაგამტეხლო არ შეიძლებოდა, მაგრამ მოთხოვნა იყო და დამთავრდა პატიებით.

სეოკ-ისადმი დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლების ასეთი ხელშეწყობით თუ გაგრძელდა, სრულიად მოსალოდნელია გ. ნაცვლიშვილს და ეკონომიკის სამინისტროში, სპორტის სამინისტროში, პროკურატურაში (და ა.შ.) მოღვაწე მსგავს პირებს მსგავსი მეთოდებით, კვლავ გაუჩნდეთ სეოკ-იდან დავალიანების ამოღების სურვილი, რაც საბოლოოდ ნათხოვარი „ბინიდან“ სეოკ-ის გამოსახლებით შეიძლება დამთავრდეს კიდეც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო არანაირი საფუძველი არ არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2/4360-14 საქმეზე 03.06.2014 წ. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში შპს „ლირა 2009“-ს სარჩელის დაკმაყოფილებისა. იგი გაუქმების ქვემდებარეა და სრულად უნდა იქნეს გაუქმებული.

იმედა ხუციშვილი
სეოკ-ის იურიდიული
სამსახურის უფროსი
დედნის სტილი დაცულია

®

● *იუბილარი*

ელეგანტური გრემისხეველი

გურამ პეტრიაშვილი

გურამ პეტრიაშვილი აღიზარდა ისეთ ოჯახში, სადაც იმთავითვე ჭიდაობის კულტი იყო გამეფებული. მისი უფროსი ძმები - ვალიკო და გაიოზი ცნობილი და ხერხიანი მოჭიდავეები იყვნენ, ისინი ქართული ჭიდაობის გამოჩენილი ოსტატის და საქართველოში სამბოს ფუძემდებლის ილია თომაშვილის შეგირდები იყვნენ.

გურამს სპორტულ არჩევანზე დიდხანს არ უფიქრია. მანაც ჭიდაობის წრეს მიაშურა, ოღონდ ილია თომაშვილის მოწაფესთან და მისი გზის გამგრძელებელთან მწვრთნელ ქრისტეფორე ნინიაშვილთან (1921-2014) ჩაეწერა სავარჯიშოდ.

პირველი ჩემპიონობა კი ქუთაისში იზეიმა. მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე მშობლიური დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევის სახელს იცავდა - საქართველოს სკოლებისა და ტექნიკუმების პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში.

ყველაზე შედეგიანად კისრული გამოსდიოდა. მრავალგზის ოსტატი, სამბოში საკავშირო პირველობის პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულში და სამბოში, საერთაშორისო შეხვედრების მონაწილე ძიუდოში გურამ პეტრიაშვილი, როგორც იტყვიან, ხელწამოსაკრავი მოჭიდავე არ ყოფილა. აქტიურ სპორტში საკუთარი ხელწერა დატოვა...

საჭიდაო სარბიელზე რომ გამოდიოდა, ის ყურადღებას იქცევდა ტანზე ლაზათიანად მორგებული ჩოხით და ელეგანტური ჩაცმულობით. აქტიური სპორტის შემდეგ ისევ სპორტშია, სხვათა შორის, მსაჯობაშიც ისეთივე პეწიანია თავისი ჩაცმულობით, როგორც უწინ.

ორი ათეული წელიწადი გურამ პეტრიაშვილი ქართული ჭიდაობის მსაჯთა კოლეგიის ხელმძღვანელი იყო. დამსახურებული არბიტრი ორივე ჭიდაობაში - ქართულში და სამბოშიც აქტიურად მსაჯობს დღესაც ქვეყნის ჩემპიონატებს და ტურნირებს.

ჩვენთვის ისიცაა ცნობილი, რომ გურამ პეტრიაშვილს მოჭიდავეებისთვის მეცენატობა და მატერიალური დახმარებაც არაერთხელ გაუწევია.

როგორც მოჭიდავეები იტყვიან, ეს კაცი დიდი ხანია საჭიდაო ხალიჩის მტვერითაა „მოწამლული“.

მრავალრიცხოვანმა მოჭიდავემ თუ არამოჭიდავემ გვთხოვა, დაბადების დღე მივულოცოთ ამაგდარ ფალავანს, არბიტრს, უბრალოდ, უღალატო მეგობარს, გურამ პეტრიაშვილს.

გაბრიელ ბარჯაძე

● *ჭადრაკი*

ნანა ძაგნიძე (მარცხნივ) და ბელა ხოტენაშვილი

ოთხი ტური მოიღია

ლოპოტაში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის გათამაშება (საპრიზო ფონდი 60.000 ევრო), რომელშიც 12 უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობს. უკვე გათამაშდა ოთხი ტური. გაუწყებთ მათს შედეგებს:

1ტური. ჰამპი კონერუ (ინდოეთი)-ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 1:0, ჟაო სიუ (ჩინეთი)-ბელა ხოტენაშვილი (საქართველო) 0.5:0.5, ჰოუ იფანი (ჩინეთი)-ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი) 1:0, ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი)-ელინა დანიელიანი (სომხეთი) 1:0, ნანა ძაგნიძე (საქართველო)-ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 0.5:0.5, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი)-ანა მუზიჩუკი (უკრაინა) 0.5:0.5.

2 ტური. სტეფანოვა-მუზიჩუკი 0.5:0.5, კოსტენიუკი-დრონავალი 0:1, დანიელიანი-ძაგნიძე 0.5:0.5, მუმინოვა-ვენძიუნი 0.5:0.5, ხოტენაშვილი-ჰოუ იფანი 0:1, კონერუ-ჟაო სიუ 0.5:0.5.

3 ტური. ჟაო სიუ-სტეფანოვა 0:1, ჰოუ იფანი-კონერუ 0.5:0.5, ვენძიუნი-ხოტენაშვილი 1:0, ძაგნიძე-მუმინოვა 1:0, დრონავალი-დანიელიანი 0.5:0.5, მუზიჩუკი-კოსტენიუკი 1:0.

4 ტური. სტეფანოვა-კოსტენიუკი 1:0, დანიელიანი-მუზიჩუკი 1:0, მუმინოვა-დრონავალი 0:1, ხოტენაშვილი-ძაგნიძე 0:1, კონერუ-ვენძიუნი 0.5:0.5, ჟაო სიუ-ჰოუ იფანი 0:1.

ოთხი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ჰოუ იჰანი მეწინავეობს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ვენძიუნი, დრონავალი და ძაგნიძე ჩამორჩებიან. შემდეგ მოდიან: კონერუ, სტეფანოვა-2.5-2.5, დანიელიანი, მუზიჩუკი-2-2, ჟაო სიუ-1, კოსტენიუკი, მუმინოვა, ხოტენაშვილი-0.5-0.5 ქულა.

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ, ხვალ მე-5 ტურში ითამაშებენ: ჰოუ იფანი-სტეფანოვა, ვენძიუნი-ჟაო სიუ, ძაგნიძე-კონერუ, დრონავალი-ხოტენაშვილი, მუზიჩუკი-მუმინოვა, კოსტენიუკი-დანიელიანი.

ვაჟა დანელია

ვრავის ვრ ცძინავს ისე ვბნიოლი, როგორც რომ ოიკლის ლა ჯალრისკის ოსცდაციბს. (ვსოლო იაშვილი)

● მძლეოსნობა

ქართველებმა მოსკოვი გაძარცვეს

მოსკოვმა 1999-2000 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა ღია პირველობას უმასპინძლა. შეჯიბრებაში რუსეთის, გერმანიის, ბელარუსისა და საქართველოს წარმომადგენლები (მთავარი მწვრთნელი **დავით ინაშვილი,** მწვრთნელი **ბადრი ბადრიძე)** მონაწილეობდნენ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას რვა გოგო-ბიჭი იცავდა და არც ერთი მათგანი უმედლოდ არ დარჩენილა, მეტიც - ზოგიერთმა ორ-ორი ჯილდოც კი დაიმსახურა. მოსკოვის ჩემპიონობა მოიპოვეს: **ნინო წიქვაძემ** - ბადროსა (37,32 მ) და უროს (46,31) ტყორცნაში, **გიორგი კეთილაძემ** - შუბის ტყორცნასა (50,21) და ბირთვის კვრაში (15,51), **დავით აბესაძემ** - 1500 (4.21,68) და 3000 მეტრზე (9.33,47) რბენაში, **დავით ლუკავამ** - 110 მეტრზე თარჯბენში (15,53). **მაკა ჩაკაბერიამ** ორი მედალი მოიპოვა თარჯრბენში - ოქრო 300 მეტრზე (46,24), ხოლო ვერცხლი 100 მეტრზე (15,18); **ბადრი ქიმაძე** (ბირთვი-15,26) და **გიორგი დავითაშვილი** (ბადრო-41,65) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

-ჩვენი მძლეოსნების წარმატება მოსკოვში ორმაგად სასიამოვნოა, რადგან ეს ის ასაკია, რომელმაც გაისად თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იასპარეზოს, -გვითხრა დავით ინაშვილმა. - ქართველმა გოგო-ბიჭებმა მეტოქეებს ტოლი არაფერში დაუდეს, თან მედლების რაოდენობით გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს. ჩვენი უცხოელი კოლეგები გაოცებას ვერ მალავდნენ. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: რუსებს, უკრაინელებსა და ბელარუსებს ამ ასაკის მძლეოსნებისთვის საერთო ტოპათეულები აქვთ შედგენილი. დავით ლუკავამ და ნინო წიქვაძემ იმ ცხრილში პირველ ადგილებზე მყოფი სპორტსმენების მაჩვენებლებს გადაუსწრეს, ხოლო მარიამ ჩაკაბერიამ და რომან ბადრიძემ მეორეადგილოსანთა შედეგები აჩვენეს. ყველაფერი ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ 2015 ფესტივალისთვის მზადება სწორი გზით მიდის, რაც ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ ალექსი ახვლედიანისა და ვიცე-პრეზიდენტ ვასილ ბერიშვილის, ასევე, ჩვენი მწვრთნელების დამსახურებაა. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომელმაც მოსკოვში გასამგზავრებლად დაგვაფინანსა და, საერთოდაც, დიდ დახმარებას გვიწევს. მომავალშიც თუ ასე ვიზრუნებთ ამ გოგო-ბიჭების სპორტულ დაოსტატებაზე, დარწმუნებული ვარ, 2015 წელს ევროპელებს კონკურენტუნარიანი გუნდებით დავხვდებით.

საქართველოს მძლეოსანთა ახალგაზრდული ნაკრები

ვაჟა დანელია

ოთხ საპრიზოს დასჯერდნენ

გუშინ თბილისში დამთავრდა მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატის მესამე ლიგის პირველობა. შეჯიბრებაში 15 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მეორე ლიგის საგზურები ისლანდიამ და კვიპროსმა მოიპოვეს. საქართველოს ნაკრები მე-7 ადგილზე გავიდა. ჩვენებურთაგან საუკეთესოები იყვნენ: 110 მეტრზე თარჯრბენში **დავით ილარიანი,** 400 მეტრზე რბენაში **ნიკა კარტავცევი** (ორივე-მეორე ადგილი), 100 მეტრზე **ბაჩანა ხორავა** და 3000 მეტრზე წინაღობებით **გიული დეკანაძე** (ორივე-მესამე ადგილი).

მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე უფრო დაწვრილებით „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

ასტანა და ქვაცაბაია

თბილისელმა **სოფიო ქვაცაბაიამ** ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) შესანიშნავად იასპარეზა - ორჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ერთეულებში სოფიომ, რომელიც მესამე ნომრად იყო განთესილი, ზედიზედ სძლია ანა გრიგორიანს (რუსეთი, 6:3, 6:1), კატია მალიკოვას (უკრაინა, 6:2, 4:6, 6:3), ვლადა ეკშიბაროვას (უზბეკეთი, 6:2, 1:6, 6:3), ანა ვესელინოვიჩს (ჩერნოგორია, 5:7, 6:4, 6:4), ფინალში კი რუსი ანასტასია პრიბილოვა დაამარცხა 0:6, 6:1, 6:2 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

წყვილებში ქართველი ჩოგბურთელი ჩერნოგორიელ ანა ვესელინოვიჩს შეუამხანაგდა. ისინი განთესვით მეორენი იყვნენ. ამ ინტერნაციონალურმა დუეტმა ოთხი შეხვედრა მოიგო: დაამარცხა რუსების - იულია ბრიზგალოვას და ეკატერინა წიკლაურის (6:3, 7:5), ვარვარა კუზნეცოვას და სოფია ვაინბერგის (6:2, 6:3) წყვილები, ალექსანდრა გრინჩიშინას (ყაზახეთი) და კსენია შარაფოვას (რუსეთი) ტანდემი - 6:0, 6:4, გადამწყვეტ პაექრობაში კი სოფიომ და ანამ ასპარეზობის რეიტინგფავორიტებს - ალბინა ხაბიბულინას (უზბეკეთი) და ეკატერინა კლიუევას (ყაზახეთი) აჯობეს დაძაბულ ორთაბრძოლაში - 7:6, 7:6 და პირველი ადგილი დაიკავეს. ორივე ჩოგბურთელი ასტანაში რჩება და ამ კვირიდან ისინი ახალ 10.000-იან ტურნირში ჩაებმებიან.

ვაჟა დანელია

სოფიო ქვაცაბაია

● სუმო

ევროპა ორი ქართული ფინალით

ბულგარეთის ქალაქ სამოკოვოში დამთავრდა სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 13 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნაკრების წევრებმა, რომლებმაც 11 მედალი დაიმსახურეს - 3 ოქრო, 4 ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო. უფროსებში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **გიორგი მეშვილდიშვილმა** (აბსოლუტური), რომელმაც ფინალში თანაგუნდელი **ლევან ბერიანინიძე** დაამარცხა. მეშვილდიშვილს 115 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი ერგო. გუნდურში ქართველებმა მეორე ადგილი დაიკავეს, ლევან ბერიანინიძე და **ავთანდილ ცერცვაძე** მძიმე წონაში ბრინჯაოს მედლებს დაჰყაბულდნენ.

საქართველოს დელეგაციას მეორე ოქრო გუნდურ შეჯიბრებაში ახალგაზრდებმა მოუტანეს. 18-წლამდელელთა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში კი უძლიერესი იყო **ლაშა ჯელაძე.** მანაც ფინალში თანამემამულე **გიორგი ფარადაშვილი** დაამარცხა. ჯელაძემ 100 კილოში მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ფარადაშვილი მძიმე წონაშიც მეორე იყო.

საქართველოს სუმოისტთა ნაკრები

ვაჟა დანელია

● თარიღი

23 ივნისი

23. 1940. დაიბადა **გურამ პეტრიაშვილი** - ქართული ჭიდაობა, სამბო, მსაჯი

23. 1945 დაიბადა **ტარიელ ალიბეგაშვილი** - თ\ჭიდაობა. გარდაიცვალა 1991 წელს

23. 1903 დაიბადა **ბორის დიაჩკოვი** - მძლეოსნობა. გარდაიცვალა 1985 წელს

24. 1933. დაიბადა **ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინა**-მძლეოსნობა

24. 1940დაიბადა **რენა აბჟანდაძე** – ჩოგბურთი. გარდაიცვალა 1995 წელს

25. 1946 დაიბადა **აკაკი (ხუტა) ხერგიანი** - მთამსვლელი, მეკლდეური. გარდაიცვალა 2013 წელს

26. 1957. დაიბადა **გიორგი ჭილაია** - ფეხბურთი

27. 1937 დაიბადა **გივი ჩოხელი** – ფეხბურთი. გარდაიცვალა 1994 წელს

30. 1911 დაიბადა **არჩილ მდივანი** - ჩოგბურთი. გარდაიცვალა 1937 წელს

● კალათბურთი. Red Bull Kimg Of The Rock 2014

ფინალი. ბურთით ვახტანგ ქადარია

მეფე ვახტანგ II

-ძალიან სერიოზულ ტურნირში გავიმარჯვე, რაც უფრო ნაკლები მონაწილე რჩებოდა, მით უფრო რთულდებოდა თამაში, მაგრამ მოხარული ვარ, რომ ბოლო მომენტამდე მოვახერხე ენერგიის შენარჩუნება და მეორედ მოვიგე ერთი-ერთზე კალათბურთი Red Bull King Of The Rock 2014, - განაცხადა „სოხუმის“ კალათბურთელმა **ვახტანგ ქადარიამ**, რომელსაც ხელში საპატიო ჯილდო ეკავა.

King Of The Rock კლდის მეფეს ნიშნავს. „მეფე ვახტანგის“ სიტყვებიდან უკვე შეგექმნებოდათ წარმოდგენა შეჯიბრების მნიშვნელობაზე, მასში გამარჯვებულზე და ა.შ. ახლა უფრო კონკრეტულად: შაბათს ახალციხეში, რაბათის ციხესიმაგრეზე ჩატარდა Red Bull King Of The Rock 2014-ის ქართული ეტაპის ფინალური ტური, რომელშიც 64 კალათბურთელი მონაწილეობდა. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით გაიმართა: წააგე, წადი სახლში. თითო შეხვედრა ხუთ წუთს გრძელდებოდა და წინასწარ ცხადი იყო - გაიმარჯვებდა ის, ვისაც ბოლომდე შერჩებოდა ენერგია.

კლდეზე აგებულ რაბათის ციხეზე მზის ჩასვლასთან ერთად მცირდებოდა მონაწილეთა რაოდენობა, ახლოვდებოდა ფინალი და სანახაობრიობა ნელ-ნელა მატულობდა. საქმეში ტრიბუნებზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი ქომაგიც ჩაერთო, მხურვალედ ქომაგობდა კალათბურთელებს. ვიხილეთ საინტერესო სურათიც: ხალხის რიგი გაჭრა ციხესიმაგრეზე საქორწინოდ ასულმა წყვილმა და კალათისკენ სროლაშიც გაეჯიბრა ერთმანეთს. პირველმა ბურთი ნეფემ ჩააგდო და მხურვალე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. მეოთხედფინალში **კოლუაშვილმა მაისურაძეს** აჯობა, **ახალკაცმა - კილაძეს**, **ჭოჭუამ - ალხანაიძეს**, ხოლო **ქადარიამ - ლომოურს**. საინტერესოა, რომ შარშანდელმა ჩემპიონმა ვახტანგ ქადარიამ მხოლოდ ბოლო წუთზე აღმოფხვრა აკაკი ლომოურთან ოთხქულიანი სხვაობა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

ვახტანგს ნახევარფინალშიც დამატებით დროში მოუწია გამარჯვება (8:6). ამჯერად მისი მეტოქე ვიქტორ კოლუაშვილი იყო. მეორე ნახევარფინალში მიხეილ ჭოჭუამ კიდევ უფრო ნაკლები სხვაობით, 7:6 სძლია გულიავერ ახალკაცს. ფინალიც ისეთი გამოვიდა, როგორსაც გულშემატკივარი ელოდა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სხვადასხვა სტილის მოთამაშეები. მიშა ჭოჭუა სამქულიანებით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას, ხოლო ცენტრი ქადარია ფარქვეშიდან იხვეჭდა ქულებს. შეხვედრის ბოლოს აშკარად დაღლა დაეტყო ჭოჭუას და ვახტანგ ქადარიამ ზედიზედ მეორედ მოიგო Red Bull King Of The Rock 2014-ის ქართული ეტაპი.

შეგახსენებთ, რომ ქადარია შარშან საქართველოს ჩემპიონის სტატუსით ამერიკაში, ალკატრასის ციხეზე გამართულ ფინალურ ტურნირში წარმატებით გამოვიდა - სამი რაუნდი დაძლია და მეოთხედფინალში მცირე სხვაობით დამარცხდა მომავალ ფინალისტთან. წლეულს ფინალურ ეტაპს ტაივანი უმასპინძლებს, რომლის პატარა კუნძულ სამასანაზე 25 ქვეყნის წარმომადგენელი მოიყრის თავს. შეჯიბრება 6 სექტემბერს გაიმართება და ვახტანგ ქადარია შარშანდელზე უკეთესი შედეგის ჩვენებას აპირებს:

- გასულ წელს ძალიან ცოტა დამაკლდა ნახევარფინალამდე. ეს ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო, სათანადოდ მოვემზადები და ვეცდები, მაქსიმალური შედეგი ვუჩვენო. შანსი ნამდვილად მაქვს, - გვითხრა ვახტანგმა.

ვაჟა სიმონიშვილი

● კალათბურთი. სატრანსფერო მიდი-მოდი

ფაჩულია მარკოიშვილთან?

ლიტვურმა გამოცემებმა მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს: საქართველოს ნაკრების ცენტრის **ზაზა ფაჩულიას** დამატება თურქულ „გალათასარაის“ სურსო. ასეთი სათაური რომ ვნახეთ, ჭორთან მიახლოებული ნათქვამი გვეგონა, თუმცა როგორც ავტორი გვარწმუნებს, „გალას“ ხელმძღვანელობა სერიოზულადაა დაინტერესებული ზაზას გადაბირებით და საამისოდ არც თანხის დაზოგვაზე ფიქრობს.

შეგახსენებთ, რომ ფაჩულიას „მილუოკი ბაქსთან“ კიდევ ორწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს და წელიწადში 5.2 მილიონი დოლარიც უნდა მიიღოს. როგორ განვითარდება მოვლენები, წინასწარ ვერ გეტყვით, მაგრამ ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ზაზა „მილუოკიშიც“ კარგად გრძნობს თავს და კონტრაქტის ბოლომდე სხვაგან წასვლას არ აპირებდა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ფაჩულიამ 2011 წელს NBA-ს ლოკაუტის დროს, „გალათასარაიში“ ორი თვე ითამაშა. ამჟამად კი ამ თურქულ კლუბში მისი მეგობარი **მანუჩარ მარკოიშვილი** გამოდის.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2014

ჩემპიონი ექსპერიმენტით იწყებს

უკვე არაერთხელ გვითქვამს იმის შესახებ, რომ უიმბლდონს ბევრი ტრადიცია გააჩნია, მათ შორის, მამაკაცთა ბადეში ჩოგბურთელთა განთესვის თავისებური წესი, რომლის დროსაც, ATP-ის რეიტინგის გარდა ითვალისწინებენ ბალახის საფარიან კორტებზე ბოლო ორი წლის განმავლობაში ნაჩვენებ შედეგებს. თუმცა ეს წესი ეხება ATP-ის კლასიფიკაციის პირველ 32 ჩოგბურთელს. შესაბამისად, უფრო ქვემოთ მყოფი ჩოგბურთელები განთესილები ვერ გახდებიან.

წელს ამ წესმა სერიოზული გავლენა მოახდინა ბადეზე. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** განთესვის მეორე ნომერი მიიღო, ტურნირის პირველი ნომერი კი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** იქნება. **ენდი მარეის**, რომელიც რეიტინგში მეხუთე პოზიციაზეა, განთესვის მესამე ნომერი მისცეს, რაც ბრიტანელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მასპინძელმა ამით თავიდან აიცილა ნახევარფინალამდე ტოპ-ოთხეულის რომელიმე წევრთან შეხვედრა. სხვათა შორის **როჯერ ფედერერმაც** გაუსწრო მსოფლიოს მესამე ჩოგანს **სტენ ვავრინკას** და ამ უკანასკნელს, საბოლოოდ, განთესვის მეხუთე ნომერი ერგო.

■ ■ ■

ასე რომ, ბადის პირველ მეოთხედში მოხვდა სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი. შარშანდელი ფინალისტი ტურნირს **ანდრეი გოლუბევთან** მატჩით დაიწყებს. მისი შემდეგი მეტოქე შეიძლება გახდეს **რადეკ შტეპანეკი**, რომელმაც კვირანახევრის წინ „ქუინზ ქლაბზე“ დაამარცხა ენდი მარეი. საერთო ჯამში, სერბს ცუდი ბადე არ აქვს. თეორიულად მეოთხედფინალში მისი მეტოქე შეიძლება გახდეს **ტომაშ ბერდიხი**, რომელიც ბოლო პერიოდში დიდად ვერ ბრწყინავს. და მარეიც, რომელიც სერბის პოტენციური მეტოქეა ნახევარფინალში, უკეთესი ვარიანტია, ვიდრე როჯერ ფედერერთან სავარაუდო შეხვედრა.

■ ■ ■

ენდი მარეი საინტერესო ექსპერიმენტით ხვდება საშინაო ტურნირს. ტოპ-მოთამაშეებს შორის ის ერთადერთია, ვისაც ქალი ავარჯიშებს - უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი **ამელი მორესმო**. სხვათა შორის, თავის დროზე, ენდი ასევე პირველი იყო, ვინც დამრიგებლად სამწვრთნელო გამოცდილების არმქონე წარსულის ლეგენდა აირჩია და ამით გარკვეულ ტენდენციას დაუდო სათავე: ჯოკოვიჩს **ბორის ბეკერი** ავარჯიშებს, ფედერერს - **სტეფან ედბერგი**, კეი ნიშიკორის - **მაიკლ ჩანგი**... რთული სათქმელია, გარკვეული დროის შემდეგ სხვა წამყვანი ჩოგბურთელები მიმართავენ თუ არა ქალი მწვრთნელების სამსახურს - ეს ბრიტანელის ექსპერიმენტის შედეგზე იქნება დამოკიდებული. ჯერჯერობით ენდიმ ამელის ხელმძღვანელობით ცუდად ითამაშა „ქუინზ ქლაბზე“ და ახლა ეცდება უიმბლდონზე ტიტულის დაცვას. მასპინძელს ბადე არც ისე რთული აქვს, მისი პირველი მეტოქე კი **დავიდ გოფენი** იქნება.



ენდი მარეი

■ ■ ■

მართალია, ფედერერმა ვავრინკაზე მაღალი განთესვის ნომერი მიიღო, მაგრამ ისინი მაინც ერთად მოხვდნენ ბადის მესამე მეოთხედში. პირველ რაუნდში როჯერი ხვდება **პაოლო ლორენცის**, რომელმაც თითქმის არ იცის ბალახზე თამაში, მეორე წრეში კი, სავარაუდოდ, **ჟილ მიულერს** შეხვდება, რომელსაც ერთ დროს შესანიშნავი მოწოდება ჰქონდა და ბალახზეც კარგად თამაშობდა. რაც შეეხება ვავრინკას, ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის - შეძლებს თუ არა უიმბლდონზე თამაშს. შვეიცარიელი ავად გახდა და სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო ლონდონში.

■ ■ ■

დაბოლოს, ბადის მეოთხე მეოთხედში რაფაელ ნადალის გარდა მოხვდა **მილოშ რაონიჩი**. კანადელი, კარგი მოწოდების მიუხედავად, ბალახზე ჯერჯერობით ვერ ბრწყინავს - აქ უფრო სწრაფად მოძრაობა და დაბალი ბურთების მოგერიებაა საჭირო, რაშიც მას ჯერ ბევრი აქვს სამუშაო.

თავად ნადალს ბოლოს ბალახზე მატჩი 2012 წლის უიმბლდონის პირველ წრეში აქვს მოგებული. ამის შემდეგ მან სენსაციურად წააგო **ლუკაშ როსოლთან**, გამოტოვა სეზონის დარჩენილი ნაწილი, მათ შორის ოლიმპიადა უიმბლდონის კორტებზე, 2013 წლის უიმბლდონის პირველ წრეში დამარცხდა **სტივ დარსისთან**, ცოტა ხნის წინ ჰალეს ტურნირზე კი განადგურდა გერმანელ **დასტინ ბრაუნთან**. ამ უიმბლდონს ესპანელი დაიწყებს **მარტინ კლიჟანთან** მატჩით, მეორე წრეში კი შეიძლება ისევ როსოლს შეხვდეს...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ჯოკოვიჩი (სერ, 1)-პოსპიშილი (კან, 31)
იუჟნი (რუს, 17)-ცონგა (საფ, 14)
გულბისი (ლატ, 12)-ვერდასკო (ესპ, 18)
ჩილიჩი (ხორ, 26)-ბერდიხი (ჩეხ, 6)
მარეი (ბრიტ, 3)-ბაუტისტა აგუტი (ესპ, 27)
ანდერსონი (აფრ, 20)-ფონინი (იტა, 16)
დიმიტროვი (ბულ, 11)-დოლგოპოლოვი (უკრ,21)
სეპი (იტა, 25)-ფერერი (ესპ, 7)
ვავრინკა (შვეი, 5)-ტურსუნოვი (რუს, 32)
ფ. ლოპესი (ესპ, 19)-ისნერი (აშშ, 9)
იანოვიჩი (პოლ, 15)-როგრედო (ესპ, 23)
გრანოლერსი (ესპ, 30)-ფედერერი (შვეი, 4)
რაონიჩი (კან, 8)-გარსია ლოპესი (ესპ, 28)
კოლშრაიბერი (გერ, 22)-ნიშიკორი (იაპ, 10)
გასკე (საფ, 13)-მონფილსი (საფ, 24)
კარლოვიჩი (ხორ, 29)-ნადალი (ესპ, 2)

უიმბლდონი. კაცების ბადე

1/64	1/32	1/16	1/8	1/4	1/2
ჯოკოვიჩი (სერ, 1)					
გოლუბევი (ყაზ)					
შტეპანეკი (ჩეხ)					
კუევასი (ურუ)					
კრავჩუკი (რუს)					
სიმონი (საფ)					
ჰაასე (ჰოლ)					
პოსპიშილი (კან, 31)					
იუჟნი (რუს, 17)					
ჯორდი (ბრიტ)					
ვანგი (ტაივ)					
გონსალესი (კოლ)					
კლანი (აშშ)					
კუერი (აშშ)					
მელცერი (ავსტრია)					
ცონგა (საფ, 14)					
გულბისი (ლატ, 12)					
ზოპი (ესტ)					
სტახოვსკი (უკრ)					
ბერლოკი (არგ)					
შარდი (საფ)					
კოძსი (ბრიტ)					
მატოშევიჩი (ავსტრა)					
ვერადასკო (ესპ, 18)					
ჩილიჩი (ხორ, 26)					
მატიო (საფ)					
ჰ-მაურერი (ავსტრია)					
ედმუნდი (ბრიტ)					
ტომიჩი (ავსტრა)					
დონსკოი (რუს)					
ჰანესკუ (რუმ)					
ბერდიხი (ჩეხ, 6)					
მარეი (ბრიტ, 3)					
გოფენი (ბელ)					
ანდუჯარი (ესპ)					
როლა (სლოვენ)					
კამკე (გერ)					
ჰერნიხი (ჩეხ)					
ჯონსონი (აშშ)					
ბაუტისტა აგუტი (ესპ,27)					
ანდერსონი (ს. აფრ, 20)					
ბედენე (სლოვენ)					
ვოლანდრი (იტა)					
როჟე ვასელენი (საფ)					
გაგაშვილი (რუს)					
პუეტცი (გერ)					
კუზნეცოვი (აშშ)					
ფონინი (იტა, 16)					
დიმიტროვი (ბულ, 11)					
ჰარისონი (აშშ)					
სევილი (ავსტრა)					
ტიმი (ავსტრია)					
იანგი (აშშ)					
ბეკერი (გერ)					
გროტი (ავსტრა)					
დოლგოპოლოვი (უკრ,21)					
სეპი (იტა, 25)					
ლ. მაიერი (არგ)					
ბრაუნი (გერ)					
გაღდატისი (კვიპ)					
კუზნეცოვი (რუს)					
ევანსი (ბრიტ)					
კარენო ბუსტა (ესპ)					
ფერერი (ესპ, 7)					

1/2	1/4	1/8	1/16	1/32	1/64
					ვავრინკა (შვეიც, 5)
					სოუზა (ჰორ)
					ლუ (ტაივ)
					ნედოვესოვი (ყაზ)
					რასელი (აშშ)
					რაისტერი (გერ)
					ისტომინი (უზბ)
					ტურსუნოვი (რუს, 32)
					ფ. ლოპესი (ესპ, 19)
					სუგიტა (იაპ)
					ფალა (კოლ)
					პავიჩი (ხორ)
					ნიემინენი (ფინ)
					დელბონისი (არგ)
					სმეტჰარსტი (ბრიტ)
					ისნერი (აშშ, 9)
					იანოვიჩი (პოლ, 15)
					დევარმანი (ინდ)
					ჰიუიტი (ავსტრა)
					პრსიეჭნი (კოლ)
					რიბა (ესპ)
					მანარინო (საფ)
					ლაჩკო (სლოვაკ)
					როგრედო (ესპ, 23)
					გრანოლერსი (ესპ, 30)
					მაუ (საფ)
					ხიმენო-ტრავერი (ესპ)
					ხირალდო (კოლ)
					მიულერი (ლუქ)
					ბენეტო (საფ)
					ლორენცი (იტა)
					ფედერერი (შვეიც, 4)
					რაონიჩი (კან, 8)
					ეგდენი (ავსტრა)
					ჰერგერტი (საფ)
					სოკი (აშშ)
					კუგოტი (კოლ)
					შტრუფი (გერ)
					ლაიოვიჩი (სერ)
					გ-ლოპესი (ესპ, 28)
					კოლშრაიბერი (გერ, 22)
					სისლინგი (ჰოლ)
					იტო (იაპ)
					გოლელი (იტა)
					ილჰანი (თურ)
					კუდლა (აშშ)
					დე სხეპერი (საფ)
					ნიშიკორი (იაპ, 10)
					გასკე (საფ, 13)
					დაკუორტი (ავსტრა)
					კირგიოსი (ავსტრა)
					როგერი (საფ)
					ვესელი (ჩეხ)
					ესტრელა (დომ)
					ჟაზირი (ტუნ)
					მონფილსი (საფ, 24)
					კარლოვიჩი (ხორ, 29)
					დანჩევიჩი (კან)
					სელა (ისრ)
					კუკუშკინი (ყაზ)
					პერი (საფ)
					როსოლი (ჩეხ)
					კლიჟანი (სლოვაკ)
					ნადალი (ესპ, 2)

ფორმულა 1. ავსტრიის გრანპრი

ავსტრიის
გრანპრის პოდიუმი

ნიკომ მამას გაუსწრო

11-წლიანი პაუზის შემდეგ ფორმულა 1 ავსტრიაში დაბრუნდა - მსოფლიოს ჩემპიონატის მე-8 ეტაპი შპილბერგში გაიმართა და წინა რბოლაში მარცხის შემდეგ, „მერსედესმა“ მორიგი დუბლი შეასრულა.

კვალიფიკაციის შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა. პირველად ამ სეზონში სასტარტო ბილიკის პირველ რიგში არ იდგნენ „მერსედესის“ პილოტები - შაბათს, ტრიუმფალური დღე ჰქონდა „უილიამსს“. **ფელიპე მასამ** ერთი მეათედი წამით აჯობა თანაგუნდელ **ვალტერი ბოტასს** და 2008 წლის შემდეგ პირველი, კარიერაში კი მე-16 პოული მოიპოვა.

საერთოდ, კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით პირველ ათეულში შვიდი სხვადასხვა გუნდის პილოტი ვიხილეთ, რაც საინტერესო რბოლას გვპირდებოდა. ამის მიზეზი მხოლოდ შედეგების სიმჭიდროვე არ ყოფილა. კვალიფიკაციის წინ **ჩარლი უაიტინგმა** ყველა პილოტი გააფრთხილა - მათ არ ჩაეთვლებოდათ ის წრე, რომელშიც პილოტები მერვე მოსახვევში ოთხივე საბურავით ტრასის მიღმა აღმოჩნდებოდნენ. არადა, იქ თითქმის ყველამ დაუშვა შეცდომა და სტიუარდებს 14 (!) სწრაფი წრის გაუქმება მოუწიათ.

რბოლის სტარტი უკეთ „უილიამსის“ წევრებს გამოუვიდათ: მასამ შეინარჩუნა ლიდერობა, ბოტასმა კი პირველ მოსახვევში წინ გაუშვა **ნიკო როსბერგი**, მაგრამ მეორე მოსახვევში დაიბრუნა დაკარგული პოზიცია.

ავსტრიული რბოლის მნიშვნელოვანი მომენტები პიტსტოპების სერიებისას დაფიქსირდა. „მერსედესის“ პილოტები ადრე მიდიოდნენ საბურავების შესაცვლელად და ყოველთვის იგებდნენ პოზიციებს. მასა, რომელიც პირველი შევიდა ბოქსებში, ტრასაზე როსბერგის უკან დაბრუნდა, ჰემილტონმა კი ბრაზილიელს მეორე მოსახვევში გაუსწრო.

პიტსტოპების პირველი სერიის შემდეგ ბოტასმა შეინარჩუნა მეორე ადგილი, რბოლის შუაში როსბერგის შეცდომის შემდეგ კი კინაღამ ლიდერი გახდა. საბოლოოდ, მეორე პიტსტოპის შემდეგ ფინელი მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

ამჯერად „მერსედესის“ პილოტების ბრძოლა დაძაბულობით არ გამოირჩეოდა. მთელი დისტანციის განმავლობაში ჰემილტონი თანაგუნდელის უკან მოძრაობდა და არც ერთხელ არ ჰქონია რეალურად სახიფათო იერიშის მცდელობა.

რბოლის ბოლო ნაწილში „უილიამსის“ პილოტები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ „მერსედესებს“ და საბოლოოდ, ბოტასმა მესამე ადგილი დაიკავა, რითაც კარიერაში პირველად ავიდა პოდიუმზე, მასა მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

ფერნანდო ალონსო მთელი რბოლა პირველი ოთხეულის უკან იმყოფებოდა - სხვაობა „მერსედესის“ ძრავებით აღჭურვილ ლიდერთა კვარტეტთან დიდი არ ყოფილა, მაგრამ ესპანელმა ვერც შეტევისთვის საჭირო დისტანციამდე მიაღწია. ასევე თითქმის მარტო მოძრაობდა მთელი რბოლის განმავლობაში **კევინ მაგნუსენი**, მაგრამ უკეთესი ტაქტიკის წყალობით ფინიშზე მას მეექვსე ადგილი წაართვა **სერხიო პერესმა**. „ფორს ინდიას“ პილოტი მეტოქეებზე გვიან შედიოდა ბოქსებში და გარკვეული ხანი რბოლის ლიდერიც კი იყო.

წარუმატებელი გამოდგა საშინაო გრანპრი „რედ ბულისთვის“. მისმა ლიდერმა **სებასტიან ფეტელმა** მთელი წრე დაკარგა, როცა სტარტიდან ცოტა ხანში ელექტროსისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო გაჩერდა, მოგვიანებით კი გერმანელი **ესტებან გუტიერესს** შეეჯახა და საბოლოო გამოეთიშა რბოლას.

ავსტრიაში გამარჯვება მეექვსე იყო კარიერაში ნიკო როსბერგისთვის, რითაც გერმანელმა გაუსწრო მამას - **კეკე როსბერგს**. მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონმა კარიერაში ხუთი ეტაპი მოიგო.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი 6 ივლისს ბრიტანეთის სილვერსტოუნზე გაიმართება.

ავსტრიის გრან-პრი. VIII ეტაპი

შპილბერგი (71 წრე, 307.020 კმ)

1(3). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია)	1:27.54,967 (2 პიტსტოპი)
2(9). ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი)	+1,932 (2)
3(2). ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი)	+8,172 (2)
4(1). ფელიპე მასა (უილიამსი, ბრაზილია)	+17,358 (2)
5(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია)	+18,553 (2)
6(15). სერხიო პერესი (ფორს ინდია, მექსიკა)	+28,546 (2)
7(6). კევინ მაგნუსენი (მაკლარენი, დანია)	+32,031 (2)
8(5). დანიელ რიკარდო (რედ ბული, ავსტრალია)	+43,522 (2)
9(10). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია, გერმანია)	+44,137 (2)
10(8). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი)	+47,777 (2)
11(11). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	+50,966 (2)
12(13). პასტორ მალდონადო (ლოტუსი, ვენესუელა)	1 წრე (2)
13(16). ადრიან სუტილი (ზაუბერი, გერმანია)	1 წრე (2)
14(22). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი)	1 წრე (2)
15(18). ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი)	2 წრე (1)
16(19). კამუი კობაიაში (კატერჰემი, იაპონია)	2 წრე (1)
17(21). მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი)	2 წრე (1)
18(20). მარკუს ერიქსონი (კატერჰემი, შვედეთი)	2 წრე (2)
19(17). ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა)	2 წრე (3)
20(14). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი)	10 წრე
21(12). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია)	35 წრე
22(7). დანიილ კვიატი (ტორო როსო, რუსეთი)	45 წრე

საერთო ჩათვლა

1. **ნიკო როსბერგი** - 165 (3 მოგება); 2. **ლუის ჰემილტონი** - 136 (4 მოგება); 3. **დანიელ რიკარდო** - 83 (1 მოგება); 4. **ფერნანდო ალონსო** - 79; 5. **სებასტიან ფეტელი** - 60; 6. **ნიკო ჰიულკენბერგი** - 59; 7. **ვალტერი ბოტასი** - 55; 8. **ჯენსონ ბატონი** - 43; 9. **ფელიპე მასა** - 30; 10. **კევინ მაგნუსენი** - 29; 11. **სერხიო პერესი** - 28; 12. **კიმი რაიკონენი** - 19; 13. **რომენ გროსჟანი** - 8; 14. **ჟან-ერიკ ვერნი** - 8; 15. **დანიილ კვიატი** - 4; 16. **ჟიულ ბიანკი** - 2.

კონსტრუქტორთა თასი

1. **მერსედესი** - 301; 2. **რედ ბული** - 143; 3. **ფერარი** - 98; 4. **ფორს ინდია** - 87; 5. **უილიამსი** - 85; 6. **მაკლარენი** - 72; 7. **ტორო როსო** - 12; 8. **ლოტუსი** - 8; 9. **მარუსია** - 2.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ესპანეთი

პლეი ოფი

ლას პალმესი-კორდობა	1:1

ამხანაგური მატჩები

ინდონეზია-პაკისტანი	4:0
ჩინეთი-მაკედონია	0:0

ნორვეგია

II დივიზიონი

გაერუმი-მიონდალენი	1:3
სანდეფიორდი-კრისტიანსუნდი	0:0
ალტა-ნესტ სოტრა	2:2
ფრედრიკსტადი-ტრომსდალენი	2:2
ჰამ კამი-სტრომენი	1:1
ჰიოდი-ულ კისა	4:0
ჰიონეფოსი-რანჰაიმი	2:1

შვედეთი

II დივიზიონი

ლიუნგსკილე-სირიანსკა	5:1
სუნდსვალი-სირიუსი	1:2
ასირისკა-ოსტერსუნდი	0:1
ანგელჰოლმი-ლანდსკრონა	1:2

ისლანდია

ტორი-ვალური	0:1
ვესტმანაიეარი-რეიკიავიკი	2:3
ვიკინგური-ბრეიდაბლიკი	1:0
ფილკირი-კეფლავიკი	2:4
სტიარნანი-ფიოლნირი	2:1

ბელარუსი

ნაფტანი-ნემანი	2:0
ტორპედო-დნეპრი	2:1
ბრესტი-ბელშინა	2:2
დინამო (მნ)-შახტიორი	3:0
სლუტსკი-მინსკი	2:0
ბატე-გომელი	0:0

ესტონეთი

ლოკომოტივი-ნომე კალიუ	1:3
პაიდე-ფლორა	1:5
ტალინა-ტრანს ნარვა	3:1
ტამეკა-ინფონეტი	0:4
სილამაე-ლევადია	0:2

ლატვია

მეტა-სპარტაკი	2:2
მეტალურგსი-დაუგავა	0:3
იურმალა-სკონტო	0:5
ვენტსპილსი-დაუგავა I	0:1

ლიტვა

ატლანტასი-დაინავა	12:0
ეკრანასი-კრუოია	3:2
ჟალგირისი-შიაულიაი	2:0

პარაგვაი

გუარანი-სოლ დე ამერიკა	3:1
ხენერალ დიასი-ლიბერტადი	0:1
დეპ. კაპიატა-სერო პორტენიო	1:0
სპ. ლუკენო-3 დე ფებრერო	3:2

პერუ

მელგარი-ლოს კაიმანესი	3:0
ინტი გასი-სენსიანო	3:1
ხუან აურიჩი-ლეონი	2:1
სან მარტინი-ალ. ლიმა	1:1
რეალ გარსილასო-სპორტი	1:2
სან სიმონი-სესარ ვალეიხო	2:1

სინგაპური

ნიიგატა-იანგ ლაიონსი	4:2
ჰარიმაუ-ბრუნეი	1:4

ჩოგბურთი

ATP. ისტბურნი

გასკე-ფ. ლოპესი	3:6, 7:6, 5:7

ATP. პერტოგენბოში

ბეკერი-ბაუტისტა აგუტი	6:2, 6:7, 4:7

WTA. ისტბურნი

კერბერი-კისი	3:6, 6:3, 5:7

WTA. პერტოგენბოში

ჟენგი-ვანდეეგე	2:6, 4:6

კალათბური

დევიდ ბლატი

ბლატს კლივლენდი ჩააბარეს

თელ-ავივის „მაკაბისთან“ ერთად ევროლიგის მოგების შემდეგ, ამერიკელი სპეციალისტი **დევიდ ბლატი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დასაპყრობად გაემგზავრა. NBA-ის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ბლატი „კლივლენდ კავალიერზის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. ჯერჯერობის კონტრაქტის დეტალები ცნობილი არ არის.

„მრავალი წლის განმავლობაში ვადევნებდი თვალს დევიდის მუშაობას. მას აქვს ბუნებრივი თვისება - ისე აანყოს სათამაშო სისტემა, რომ ამან ხელი შეუწყოს კალათბურთელების ნიჭის განვითარებას. ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ ევროპული კალათბურთის შემდეგ მას არ გაუჭირდება NBA-თან ადაპტირება“, - ამბობს „კლივლენდის“ გენერალური მენეჯერი **დევიდ გრიფინი.**

დევიდ ბლატი ბოლო სამი წლის განმავლობაში „კლივლენდის“ მესამე მწვრთნელი გახდა. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის დრაფტზე „კავალიერზს“ კვლავ პირველი ნომრის არჩევის უფლება აქვს.

ჰოკეი

8 ოქტომბერს დაიწყება


ლოს ანჯელესი-სან ხოსე

გუშინ ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა 2014-15 წლების რეგულარული ჩემპიონატის ოცდაათივე გუნდის პირველი საშინაო მატჩების განრიგი. მომავალი სეზონის სრული კალენდარი დღეს დაიდება NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სტენლის თასის მფლობელი „ლოს ანჯელეს კინგზი“ საშინაო არენაზე პირველ მატჩს 8 ოქტომბერს გამართავს. „მეფეების“ მეტოქე „სან ხოსე შარქსი“ იქნება. ეს გუნდები გასული პლეი ოფის პირველ წრეში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და კალიფორნიელებმა 0:3-დან შეძლეს სერიის მოგება.

ახალი სეზონის პირველ დღეს - 8 ოქტომბერს კიდევ სამი მატჩი გაიმართება: „ბოსტონი“ შინ შეხვდება „ფილადელფიას“, „კალგარი“ უმასპინძლებს „ვანკუვერს“, „ტორონტო“ - „მონრეალს“.

ჯინობილი მსოფლიოზე მიდის

„სან ანტონიო სპურსის“ რიგებში NBA-ის ჩემპიონმა **მანუ ჯინობილიმ** არგენტინის ნაკრების დახმარება გადაწყვიტა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე, რომელიც ესპანეთში გაიმართება. ეს ინფორმაცია კალათბურთელმა „ტვიტერის“ მეშვეობით გაავრცელა.

პლანეტის პირველობის სტარტის მომენტში არგენტინელი 37 წლის იქნება და სავარაუდოდ, სწორედ ამ ტურნირის შემდეგ დაასრულებს ის სანაკრებო კარიერას.

გასულ რეგულარულ ჩემპიონატში ჯინობილიმ 68 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 12.3 ქულა, 3.0 მოხსნა და 4.3 შედეგიანი პასი მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე არგენტინის ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა „ინდიანა პეისერსის“ ცენტრმა **ლუის სკოლამ**.

მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინელთა მეტოქეები ჯგუფურ ეტაპზე იქნებიან: ხორვატია, საბერძნეთი, ფილიპინები, პუერტო-რიკო და სენეგალი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

Nemiroff
რუბრიკის სპონსორი

სუპერბოულზე და ოსკარზე პოპულარული

მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებით „ფეისბუკის“ მომხმარებელთა აქტიურობამ პირველი კვირის განმავლობაში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

12-დან 18 ივნისის ჩათვლით, 141 მილიონმა მომხმარებელმა 495 მილიონი აქტივობა (პოსტები, კომენტარები, მოწონებები) დააფიქსირა. 2014 წლის სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე ასეთი შედეგები იყო:

- სუპერბოული XVIII, 2 თებერვალი: 50 მილიონი ადამიანი - 185 მილიონი აქტივობა.
- სოჭის ოლიმპიური თამაშები, 6-23 თებერვალი: 45 მილიონი ადამიანი - 120 მილიონი აქტივობა.
- ოსკარების გადაცემის ცერემონია, 2 მარტი: 11.3 მილიონი ადამიანი - 24.5 მილიონი აქტივობა.

ყველაზე აქტიური ქვეყნების პირველ ხუთეულში შედიან: მასპინძელი ბრაზილია, აშშ, ბრიტანეთი, ინდონეზია და მექსიკა.

ყველაზე პოპულარული მოვლენები:

- Pitbull-მა, რომელიც ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე გამოდიოდა, გამოაქვეყნა ფოტო, რომელსაც 1.2 მილიონი მოწონება, კომენტარი და პოსტი ჰქონდა.
- ასევე 1.2 მილიონი აქტივობა ჰქონდა **ნეიმარისა** და **დავიდ ლუისის** სახუმარო ფოტოს.
- **ჯენიფერ ლოპესმა** გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ის გახსნის ცერემონიამდე გასახდელში ცეკვავს. ვიდეოს 600 ათასი აქტივობა ჰქონდა.
- ურუგვაელმა **ლუის სუარესმა**, რომელმაც ორი გოლი გაუტანა ინგლისს, მატჩის შემდეგ გადაიღო ვიდეო, რომელმაც ერთ საათში 100 ათასი მოწონება, 10 ათასი კომენტარი და 16 ათასი გაზიარება შეაგროვა.

ასე ხუმრობა არ შეიძლება

დანიელი მსახიობი **ნიკოლეტ ვან დამი** იძულებული გახდა უარი ეთქვა იუნისეფის კეთილი ნების ელჩობაზე მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონთან დაკავშირებით სკანდალური ჩანაწერი გაავრცელა „ტვიტერის“ ქსელში.

მსახიობმა რამდენიმე დღის წინ საკუთარ გვერდზე ეპატაჟური ფოტო გამოაქვეყნა. ფოტომონტაჟის დახმარებით, იქ გამოსახული ორი კოლუმბიელი ფეხბურთელი თეთრ ქაფს ყნოსავს, რომელსაც არბიტრები ცხრა მეტრის მონიშვნისთვის იყენებენ.

ხუმრობამ ოფიციალური ბოგოტას აღშფოთება გამოიწვია. მათ დაუშვებლად მიიჩნიეს კეთილი ნების ელჩის სტატუსის მქონე მსახიობისგან ამგვარი საქციელი. საბოლოოდ, იუნისეფის კოლუმბიის ოფისმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვან დამმა საკუთარი ნებით თქვა უარი ელჩის სტატუსზე.

სკანდალური ფოტო მსახიობის „ტვიტერიდან“ წაშალეს, სამაგიეროდ, მის ადგილას გაჩნდა ახალი შეტყობინება, რომელშიც ვან დამი კოლუმბიელებს ბოდიშს უხდის.

მხსნელი ლეო

ფეხბურთის უცნობმა გულშემატკივარმა კინაღამ 350 ათასი დოლარი წააგო, როცა გადაწყვიტა, რომ არგენტინის ნაკრები იოლად დაამარცხებდა ირანის ნაკრებს.

მან ფსონი ლას ვეგასში გააკეთა. თავდაპირველად „ალბისელესტეს“ მოგებაზე 230 ათასი დადო, მაგრამ ცოტა მოეჩვენა და იგივე ფსონზე 120 ათასს ჩავიდა.

ლიონელ მესიმ გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის პირველ წუთზე გაიტანა, რითაც ტოტალიზატორის მოყვარულს 30 ათასი მოაგებინა და ჯანმრთელობაც შეუნარჩუნა.

გერმანელები რასისტობენ?

ფიფას სადისციპლინო კომიტეტი აპირებს ჩაატაროს გამოძიება გერმანია-განის მატჩის დროს სოციალურ ქსელებში გავრცელებული გერმანელი გულშემატკივრების არაერთგვაროვან ფოტოებზე.

ფანებს სახეები შავად ჰქონდათ შეღებილი და იმავე საღებავით მაისურებზე ეწერათ - „განა“. ფიფას წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დისკრიმინაციის ყველას სავარაუდო შემთხვევას გამოიძიებს: *„ყველა სამხილსა და დოკუმენტს გადავუგზავნით სადისციპლინო კომიტეტს. თუ იქ იპოვნიან პროცესის დაწყების საბაბს, საქმე მსვლელობას მისცემენ და კომიტეტი გადაწყვეტილებას მიიღებს“.*

ასევე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა მეორე ტაიმში, როცა გერმანელმა გულშემატკივარმა მინდორზე შეაღწია და მაისურა გაიხადა. მის ტანზე პრონაცისტური წარწერები იყო. ფანი მოედნიდან გაიყვანა განას ნაკრების ნახევარმცველმა **სალი მუნტარიმ**.

მარადონა აღშფოთებულია

დიეგო მარადონამ ფიფა გააკრიტიკა იმის გამო, რომ მან იტალიისა და კოსტა რიკის მატჩის შემდეგ დოპინგკონტროლზე კოსტარიკელთა შვიდი ფეხბურთელი გამოიძახა. ფიფას წესების თანახმად, შეხვედრის შემდეგ მსგავსი ტესტი თითო გუნდიდან მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა უნდა გაიაროს.

„შვიდი მოთამაშე! მსგავსი რამ არასოდეს მინახავს! რატომ დაავალდებულა ფიფამ დოპინგკონტროლი შვიდ კოსტარიკელს და არა შვიდ იტალიელს?“ - სვამს კითხვას ლეგენდა.

„ეს იმის გამო მოხდა, რომ ბევრი ადამიანი იმედგაცრუებულია კოსტა რიკის პროგრესით და ფავორიტების კრახით. ამით ბევრი კარგავს სპონსორებისგან დაპირებულ თანხებს“, - დაამატა არგენტინელმა.

რიანა გერმანიის ფანია?

სუპერპოპულარული მომღერალი **რიანა** შეშლილა მსოფლიოს ჩემპიონატის ნიადაგზე. ის ყოველდღე უყურებს მუნდიალის მატჩებს და „ტვიტერის“ მეშვეობით საკუთარ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რიანა გერმანიის გულშემატკივარია. განასთან მატჩის დროს, მომღერალმა რამდენიმე კომენტარი გააკეთა. აფრიკელთა შეტევებისას მან გაღიზიანება ვერ დამალა, **მიროსლავ კლოზეს** ისტორიული გოლის შემდეგ კი გერმანიის ნაკრების ფორვარდს უწოდა - My Nigga.



გარი სასტუმროდან გააძევეს

ლეგენდარულ ინგლისელ ფორვარდ **გარი ლინეკერს** არ გაუმართლა, რადგან იმავე სასტუმროში აქვს ნაქირავები ნომერი, სადაც ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი** ცხოვრობს. ლინეკერი სასტუმროდან გამოაძევეს იმ დროს, როცა ბლატერი და მისი გუნდი შენობაში შედიოდა.

„ამ წუთას სასტუმროდან გამომაძევეს, რადგან იქ ზეპ ბლატერი და მისი ამალა მივიდა. გეფიცებით, ქუჩაში ძალიან აცივდა“, - დაწერა სოციალურ ქსელში ლინეკერმა.

ცოტა სტატისტიკა

- ბრაზილიელ **ოსკარს** ყველაზე მეტი ორთაბრძოლა აქვს მოგებული (11).
- ბოსნიელ **ედინ ჯეკოსა** და შვეიცარიელ **შერდან შაქირის** ყველაზე მეტი დარტყმა აქვთ შესრულებული იმ ფეხბურთელთაგან, რომლებსაც გოლი არ გაუტანიათ (9).
- **მირალემ პიანიჩმა** 10 საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ბოსნიას მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი.
- არგენტინელმა **ხავიერ მასკერანომ** და იტალიელმა **დანიელე დე როსიმ** ყველაზე მეტი პასი შეასრულეს (189).
- მსოფლიოს ბოლო ოთხ ჩემპიონატზე ინგლისმა 17 გოლი გაიტანა, გერმანელმა **მიროსლავ კლოზემ** - 15.
- ბელგიელ **ტიბო კურტუას** სანაკრებო დონეზე არც ერთი მატჩი არ აქვს ნაგებული - 18 შეხვედრა: 12 მოგება, 6 ფრე და 0 წაგება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ISSN 2233-3827
9 772233 382000
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38);** მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (**რედაქცია**). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**